
52/90/2

ISSN 0134 3459

ᲓᲘᲐᲜᲐ



1990 6

ჭოროხი

გამოცემის 32-ე წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

შინაარსი

იაკობ გოგებაშვილი — 150

ალექსანდრე გობრონიძე — დიდი მამულიშვილის შეგონებანი 3

თინა შიოშვილი — თუ „დედაენით“ არ ხარ გაზრდილი 7

იური ბიბილეიშვილი — ქართული კომენიოლოგიის მესაძირკვლე. 13

ალექსანდრე სამსონია — ჩემო კარგო ქვეყანავ... 19

პოეზია, პროზა

ჟუჟუნა შაინიძე — ლექსები 27

ჯანგულ ჯიქიძე — კვირის ბოლოს ბოლო (მოთხრობა) 30

ნაზიბროლა მიქელაძე— ლექსები 40

ქეთინო გიორგაძე — ლექსები 41

ბორის მეტრეველი — ლექსები 43

ორჯონი ქოჩლაძე — ნოდარ დუმბაძის გახსენება (ლექსი) 45

ელისაბედ ღაღაშვილი—ლექსები 46

ანზორ ლორთქიფანიძე — ლექსები 47

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

6

1990

ნოემბერი
დეკემბერი

ბათუმი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

აქტუალური ინტერვიუ

მიხეილ მშვიდობაძე — სვეტი ნათლისა 49
ანზორ ზამბახიძე — „სხვანაირად ვერ მოვიქცევი“ 52

წერილები

მიხეილ მახარაძე — ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და თომა აქვინელის მსოფლმხედველობათა მიმართების ზოგიერთი ასპექტი 56
ლადო შარაშიძე — დაუვიწყარი შეხვედრები 68
ელენე ერქომაიშვილი — სასიამოვნო მოულოდნელობა 71

მოგონებათა ფურცლები

მამია ვარშანიძე — ამბავი ორი პოეტისა 74
იბრაიმ გორაძე — სადაურსა სად წაიყვან 80

გზები და შთაბეჭდილებანი

ჯემალ ჩხეიძე — ეგვიპტე, თურქეთი 83

ხელოვნება

რატი ჩიბურდანიძე — ცხორება, რომელიც მან თავად მოიგონა 91
გასულ ორ თვეში 93

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „დედა ენა“. მხატვარი ნ. ნიჟარაძე
ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.
ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ზოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ სალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 7.11.90, ხელმო. წერილია დასაბეჭდად 17.12.90, საგამომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 1779, ქაღალდის ზომა 60×90 1/16, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, იბერიის 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое произведственное объединение Аджарской АССР, Батуми, ул. Иберийская, 91.

ალექსანდრე გობრონიძე

დიდი მამულიშვილის შვრონებანი

დიდი ქართველი პედაგოგის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავი ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ეროვნული ზეიმია, რომელიც დაგვეხმარება ერთხელ კიდევ ღრმად გავიაზროთ „რანი ვიყავით და რანი ვართ“.

იაკობ გოგებაშვილი, ისე როგორც დიდი ილია და ყველა სახელოვანი სამოციანელი, დღენიადაგ იმაზე ზრუნავდა, გაეღვიძებინა და განევითარებინა ახალგაზრდობაში ეროვნული თვითშეგნება. იაკობის იდეალი იყო ისეთი ყმაწვილთაობის აღზრდა, „ახალი ტიპის ქართველის მომზადება“, რომელსაც შეთვისებული ექნებოდა ცოდნა ბუნებისა და საზოგადოების კანონების შესახებ, მაღალი ადამიანური თვისებები, მტკიცე ხასიათი, თაოსნობა, თავაზიანობა, დარბაისლობა და სხვა, ასეთი „ახალი ტიპის ქართველებს“ შეუძლიათ გახდნენ „შეუპოვარი მეომარნი ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ“.

ლაპარაკობდა რა მაღალ ადამიანურ თვისებებზე, იაკობი წინა პლანზე წამოწევდა ჰუმანიზმს — კაცთმოყვარეობას. საკმარისი არ არის ცოდნა. იაკობის აზრით, სკოლა ცოდნასთან ერთად უნდა უნერგავდეს ახალგაზრდობას „ზნეობრივ, ჰუმანურ პრინციპებს და მაშასადამე, მოქმედებდეს მასზე აღმზრდელობითი სულისკვეთებით“.

ჰუმანიზმის აღზრდას ემსახურებოდა იაკობის ყველა სახელმძღვანელო და საბავშვო მოთხრობა. „ჩვენი წიგნი რომ მარტო გონების გამდიდრებას მისდევდეს, წერდა ი. გოგებაშვილი, ეს დიდი ნაკლოვანება იქნებოდა, რადგანაც პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობებით აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭიროა და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა. მარილს ყოვლისა ქვეყნისას შეადგენენ და შეადგენდნენ კეთილნი გულნი, გამსჭვალულნი მოყვასის მხურვალე სიყვარულით“.

დიდი პედაგოგი ჰუმანისტ ადამიანს ბედნიერად თვლიდა: „ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ასპარეზზე მოქმედი, რომელიც ნაყოფიერ შრომასთან ერთად, მტკიცედ ადგია ეთიკურს პრინციპებს თავის ცხოვრებაში და თავის გარშემო ჰფენს ზნეობრივს მადლსა და სითბოსა. ამისთანა ადამიანები მომაგონებენ მოციქულებსა და შეადგენენ მარილს ქვეყნისას“.

იაკობ გოგებაშვილთან ჰუმანიზმის აღზრდა ორგანულად ერწყმის პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას. პატრიოტიზმი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების და მხატვრული შემოქმედების მთავარი მოტივია. „მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის, — წერდა იაკობი, — ელემენტარული აქსიომაა, რომ ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო

19636

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცე გზაზედა სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივრები და ეროვნული მამულიშვილი".

იაკობ გოგებაშვილს, სავსებით სწორად, პატრიოტიზმი აღზრდისა და სერიოზული რუდუნების საგნად მიაჩნდა. არ უარყოფდა სიძნელეებსა და სირთულეს ამ გრძნობის აღზრდაში"... ბევრმა არ იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ადვილი როდია... ბუნება პატრიოტობაზე სრულიად არ ზრუნავს. იგი ჰბადავს ქვეყანაზედ არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმს, ცალკე პირს და არსებობის დაცვისათვის მას ანიჭებს ეგოიზმს, თავის-თავის მოყვარეობასა... პატრიოტობა საზოგადოებამ, და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ".

ცხოველმყოფელი პატრიოტიზმის აღზრდისათვის, იაკობის აზრით, „სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს, პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო... ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და კოკრებსავით ნაყოფიერი". იაკობ გოგებაშვილი არა მარტო ასაბუთებდა მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის სასიცოცხლო აუცილებლობას, არამედ თავისი უბადლო სახელმძღვანელოებითა და საბავშვო მოთხრობებით ეფექტურ დახმარებას უწევდა სკოლასა და ოჯახს, მის სახელმძღვანელოებში დიდაქტიკურად მიზანმიმართულად შეტანილია „არაგვი". — ნ. ბარათაშვილისა, „სამშობლო ხევსურისა" — რ. ერისთავისა. „განთიადი" და „მამული" — გრ. ორბელიანისა, „ქართვლის დედა", „ბაზალეთის ტბა", „ნანა" — ილიასი, „გაზაფხული" — აკაკისა და სხვ.

პატრიოტიზმის აღზრდას ემსახურება თვით იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები: „თავდადებული მღვდელი თევდორე", „ცხრა ძმა ხერხეულიძე", „სამასი არაგველნი" და სხვ.

პატრიოტიზმის აღზრდა იაკობ გოგებაშვილს მოაზრებული აქვს ინტერნაციონალიზმთან მჭიდრო კავშირში. „ამ გრძნობაში (პატრიოტიზმში— ა. გ.) თავის-თავს მეტი არა ურევია-რა ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება... ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული". პატრიოტიზმის იაკობისეული გაგება სრულებით არ მოითხოვს ეროვნულ სეპარატიზმს, განკერძოებულობასა და შოვინიზმს. ამასთან ეროვნული გრძნობის გაღვივებას ის სასიცოცხლოდ აუცილებლად თვლიდა, კიდევ მეტი, მიაჩნდა რომ საკუთარი სამშობლოს სიყვარულის გარეშე ინტერნაციონალიზმი ილუზია და ფიქციაა: „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი, ბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას". აქ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ იაკობ გოგებაშვილის ერთი საყურადღებო გაფრთხილება. ერთ-ერთ წერილში ანთიმოზ ჯულელისადმი იაკობი აღნიშნავდა: „ყოველი ჯგუფი ადამიანებისა მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს პატივისცემასა და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად იცავს თავის საზოგადო ინტერესებს და ამავე დროს არ არღვევს სხვების კანონიერ ინტერესებსა. ჩვენში ამ მხრივ ორი უკიდურესობა არსებობს: ზოგნი ლაქიურად ელაქუცებიან რუსებს და იმცირებენ თავსა, ყოველ პატივსა ჰკარგავენ, ზოგნი მამლაყინწურად ამაყობენ, წინწლაკინობას მისდევენ და საზოგადო საქმეს აფუჭებენ. ერთადერთი ღირსეული გზა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეგნებით და დარბაისლურად დავიცვათ ჩვენი ინტერესები და სხვებსაც წყენა და ვნება არ მივაყენოთ მათს კანონიერსა და სამართლიანს მოთხოვნილებაში".

ასეთი აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებად იაკობ გოგებაშვილი თვლიდა სახვავლო საგნებისა და ოჯახში საკითხავი წიგნების გამსჭვალვას შეგნებულ სულისკვეთებით. ამ მხრივ იგი თვითონ იძლეოდა იშვიათ მაგალითს, მარტო ის რად ღირს, რომ იაკობმა შექმნა ღრმა ფსიქოლოგიური ნაწარმოები „ივნანამ რა ქმნა?“, რომელშიც ოსტატურად გვიჩვენა და განავითარა იდეა ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების მეგობრობისა.

მიაჩნდა რა ზნეობა ადამიანის, პიროვნების მთავარ მახასიათებლად, იაკობ გოგებაშვილი, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლების შემოწმებისას მოსწავლეთა აღზრდილობას. ბათუმის ქართული სკოლის შემოწმების დროს იაკობს მიუმართავს მასწავლებლებისათვის: „დაბეჯითებით უნდა გთხოვოთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მოსწავლეთა ალმზრდელობით მხარეს. საჭიროა მოსწავლეს განსაზღვრული ცოდნა შესძინოთ, მაგრამ ერთიორად უფრო საჭიროა ეს მოსწავლე წესიერად აღზრდილი გამოვიდეს ცხოვრებაში. შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, სამართლიანობა, აი თვისებები, რომლითაც თქვენ უნდა შეაიარაღოთ მოსწავლე“.

ცამდე მართალი იყო იაკობი, — იმჟამინდელი ცხოვრება ყველაზე მეტად ამჟღავნებდა ზნეობრივ დაცემულობას. „კავკასიის მკვიდრთა შორის ზნეობის დაცემა, — აღნიშნავდა იგი, — რასაც ცხადად ამტკიცებს გაძლიერება ყაჩაღობისა, მეტადრე თათართა შორის, ნაყოფია უმთავრესად ზოგან უსკოლობისა და ზოგან კიდევ არა-გონივრულად მათის მოწყობისა“. ამიტომ დიდი მამულიშვილი მოითხოვდა სკოლების გამრავლებასა და მათი მუშაობის გარდაქმნას ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად. მას უნდა შესძლებოდა მოებრუნებინა ყმაწვილთაობა განცხრომა-სიამოვნების მიდრეკილებიდან, სერიოზული გონებრივი და ფიზიკური შრომისაკენ ლოზუნგით „სასიამოვნოს შეერთება — სასარგებლოსთან“: „ცხოვრებაში სიამოვნებას მიმდევარი კაცი მაგდენი არაფერი შვილია, საზოგადოების მარიღს, ქვეყნის თვალს შეადგენენ ის პირნი, რომელნიც პიროვანი სიამოვნების მონანი კი არ არიან, არამედ მედგრად ემორჩილებიან თავის წმინდა მოვალეობას. მოვალეობა კი ხშირად, ძალიან ხშირად ითხოვს კაცისგან არამც თუ უსიამოვნებას, ტანჯვა-წვალების გამოვლასა, არამედ თვით სიცოცხლის შეწირვასაც“.

მაღალი ზნეობა — ეს სხვისთვის სიკეთის კეთებაში გამოიხატება. „თუ ამჟამად კაცობრიობა დიდს მანძილზეა დაშორებული პირუტყვულ, ველურს მდგომარეობიდან და მის ცხოვრებაში წმინდა ზეციური ნაკადულნი სდიან, ეს იმის წყალობით უმთავრესად. რომ მისს შორის იბადებოდნენ და იბადებიან დიდებულნი გულნი, რომელთაც სრულიად დავიწყებულნი ჰქონდათ და აქვთ პირადი სიკეთე და ყოველი წამი მათის სიცოცხლისა ეკუთვნოდა და ეკუთვნის სამშობლოსა და კაცობრიობასა. აი რისთვის მივეცით ჩვენის წიგნის (ბუნების კარი) ყოველს განყოფილებაში დიდი ადგილი ეთიკურს, ალტრუისტულ ელემენტსა“.

ზნეობრივი ცნებები, მისაწვდომ ფორმაში, იაკობ გოგებაშვილს შეტანილი ჰქონდა „დედა ენის“ I ნაწილშიც კი. მაგალითად, ერთ-ერთ სასაუბროში იაკობი ბავშვებს აცნობს სათნოებისა და ბიწიერების ცნებებს: „მხნეობას, მოწყალეობას, სიმშვიდეს, სიუხვეს, სიპატიოსნეს რა საერთო სახელი ჰქვიანთ? სათნოებანი... სიზარმაცეს, სიშურეს, სიცრუეს, სიბოროტეს, სიძუნწეს, სიამპარტავნეს რა საერთო სახელი ჰქვიათ? ბიწიერებანი“. მაგრამ ცნებების მარტო განმარტებით არ კმაყოფილდება იაკობი, იგი ბავშვებს აძლევს დავალებას: „შეადარეთ ერთმანეთს: სიზარმაცე და მხნეობა, უხვობა და სიძუნწე, სიმშვიდე და სიბოროტე“. გარდა ამისა, გოგებაშვილი ზრუნავდა, სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად ოჯახში საკითხავი ეთიკური თემების შემცველი ლიტერატურის გამოცემაზე, „უნდა გვახსოვდეს, წერდა ის, — რომ ჩვენთვის სა-

ლი ეთიკური წიგნი ბევრად უფრო საჭიროა, რადგანაც ზნეობრივი დაცემულობა შეადგენს უმთავრესს სენს ქართველის ოჯახისა".

ზნეობრივი აღზრდის საკითხზე იაკობ გოგებაშვილის შეხედულებათა განხილვის დროს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით მის დამოკიდებულებას ეკლესიისადმი. იაკობ გოგებაშვილი ზნეობრივ აღზრდაში გარკვეულ დადებით როლს აკუთვნებდა სარწმუნოებას. „კარგად მოგეხსენებათ, — წერდა ის, — ეკლესია და სკოლა სათავეა ჭეშმარიტების არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული". ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იაკობი სარწმუნოების მისტიკურსა და კლერიკალურ მხარეს უარყოფდა. იგი მოითხოვდა, რომ „სალმრთო სჯულის გაკვეთილებზე ისწავლებოდეს უმეტესად სახარება... და ბავშვებს არ უვსებდნენ თავს მისტიკური ახსნით იმ კლერიკალურის წეს-რიგებისა, რომელსაც არავითარი ეთიკური გავლენა არ აქვს ადამიანის ზნეობაზე".

ხალხის ზნეობრივ ამაღლებაში იაკობი სათანადო როლს აკისრებდა სამღვდელოებასაც. იაკობის აზრით, ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან. „დღემუდამ ჩასცქეროდეს ხალხის ცხოვრების დუღილს და ჭეშმარიტს გულისტკივილით მოხილი, ჭეშმარიტის მცნებით გაბრწყინებული ვალდებულია ჰსწრთვნიდეს ხალხსა ქადაგებით და თავის ცხოვრების მაგალითით. გჱრია თუ ლხინი, ვიბალებით თუ ვიხოცებით, მღვდელი იქ პირველი უნდა იყოს. პირველი იმით კი არა, რომ ტაბლას მიაძღეს, არამედ ნუგეშის ცემითა, ლოცვითა, კურთხევითა, ბოროტის დევნითა, სიმართლის ალდგენითა, კეთილის მოფენითა".

თუ ღრმად გავიზიარებთ იაკობ გოგებაშვილის შეხედულებას, მის პედაგოგიურ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას რელიგიასთან დამოკიდებულებაზე, ჩვენ არ უნდა გაგვიჭირდეს თანამედროვე პირობებში ახალი აზროვნების პოზიციებიდან გავითვალისწინოთ ეკლესიის ადგილი სკოლასთან და ხალხთან, როგორც ზნეობრივი აღმასვლის მნიშვნელოვანი საშუალება. მაგრამ ზნეობრივი აღზრდის საკითხში მთავარი მაინც სკოლა და ოჯახი უნდა იყოს, მასწავლებელმა უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ამ საქმეში. „სინდისიანი, ბეჯითი, გონიერი, ზნეობრივი ოსტატი ღირსია დიდი პატივისცემისა ყოვლის კაცისგან, რომელიც გონებით გახსნილი და მიხვედრილია". ამიტომ, იაკობის აზრით, საჭიროა „მეტი მზრუნველობა მასწავლებლის კეთილდღეობაზე, მეტი ნდობა მისადმი — აი საუკეთესო წამალი ჩვენი სკოლების განკურნებისა, აღორძინებისა, აყვავებისა".

იაკობი სკოლის გარდაქმნას მოითხოვდა. იგი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ცხოვრებამ წინ გაუსწრო სკოლას და მოითხოვდა ისეთი ღონისძიების გატარებას, რომ აღზრდას ეპასუხა ხალხის მოთხოვნილებისათვის, ამიტომ იგი წინადადებას იძლეოდა ისეთი სკოლები შეექმნათ, „რომელთაც შეუძლიათ მოუმზადონ ჩვენს ქვეყანას ახალი ტიპის ქართველი". ეს ახალი ტიპის ქართველები, იაკობის აზრით, უნდა აღზრდილიყვნენ „ახალი ტიპის სკოლაში". ასეთი სკოლის სახით იაკობს მხედველობაში ჰქონდა ინგლისის სკოლა-ინტერნატის ტიპის სასწავლებლები და, საერთოდ, XIX საუკუნის ბოლოს ევროპასა და ამერიკაში წარმოშობილი ე. წ. „ახალი სკოლები". რა იყო ამ სკოლებში მოსაწონი? ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, დიდი ყურადღება ფიზიკური აღზრდისადმი, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები, კარგი კაბინეტ-ლაბორატორიები, ესთეტიკური აღზრდის მაღალი დონე, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კარგად მოწყობილი შრომითი სწავლება: დურგლობა-ზეინკლობა, ბოსტანში და მინდვრად მუშაობა, სკოლის მოწყობა ბუნების გარემოში და ა. შ. ამიტომ აქებდა იაკობ გოგებაშვილი ამ სკოლას და წერდა: „ეს ახალის ტიპის სკოლა საოცარის ოსტატობითა და

სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილის კონკრეტულის და ცოცხალის ცოდნით. ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მშვიდის ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას, და ამზადებს სულითა და ხორცით სალს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ".

იაკობს არ ღალატობდა ალღო: „დროა შევიგონოთ ჟამთა ცვლილებანი, წერდა ივი, ჩვენც შევიცვალნოთ შესაფერად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი სალი და მომავლიანი ერი. „დროა აწინდელის წამის მაგიერ გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა, პატარა დღევანდელს სიამოვნებას ვამჯობინოთ ყოველთვის სვალინდელი დიდი სიკეთე, ხსენებული ქართული ანდაზა წალმა მოვაბრუნოთ და შევცვალოთ სიტყვითა და საქმით ასე: სვალინდელი ქათამი მირჩევნია დღევანდელს კვერცხსაო".

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებებს დღესაც არ დაუკარგავს ცხოველმყოფელობა, იგი აქტიურად ჟღერს და გვეხმარება ქართველი ერის კონსოლიდაციაში, ეროვნულ აღორძინებაში. იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ეროვნული საკითხი ჩვენთვის არსებითია, მისი მივიწყება, მეორე პლანზე გადაწევა დაუშვებელია. „ანთეოზივით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი, კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედ სდგას ეროვნულს ნიადაგზედ. ხოლო მასავით სუსტდება და იწვება, როდესაც იგი შორდება ამ ნიადაგს და სწყვეტავს მასთან გამაცხოველებელს კავშირსა".

ბედნიერია ქართველი სალხი, სრულიად საქართველო, რომ ცოტა არა ჰყავს საამაყო, სასიქადულო მამულიშვილი, რომლის იდეები, აზრის ნაყოფი ჟამთა მსვლელობის გამო კი არ კვდება, ახალი ძალით გამოასხივებს და წარმოაჩენს ტიტანურ პოტენციალს, რომელიც კვებავს და ასაზრდოებს ჩვენს სულიერ ძალებს. ერთი იმათგანი სავსებით კანონზომიერად არის იაკობ გოგებაშვილი.

თინა შიოშვილი

თუ «დედაენით» არ ხარ გაზრდილი...

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველთათვის უკიდურესი ძნელბედობის ჟამს, როცა ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის უპირველესი საზრუნავი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო, როგორც არასდროს, დღის წესრიგში დადგა ბრძოლა ჩვენი სალხის სულიერი გამოცოცხლება-გაჯანსაღებისათვის. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა სახალხო სკოლების შექმნა, მათთვის ხელის შეწყობა, კადრებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. ამ საზოგადოების ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა, უდიდესმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა 1865 წელს გამოსცა ქართული საანბანო წიგნი — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის". მრავალი წლის განმავლობაში ამ სახელმძღვანელოთი ეზიარებოდნენ მშობლიურ ენას ქართველი ყმაწვილები. 1876 წელს კი მან ბავშვებს უძღვნა უძვირფასესი

ნობათი — ათი წლის დაუღალავი შრომისა და რუდუნების შედეგად გაუმჯობესებული საანბანო წიგნი „დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ მოთავსებული იყო უანრობრივად მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელთა უმეტესობა საბავშვო ფოლკლორის ნიმუშებია, როგორც თვით შემდგენელი მიუთითებს წინასიტყვაობაში, „პირველი ადგილი წიგნში უჭირავთ ზღაპრებსა“. ამ ზღაპრების უმეტესობა უშუალოდ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის მიერ წლების მანძილზე იყო ხალხში ნაგროვები, ნაწილი სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-დან აქვს ამოღებული, ნაწილი კი რუსულიდან არის გადმოკეთებული.

ხალხური ზღაპრების ზოგიერთი ნიმუში სტილიზებულია თვით შემდგენლის მიერ. ამით, ერთის მხრივ, მართალია, დარღვეულია ფოლკლორული მასალის შეკრებისა და პუბლიკაციის პროგრამისეული დებულება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ერთგვარად გამართლებულიც კია, თუკი აღიქმება როგორც ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისი იდეებითა და მოტივებით სახელმძღვანელოს გამდიდრებად, მოზარდი თაობის დასამოძღვრავად, ნაწარმოებთა პედაგოგიური ღირებულების გაზრდად. ამით „დედა ენაში“ შესული ფოლკლორული ნიმუშების მნიშვნელობა როდი დაკნინებულა; პირიქით, როგორც სამართლიანად მიუთითებდა პროფ. მ. ჩიქოვანი, პედაგოგიური თვალსაზრისით გადამუშავებულმა ზეპირსიტყვიერმა მასალამ კიდევ უფრო გაზარდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს როლიცა და პრესტიჟიც.

იაკობ გოგებაშვილის მითითებით, „დედა ენაში“ შესული ზღაპრების კითხვა მოწაფეებს მაშინ უნდა დაეწყოთ, როცა „ესენი კითხვაში გაიმართებიან“, მანამდე კი პედაგოგს თავად უნდა მოეთხრო მათთვის, ხოლო კითხვა სურვილის მიხედვით, კლასგარეშე უნდა ყოფილიყო.

საყოველთაოდ არის აღიარებული ზღაპრების უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, დასაბამიდან ღღემდე ზღაპარი მოზარდში ავითარებდა და ავითარებს კეთილშობილური იდეებისადმი მისწრაფებას, სიმართლისა და პატიოსნების სიყვარულს, შრომისადმი პატივისცემას, ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, სიკეთის სამსახურს; ახალთაობას უნერგავდა და უნერგავს შეურიგებლობასა და დაუმორჩილებლობას ყოველგვარი ბოროტებისა და ძალმომრეობისადმი, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ზღაპარი იმისთანა საჭვია, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად“.

საბავშვო ზღაპრების უმეტესობა ცხოველთა ეპოსის ჯგუფს განეკუთვნება, ცხოველთა სამყაროში გადატანილი ამბები და თავგადასავლები, მათ ურთიერთობებში შემჩნეული ნაკლი თუ ღირსება ყმაწვილთათვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელია და, ამდენად, დიდი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ფუნქცია ენიჭებათ. ამიტომაც ასე უხვად შეუტანია თავის უკვდავ სახელმძღვანელოში დიდ ქართველ პედაგოგსა და განმანათლებელს — იაკობ გოგებაშვილს ცხოველთა ეპოსის ნიმუშები.

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი „დედა ენის“ 33 გამოცემას მოესწრო. მის სიცოცხლეში „დედა ენა“ უკანასკნელად 1912 წელს დაისტამბა. მას შემდეგ ამ სახელმძღვანელოს ათეულობით გამოცემა განხორციელდა. საინტერესოა, რა ევოლუცია განიცადა ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრმა „დედა ენის“ შემდგომ გამოცემებში და როგორ არის წარმოდგენილი თანამედროვე სასკოლო სახელმძღვანელოში.

ქართულ ხალხურ საბავშვო ზღაპრებს შორის მეტად პოპულარული და ყმაწვილთათვის გამორჩეული ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“. კუმულაციურ ხერხზე აგე-

ბული ეს ზღაპარი იაკობ გოგებაშვილს ჩაუწერია მშობლიურ სოფელ ვარიანში და თავის პირველივე „დედა ენაში“ (1876) სასოებით შეუტანია. მას შემდეგ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ზღაპარი აქტიურ ზეპირ ბრუნვაშია და ბავშვთა რეპერტუარს ამშვენებს, მოძღვრავს ჩვენს პატარებს. ზღაპრის იდეა საყოველთაოდ არის ცნობილი: მეგობრისადმი დახმარება, გასაჭირში ჩავარდნილი მოძმის შველა.

საწუხაროდ, დღევანდელი პირველკლასელები მოკლებულნი არიან ამ მშვენიერი ზღაპრის წაკითხვას მათთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი წიგნის ფურცლებზე, თუმცა „რწყილი და ჭიანჭველას“ „დედაენისეული“ ვარიანტი უცვლელად ამშვენებს ფოლკლორულ კრებულებს. სრულიად გაუგებარია, რას უწუნებენ პედაგოგიკის დღევანდელი მესვეურები ამ მშვენიერ ზღაპარს, რისთვის ამოიღეს იგი „დედა ენიდან“?!

მოშაირდი თაობის ზნეობრივი ფორმირების საქმეში, კერძოდ კი უმწეოსადმი დახმარებისა და ბოროტის დათრგუნვის კეთილშობილური გრძნობების გამომუშავებაში, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა წრეში ძალზე გავრცელებულსა და პოპულარულ ზღაპარს „ჩიტი და მელა“. ეს უაღრესად საყურადღებო მორალური სენტენციებით დატვირთული ზღაპარი უშუალოდ ბავშვთა რეპერტუარსაც წარმოადგენს და უფროსებისასაც; ადრესატი კი, ბუნებრივია, ერთი ჰყავს — პატარა მსმენელი (თუ მთხრობელი) და მიზანიც ერთია: ბავშვების სულში აღძრას სამართლიანობის, სიკეთის სამსახურის, ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობა.

ზღაპარი „ჩიტი და მელა“ იაკობ გოგებაშვილმაც შეიტანა თავის პირველ „დედა ენაში“ და მას შემდეგ მრავალი ათეული წლის მანძილზე ამშვენებს იგი ჩვენს სეფე წიგნს.

„ჩიტი და მელა“ პირველი კლასისათვის განკუთვნილ დღევანდელ „დედაენაშიც“ შეუტანიათ, მაგრამ ერთობ უცნაური შემოკლებით; სარჩევშიც მიუთითებიათ ამის შესახებ, მაგრამ ტრადიციული მინაწერი — „ხალხური“, ანდა „ი. გოგებაშვილის მიხედვით“ — აღარსად ჩანს და, ალბათ, ბუნებრივიც არის, რადგანაც ის ზღაპარი ამგვარი ფორმით მართლაც აღარ არის ხალხური. არ შეიძლება გულისტკივილით არ აღინიშნოს, რომ იგი ცუდად არის სტილიზებული, დაკნინებულია და დაკარგული აქვს ის ელფერი და ხიბლი, რომლითაც ახლობელი და ძვირფასია ბავშვებისათვის. მართალია, ზღაპრის ეს ფრაგმენტიც სიკეთის გამარჯვებით მთავრდება, მაგრამ ის ძლიერი შთაბეჭდილება, რასაც ი. გოგებაშვილისეული „დედა ენის“ სრული ტექსტი ახდენდა, მიუღწეველი რჩება.

„ჩიტი და მელას“ თანამედროვე „დედაენისეულ“ ვარიანტში მთლიანად უარყოფილია ის მშვენიერი დასაწყისი, სადაც ყმაწვილები ეცნობიან ჩიტი-ჩიორას მიერ ბუდის მოწყობას, კვერცხების დადებას, ბარტყების გამოჩეკასა და ჩიორას უნაზეს დედობრივ სიხარულს, მის მზრუნველობას შვილებისადმი და ოცნებას: „ჩქარა დავაფრენ ბარტყებსო“. ყოველივე ეს კი პატარა მკითხველის (თუ მსმენელის) გონებასა და ფანტაზიას უხვად აპურებს, განაწყობს სიმპათიით შვილებზე მზრუნველი ჩიტისადმი, რაც აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მძაფრად განიცადონ შემდეგში დატრიალებული ტრაგედია.

ბავშვები უდიდესი გულისტკივილითა და სიბრალულის გრძნობით ადევნებენ თვალყურს ჩიტი ჩიორას სავალალო თავგადასავალს. მათ ნორჩ გულებში ისახება ჯანყი ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ და უდიდეს სიხარულსა და აღტაცებას გამოხატავენ, როცა მონადირე შურს იძიებს. ერთი სიტყვით, ცხადზე ცხადია, რომ დღევანდელი სასკოლო „დედაენისეული“ ვარიანტი დაკნინებულია, მოკლებულია იმ დრამატიზმს, რაც ესოდენ შთამბეჭდავ, ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს მკითხველსა თუ მსმენელზე. სიცხადისათვის მთლიანად მოგვაქვს ზღაპრის ეს შემოკლებული ვა-

რიანტი, რომლითაც, სამწუხაროდ, დღეს ჩვენი პატარები ვერ ეზიარებიან ამ ზღაპარს:
„ერთმა მსუნაგმა მელამ ჩიტის ბუდეს მიაგნო და დედა ჩიტს შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!

მწარედ დაღონდა ჩიორა. ბედად, სწორედ ამ დროს გაჩნდა კეთილი თედო, დასჟყივლა მელას, შეაშინა და გადაკარგა“.

როგორც ცნობილია, „ჩიტი და მელას“ ტრადიციულ ტექსტში მელა სამჯერ „ესტუმრება“ ჩიორას, სამჯერ მოსთხოვს ბარტყს და უმოწყალოდ შეუჭამს. ასე რომ, სამჯერ მეორდება მათი დიალოგი, ბოლოს კი ჩიტის ტრაგედია კულმინაციას აღწევს. სწორედ ეს დასასრული ახდენს უდიდეს ფსიქოლოგიურ ძვრებს ბავშვებში; მათ ებრალებათ ბოროტი, ხარბი მელასაგან შევიწროებული საწყალი ჩიორა და პატარა უსუსური ბარტყები.

გამწარებული დედა ჩიტისა და კეთილი მონადირის შეხვედრა, მონადირის სამართლიანი შურისძიება, ბარტყების გაცოცხლება უდიდესი დადებითი ემოციებით დატვირთული ეპიზოდებია, რომელთა იგნორირება ზღაპარს ძალზე ბევრს აკლებს. ამასთან, შემოკლებულ ტექსტში აღარ ჩანს მონადირის შთამბეჭდავი სახე, რომელიც ქართული საბავშვო ზღაპრებისათვის ტრადიციული და ესოდენ ახლობელია და რომელიც სამართლიანობის, სიკეთის, გამარჯვების რწმენას უნერგავს პატარებს. მისი შეცვლა „კეთილი თედოთი“ ვერაფერი გამოსავალია და ერთობ აკნინებს ამ დიდებულ ზღაპარს.

„ჩიტი და მელას“ ვრცელი ვარიანტი გამოიყენა შემდგომში ქართული ზღაპრების არსებულთა ყველა შემდგენელმა და ი. გოგებაშვილმაც „დედა ენის“ ბოლო გამოცემაშიც (1912) ეს ვარიანტი შეიტანა. ზღაპრის ვრცელი ვარიანტი დიდხანს ისწავლებოდა სასკოლო „დედა ენაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია რატომღაც დამახინჯდა და დღეს ჩვენს ბავშვებს უმოწყალოდ ვწირავთ და ვაიძულებთ, იკითხონ და შეიყვარონ ზღაპრის შემოკლებული, ცუდად პერიფრაზირებული და დაკნინებული ვარიანტი, რომელსაც ბოლო ხანებში გვათავაზობენ „დედა ენიდან“ და რომელიც სრულიადაც ვერ აღწევს თავის მიზანს; იგი შეუფერებელია სასკოლო სახელმძღვანელოსათვის და ვერავითარ როლს ვერ ასრულებს მოზარდთა ზნეობრივ ფორმირებაში.

„ჩიტი და მელას“ მოკლე ვარიანტმა მრავალი საჩოთირო საკითხი აღძრა. ქართული ხალხური ზღაპრისათვის ესოდენ საყვარელი კეთილი მონადირე მასში შეცვლილია ვინმე თედოთი. მართალია, იგი „კეთილი თედოა“, მაგრამ მისი ქველმოქმედება ერთობ უპერიპეტიო, დამაჯერებლობას მოკლებულია. თედოს სახის შემოტანამ ვერავითარი ღირსება ვერ შემატა ზღაპარს, ვერ შეცვალა კეთილი მონადირის საუკუნეებით დამკვიდრებული და ახლობელი სახე, ხოლო თედოს „ჭყივილით“ შეშინებული მელას გადაკარგვა ზღაპრის ფინალს უსუსურსა და გარკვეულწილად დაუჯერებელსაც ხდის.

მოკლე ვარიანტში ერთგვარად გაადვილებულ-გამარტივებულია დედა ჩიტის მდგომარეობა; აღარსად ჩანს მელიას სამგზის „სტუმრობა“ და ულმობელი ულტიმატუმი; აღარც ჩიორას გულშიჩამწვდომი ხმა, იძულებითი მოკრძალება დაუპატიჟებელი სტუმ-

რისადმი, მისი ძალმომრეობისადმი: — „რაო, ბატონო მელაო“? ყველაფერი გამარტივებულ-გაუფეროვნებულია — აღარც განწირული პატარა ჩიორები, აღარც დედის ტანჯვა!.. არადა, როგორი მღელვარებით ვისმენდით თუ ვკითხულობდით შემდეგ სტრიქონებს: „შეეშინდა საწყალ ჩიორას, აიყვანა ერთი ბარტყი და გადმოუგდო მელასა. მელამ პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა... დაღონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელას გადმოუგდო. მელამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მესამედაც მიცუნცულდა მელია და ჩიტს შესძახა...“

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ყმაწვილებზე ზღაპრის ფინალი, როცა გამწარებულმა, გაუბედურებულმა დედა ჩიტმა დატოვა მშობლიური არემარე, „შემოჯდა ერთ ხეზე მეტად დაღონებული. მონადირემ დაინახა და ჰკითხა:

— ეგრე მწარედ რამ დაგაღონა, ჩიორაო;

— არ გებრალები?! ერთმა წუწკმა მელამ შვილები დამიჭამაო.

— აბა, წამოდი, მაჩვენე ის წყეული და მეც გაყურებინებ მის სეირსაო!

ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა. მონადირემ მელას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევინა. დანით გაუფატრა მუცელი, ბარტყები ამოიყვანა და ბუდეშივე ჩაუსვა გახარებულ ჩიტუნას“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ზღაპრის უაღრესად დრამატული დასასრული — მონადირის მიერ ჩიტის გამოქომაგება და მოკლე ვარიანტისეული თედოს ჭყივილით მელას შეშინება ერთმანეთის ტოლფასი იყოს, ერთნაირ ეთიკურსა და ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენდეს ბავშვის ფსიქიკაზე. თუ იმას ვიტყოდით, რომ თოფის სროლა, ანდა დანით მუცლის გაფატვრა ჩვენი პატარების სათუთსა და ნაზ წარმოსახვებს აუხეშებს, სასტიკად შევცდებით, რადგანაც ასეთ შემთხვევაში უარი უნდა ვთქვათ ჩვენს დიდებულ ჯადოსნურ ზღაპრებზე, რომლებშიც სიკეთის გამარჯვება სწორედ ბოროტების დათრგუნვით ხდება; არც ის არის სათუო, რომ სწორედ ამგვარი ფინალია შთამბეჭდავი და ღირსსახსოვარი.

საიდან იღებს სათავეს „ჩიტი და მელას“ მოკლე ვარიანტი, საიდან შემოიტანეს იგი და წლების მანძილზე დააკანონეს „დედაენის“ ფურცლებზე მისმა შემდგენლებმა? როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ უკანასკნელი (1912) გამოცემა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველია „დედა ენა“, პირველი ნაწილი. ქართული ანბანი პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერებით და დედნით“ და მეორე — „დედა ენა“, მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ“. ეს ნაწილი ორწლიანი კურსისათვის არის გათვალისწინებული.

იაკობ გოგებაშვილის ამ ბოლო „დედა ენის“ საანბანო წიგნში, ე. ი. პირველ ნაწილში, შეტანილია ზღაპარი „ჩიტი და მელას“ მოკლე ვარიანტი, რომელიც, ჩვენი აზრით, არის დედანი დღევანდელ სასკოლო „დედა ენაში“ მოთავსებული ზღაპრისა. მათ შორის არავითარი სხვაობა არ შეინიშნება, გარდა იმისა, რომ ი. გოგებაშვილის შედგენილი სახელმძღვანელოს ვარიანტში მელიას ქომაგია „კეთილი სანდალა“.

ბუნებრივია, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველ ნაწილში „ჩიტი და მელას“ მოკლე ვარიანტის არსებობა სრულებითაც არ ამართლებს „დედა ენის“ დღევანდელ მესვეურთ, რადგანც ჩვენმა დიდმა პედაგოგმა იმავე „დედა ენის“ მეორე ნაწილში ეს ზღაპარი სრული სახით შეიტანა და იმ თაობის პატარებისათვის არ მოუკლია მისით ტკბობის სიამოვნება, არ დაუკნინებია ის განუზომელი აღმზრდელობითი ფუნქცია, რაც უსათუოდ ახლავს ზეპირსიტყვიერების ამ შესანიშნავ ნიმუშს. სამწუხაროდ, დღეს პირველი კლასის „დედა ენაში“ მოხმობილი ამ ზღაპრის დანაკლისს არც მეორე კლასის „დედაენა“ ავსებს.

ცნობილია, რომ თვით იაკობ გოგებაშვილიც მიმართავდა ზეპირსიტყვიერი ნიმუშების სტილიზაციას. ამაზე თავადვე მიუთითებდა ხოლმე სარჩევში და მიაწერდა: „შეცვლილი“, „გადასხვაფერებული“. ამ შეცვლა-გადასხვაფერებას თავისი დადი მიზანი ჰქონდა: ფოლკლორულ ნაწარმოებთა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ღირებულების გაზრდა. ამით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზეპირსიტყვიერების ღირსება არ კნინდებოდა. ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, საბავშვო ზღაპარი „ჩიტი და მელას“ დღევანდელი „დედაენისეული“ ვარიანტი არც პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურად არის გამართლებული და არც ტრადიციული ქართული ხალხური ზღაპრებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. „დედაენის“ მომავალ გამოცემათა რედაქტორ-შემდგენლებმა სერიოზულად უნდა იფიქრონ ამ საკითხებზე და გამოასწორონ წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომა, რათა მომავალ თაობებს სრული სახით, დაუმახინჯებლად მივაწოდოთ ჩვენი ეროვნული საუნჯედან მომდინარე სიკეთე და მადლი.

ქართული ხალხური ზღაპარი „გვრიტი“ ბავშვებში აღვივებს ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის კეთილშობილურ გრძნობას; ამავე დროს, 'ასწაელი', რომ ყოველგვარი ბოროტება და ავკაცობა მუდამ დამარცხდება და ისჯება, რომ საბოლოოდ მაინც სამართალი ზეიმობს. ეს ღრმად პედაგოგიური ზღაპარი იაკობ გოგებაშვილისეული „დედა ენის“ ყველა გამოცემას ამშვენებდა. აღსანიშნავია, რომ 1912 წლის „დედაენისეული“ ვარიანტი ყველაზე დახვეწილი და სრულყოფილია. სამწუხაროდ, ეს მშვენიერი ზღაპარი დღეს არც პირველი და არც მეორე კლასის „დედაენაში“ არ გვხვდება.

სიხარბე და გაუმაძღრობაა დაგმობილი ზღაპარში „მელია და მწყერჩიტა“. ხარბი მელას სამარცხვინო თავგადასავალი და კიდევ უფრო მეტად სამარცხვინო სიკვდილი, ეშმაკი და მოხერხებული მწყერჩიტას გაუთავებელი ოინები მოზარდს მრავალმხრივ აფიქრებს. ბავშვებისთვის საყვარელი და ახლობელი ეს ზღაპარი ი. გოგებაშვილმა შეიტანა როგორც „დედა ენის“ პირველ, ისე მომდევნო გამოცემებში. პირველ გამოცემაში მას ზღაპარი უწოდა, ბოლო (1912) წლის გამოცემაში კი — ხალხური არაკი. ტექსტები ერთმანეთის მსგავსია. შეიმჩნევა მცირედი განსხვავება. ერთი რამ კი ცხადია: იაკობ გოგებაშვილი გამუდმებით ზრუნავდა სახელმძღვანელოს დახვეწისა და სრულყოფისათვის. ამის დასტურია ისიც, რომ 1912 წლის „დედა ენაში“ მოთავსებული ტექსტი ამ ზღაპრისა უფრო დახვეწილია და სრულყოფილი; ამავე დროს, თავგატეხილი მელიასადმი მიმართული მწყერჩიტას ანდაზა — „სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვიო“ — უაღრესად შთამბეჭდავს ხდის ზღაპრის ფინალს. თითქმის იდენტურ ვარიანტს სთავაზობს ჩვენს პატარებს მეორე კლასის „დედა ენა“, რაც, რა თქმა უნდა, ღირსებას მატებს სახელმძღვანელოს.

მელიას მოხერხებულობასა და გაიძვერობაზე მოგვითხრობს ზღაპარი „მელა და თხა“, რომელიც ი. გოგებაშვილმა თავის პირველ „დედა ენაში“ შეიტანა. ამ ზღაპრის მიხედვით, ჭაში ჩავარდნილი ცბიერი მელა თხას ჩაიტყუებს, ზურგზე შეახტება და ზემოთ ამოვა. ამ ზღაპარს შემდგენელი არ უწოდებს ხალხურს. სავარაუდოა, რომ იგი თავად ი. გოგებაშვილს ეკუთვნოდეს. ასევე მისი უნდა იყოს ზღაპრები: „ღათვის და გლეხის ამხანაგობა“, „გლეხიკაცი და მელია“, „მელია და მგელი“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ შესულ ზღაპართა ერთი ნაწილი კი სულხან-საბასეულია. ანდა მის მსგავსად არის შედგენილი და ფასდაუდებელი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭებათ. ესენია: „მელია და წერო“, „ღარიბი გლეხი“, „თხა და მელია“.

ზღაპარი „მელია და წერო“ გმობს უგულისყურობასა და უპატივისმცემლობას სხვათა მიმართ, სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის დარღვევას. ამიტომაც ამ ზღაპრის ბოლოს ი. გოგებაშვილს დაურთავს ხალხური ანდაზები: „რასაც დასთესავ, იმას მოიმ-

კი“, „როგორც მოხვალ, სვინაო, ისე წახვალ შინაო“, „პური და გული სტუმარსა, წავა შინ მოაგონდება“.

მეოცნებე, ქარაფშუტა ხასიათია გაკიცხული ზღაპარში „ღარიბი გლეხი“, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის „გლახაკი და ქილა ერბოს“ მიხედვით არის შექმნილი. აქ საწყალი გლეხის მთელი იმედები დამყარებულია ჯერ კიდევ მოუკვლელ კურდღელზე.

ზღაპარი „თხა და მელა“ პატარებს ასწავლის პროტესტს ყოველგვარი ძალმომრეობისადმი. მოხერხებულმა თხამ შური იძია ეშმაკსა და გაუმაძღარ მელაზე, რომელიც ძალლებმა „ისე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლევანდელი ეშოვნათ“.

ზღაპარი „უშვილო კაცი და თაგვი“ ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემიდან გმობს ამპარტავნობას და ბავშვებს ასწავლის თავმდაბლობას, საკუთარი მოდგმისადმი პატივისცემას. ბოლოში ერთვის ანდაზა: „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“.

უმადურობის გაკიცხვა და ერთობის უძლეველი ძალა — ეს მარადადამიანური დარმა ჰუმანური იდეები უდევს საფუძვლად ზღაპარს „ვირი, ღორი, თხა და მამალი“.

ქართული ხალხური საბავშვო ზღაპრების, განსაკუთრებით კი ცხოველთა ეპოსის ნიმუშების დიდი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მისია კარგად ესმოდა იაკობ გოგებაშვილს და სწორედ ამიტომაც უხვად შეიტანა თავის „დედა ენაში“ ყმაწვილთა ბუნებისათვის ესოდენ ახლობელი ზღაპრები, რითაც მიღწეულია უდიდესი ეფექტი: აღუძრას და განუმტკიცოს მოზარდ თაობას შრომისადმი, სწავლისადმი, მაღალკაცობრიული იდეალებისადმი სიყვარული მათთვის გასაგები ლექსიკითა და მახლობელი თემატიკით.

სასურველი და აუცილებელია, ჩვენს პატარებს დღესაც ჰქონდეთ საშუალება, მათთვის ყველაზე ახლობელი წიგნის — „დედაენის“ ფურცლებიდან ეზიარონ იმ დიდხა და კეთილშობილურ იდეალებს, რასაც ქართული ხალხური საბავშვო ზღაპრები გვთავაზობენ.

გასულ საუკუნეში ჩვენი სახელოვანი „სამოციანელების“ წინაშე მდგარი პრობლემები ახლაც დღის წესრიგშია. დღეს ჩვენი გამოღვიძებული, აღორძინებული ეროვნული სული არანაკლებ საზრდოს მოითხოვს; ხოლო საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვერავითარ ზნემაღალს, ვერავითარ ღირებულს ვერ შექმნი, პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდები, „თუ დედაენით“ არ ხარ გაზრდილი“ და, ბუნებრივია, უაღრესად დიდი საპასუხისმგებლო საქმეა, რას და როგორ შევიტანთ ამ ჩვენს სათაყვანებელ სეფე წიგნში, რას გავატანთ სულიერ საგზლად ჩვენს შთამომავლობას, რომელმაც უსათუოდ თავისუფალ, ზნემაღალ საქართველოში უნდა იცხოვროს.

იური ბიბილეიშვილი

ქართული კომენიოლოგიის მესაძირკვლე

იაკობ გოგებაშვილი უნიკალური მოვლენაა ქართული პედაგოგიკის ისტორიაში. მას წილად ხვდა ეროვნული მისია — ილია ჭავჭავაძესთან ერთად ეროვნული და მსოფლიო მეცნიერების მონაპოვრების საფუძველზე აეგო ქართული მეცნიერული პედაგოგიკის დიდი ტაძარი.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლები რუსეთის იმპერიაში სოციალური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეცნიერული აზროვნების დიადი გამოღვიძების ხანაა. ბატონყმობით ხალხის უკმაყოფილებამ აიძულა ცარიზმი მოეხდინა გარდაქმნები ზემოდან და იმპერიაში გაეუქმებინა ბატონყმობა. ახალ ვითარებაში ახალი პერსპექტივები დაისახა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საჭიროებდა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდას. ეს ამოცანა კი ეროვნული ხასიათის აღზრდისა და განათლების მეცნიერებას უნდა გადაეწყვიტა.

იაკობ გოგებაშვილმა ღრმად შეისწავლა რუსული და მსოფლიო პედაგოგიკური კლასიკოსების ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედებითად განავითარა იგი საქართველოში. ყველაფერი ერთ მთავარ მიზანს — „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდას უკავშირდებოდა, რომლის მსოფლშეგნებაში განფენილი იქნებოდა ეროვნული და მსოფლიო ცივილიზაციის, ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის პრინციპები. ამ პრინციპების ერთ-ერთი მედროშე კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა იაკობ გოგებაშვილმა ჩეხი მეცნიერის, მოაზროვნისა და პედაგოგის იან ამოს კომენსკის სახეში შეიცნო.

კომენსკი მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელია. მან პირველმა ჩამოაყალიბა მწყობრი მეცნიერული მოძღვრება ყველასათვის ყველაფრის სწავლების უნივერსალური ხელოვნების შესახებ: „შემოკლებულად, სასიამოვნოდ, საფუძვლიანად“.

ამ მოძღვრების ამოსავალი პრინციპია ჰუმანისტური შეხედულებანი ადამიანზე. „ადამიანი ,— წერდა კომენსკი, — ყველაზე უფრო უმაღლესი, სრულყოფილი და უმშვენიერესი ქმნილებაა“. ამასთან კომენსკის მოძღვრებაში დასაბუთებულია ადამიანის — ამ „უმაღლესი და უმშვენიერესი ქმნილების“ შესაძლებლობათა უსაზღვროება. „არაფერია მსოფლიოში ისეთი, რომლის ჩაწვდომა ადამიანს, აღჭურვილს გრძნობითა და გონებით, არ შეეძლოს“, — მოძღვრავდა კომენსკი თავის მკითხველს („დიდი დიდაქტიკა“).

კომენსკის მოძღვრებით, სამყაროს შეცნობაში ადამიანის შესაძლებლობათა მთავარი იარაღი არის მშობლიური ენა. „საგნების ახსნა მხოლოდ მშობლიურ ენაზე ხდება“... „ჩვენ გვინდა განვავითაროთ მშობლიური ენები“. — წერდა კომენსკი და ეს იდეა უდიდესი მომხიბვლელობის ძალით ვრცელდებოდა ყველა ქვეყანაში, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში იყო ჩართული. გამონაკლისი ვერ იქნებოდა საქართველო და ქართველი პედაგოგი, რომელიც იან ამოს კომენსკის პედაგოგიკურ მოძღვრებაში ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული კულტურების დაცვისა და განვითარების იდეოლოგიას კისხულობდა.

კომენსკის ცხოვრებისა და პედაგოგიკური მოძღვრების საფუძვლიანი ცოდნა იაკობ გოგებაშვილმა კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში (1861-1863) შეიძინა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სწორად შენიშნავს ვ. ქაჯაია, რომ რუსეთის სასულიერო აკადემიებში პედაგოგიკის კურსს ძირითადად იან ამოს კომენსკის თხზულებათა მიხედვით კითხულობდენ, რადგან მისი პედაგოგიკური მოძღვრების რელიგიური სამოსელი ამ აკადემიების მიზანს შეესაბამებოდა“. (7.82).

იან ამოს კომენსკის სახელი იაკობ გოგებაშვილის ცნობიერებაში, უწინარეს ყოვლისა, ადამიანობის იდეალთან ასოცირდება. იაკობის აზრით, ერის ღირსება მისი გმირების საბე-ხასიათში ცლინდება, ამიტომ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხისა და მისი ხელმძღვანელების სულიერი ერთიანობის ორგანიზაციას. დიდ, საისტორიო საქმეებს დიდი ხალხი აგვირგვინებს... „ეგოისტ კაცთა და ტომთა არ ძალუძთ პედაგოგიკის სფეროში შემოქმედებითი ძალა აღმოაჩინონ“. (კ. 226) იან ამოს კომენსკი დიდი ხალხის შვილია, ხალხისა, რომელთანაც ქართველებს სულიერი ნათესაობა

აკავშირებს, რადგან ისიც, ქართველი ხალხი, დიდია თავისი წარსული ისტორიით. ამ კონცეფციას ემყარება იაკობ გოგებაშვილი წერილში „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი“, რომელშიც მითითებულია იმ გენეტიკურ მომენტზე, რომელთაც ქართველი პედაგოგი ეძებს სულიერი ნათესაობის კავშირებს მსოფლიო გამოჩენილ განმანათლებლებთან. ი. გოგებაშვილი წერს: „ქართველთა ბუნებრივი პედაგოგიური ნიჭი მიმდინარეობს ფრიად შესანიშნავი სათავედგან; ან უკეთ, საძირკვლიდან. ქართველთა სულიერი ორგანიზაცია ანუ აგებულება იმგვარია, რომ იგინი მოკლებულნი არიან ვიწრო ეროვნულს ინსტინქტს, გვარტომობის ცალმხრივობასა და აქვთ მიდრეკილება ფართო ადამიანობისადმი“ (ვ. 226). ამის შემდეგ რამდენიმე სტრიქონში, მაგრამ სკრუპულოზურად არის გამოხატული ქართული ხასიათის ჰუმანისტური და დემოკრატიული ბუნება, რომელიც, როგორც ღრუბელი, ისე იწოვს მსოფლიო მასშტაბის ალტრუისტი მოღვაწეების იდეებს. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ახასიათებს ი. გოგებაშვილი ალზრდის წარმატებებს ამა თუ იმ ხალხში და წარმატებებს ამა თუ იმ მოღვაწის პედაგოგიურ საქმიანობაში: „თუ ბერძნები გაცილებით სჯობნიდნენ რომაელებსა მოზარდის თაობის აღზრდისა და სწავლების საქმეში, ეს იმიტომ, რომ მათზე (რომაელებზე — ი. ბ.) უფრო გაცილებით კაცთმოყვარენი იყვნენ“. აქვე კონკრეტულ მაგალითზეც მიუთითებს ი. გოგებაშვილი: „ძველი დროის უდიდესი (ბერძენი) პედაგოგი სოკრატი ამასთან უდიდესი ჰუმანისტი იყო“.

ახლა, ვფიქრობთ, გასაგებია, რატომ ეთაყვანება იაკობ გოგებაშვილი ჩეხი მეცნიერისა და პედაგოგის იან ამოს კომენსკის სახელს, როგორც „კაცთმოყვარეობისა და ალტრუიზმის მნათობს“. იმავე წერილში — „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი“ იაკობი წერს: „პედაგოგიკის მამამთავარი კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი კაცთმოყვარეობის, ალტრუიზმის მნათობნი იყვნენ... ისეთი ფრიად რთული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორც ადამიანის აღზრდა და სწავლებაა, ხელიდგან გამოუვა მხოლოდ მათ, ვისაც ასულდგმულებს გულწრფელი სიყვარული მოყვასის მიმართ“.

იაკობ გოგებაშვილი იან ამოს კომენსკის აღიარებს როგორც უმაღლეს ავტორიტეტს მეცნიერებაში, როგორც ეტალონს ჭეშმარიტების დადგენაში. ამის ცოცხალი მაგალითი დადასტურებულია წერილში „წკიპურტის ნიმუში“, ხოლო როცა ამ ავტორიტეტს ვინმე საეჭვო ღირსების საკითხზე დაიმოწმებდა, ი. გოგებაშვილი არც ამას ანებებდა მათ. წერილში „უმეცრების ამაყობა“ იაკობი აკრიტიკებს პედაგოგ ანთიმოზ ჯულელს (გადაღმიელი), რომელმაც „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ წინააღმდეგ დაწერილ რეცენზიაში იან ამოს კომენსკის სახელი არასწორად დაიმოწმა.

იაკობ გოგებაშვილი სიყვარულითა და ინტერესით სწავლობდა კომენსკის სამშობლო ჩეხეთის ისტორიას. მისი ხალხის განათლების სისტემას და მას ნიმუშად უსახავდა ქართველ ხალხს თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ის ისე ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული ჩეხი ხალხის ეროვნული მოძრაობისადმი, რომ ერთხელ შეხვედრის დროს შავრაზმელმა ვოსტორგოვმა საყვედურით უთხრა იაკობს: „თქვენს სიტყვებში გამოისმის იდუმალი ავტონომიური იდეა, ჩეხური ნაციონალიზმი“. (4. 470).

იან ამოს კომენსკის სახელი, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი „პედაგოგთა მამამთავარს“ უწოდებს, როგორც პედაგოგიკური მეცნიერების უდიდესი ავტორიტეტი, ხშირად ფიგურირებს იაკობის თხზულებებში და განსაკუთრებით მის ძირითად თეორიულ ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“. ამ ნაშრომით იაკობმა მეცნიერულად განსაზღვრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებზე დამყარებული ახალი ქართული პედაგოგიკის მიმართულება, მისი ამოსავალი დებულებებია: „დედაენა — ძირითადი ეროვნული ძალა — მთავარი ბურჯი ეროვნებისა“, „მხოლოდ დედაენა ხსნის ყოველ ადამიანში ერთს განსაკუთრებულ ნიჭსა, რომელიც მიმადლებული აქვს მხოლოდ მეტყ-

ველს ადამიანსა... ეს ნიჭი გახლავთ ალღო ენისა", „ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედაენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით".

იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა ქართულ სკოლებში ქართული ენის პოზიციების დაცვისა და რუსული და უცხო ენების შესწავლაში ბუნებრივი წესრიგის დაცვისათვის. რუსი კოლონიზატორები ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოს სკოლებისათვის ისეთი სასწავლო გეგმების შედგენასა და პრაქტიკაში დანერგვას, რომლის მიხედვით რამდენიმე ენის ერთად სწავლება იყო გათვალისწინებული და მისი საბოლოო მიზანი მშობლიური ენის შევიწროება იყო. ამ პრობლემას იაკობმა 1890 წელს მიუძღვნა თეორიული ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა", რომლის მეხუთე თავი სპეციალურად დაუკავშირა რამდენიმე ენის ერთდროულად სწავლებას და ცხადჰყო მისი დიდი მავნეობა ბავშვის გონების განვითარებისათვის. იაკობი დარწმუნებულია, რომ ბავშვის ჩვილი გონება რამდენიმე ენას ერთსადაიმავე დროს ვერ ითვისებს: „ენის შეთვისების შეყენებას მოუცილებლად მოსდევს აზრისა და გრძნობების შეფერხება და ამიტომ ამგვარად აღზრდილი ბავშვები უკან რჩებიან როგორც მეტყველებაში, ისე აზროვნებაში". ამ მოსაზრებისათვის დამაჯერებელი ძალის მისანიჭებლად იაკობი მიმართავს იან ამონ კომენსკის და იმოწმებს მის სიტყვებს: „ბავშვს ჯერ დედაენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი — მეორის შემდეგ, თუ ერთს დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევს": —ამბობს პედაგოგთა მამამთავარი კომენიუსი" (2.216).

„ბურჯი ეროვნების" მე-13 თავში განხილულია „ობლობა და დაძაბუნება უდედაენო ადამიანისა" და აღნიშნულია, რომ „ადამიანი, მოკლებული დედაენის ციდნას და მკვიდრს სულიერ კავშირს თავის სამშობლოსთან და ერთან, მიემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავის თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ". ამ პრობლემის გადაწყვეტაში იაკობი განსაკუთრებულ როლს აკუთვნებს ოჯახს და მშობლებს ურჩევს, რომ ჯერ მშობლიური ენა შეასწავლონ შვილს და შემდეგ სხვა ენები. ეს იდეა ი. გოგებაშვილს აღებული აქვს იან ამოს კომენსკისა და კ. დ. უშინსკისაგან... თავის განთქმულ „დიდ დიდაქტიკაში" იან ამოს კომენსკი აკრიტიკებს იმ მშობლებს, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ მშობლიური ენის აღმზრდელობით და განმავითარებელ ფუნქციას და წერს: „გსურდეს ასწავლო ვინმეს უცხო ენა, სანამ ჯერ დედაენას შეითვისებდეს, ეს უდრის იმას, რომ ვინმეს სურდეს ასწავლოს თავის შვილს ცხენოსნობა, სანამ სიარულს ისწავლიდეს" („დიდი დიდაქტიკა" XXIX.5). იაკობი სწორედ ამ სიტყვებს იმოწმებს თავიანთი კონცეფციის გაძლიერებისათვის და მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ სავალალო შედეგებზე, რაც ოჯახში მშობლიური ენისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას მოჰყვება ბავშვისათვის.

სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღესაც გადაუწყვეტელია საქართველოში. რუსული ენის სწავლება, თანამედროვე ქართული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით, იწყება პირველი კლასიდან, როგორც ამას თავის დროზე (1881 წ.) მოითხოვდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი შავრაზმელი პ. იანოვსკი. მოქმედი სასწავლო გეგმით, პირველ კლასში რუსულ ენას დათმობილი აქვს 3 კვირეული საათი, მეორე კლასში — 5 და მესამე-მეოთხე კლასებში — 6-6 კვირეული საათი. მეხუთე-მეექვსე კლასებში მშობლიური ენისა და ლიტერატურისათვის განკუთვნილ საათებს ფაქტიურად უტოლდება რუსული ენისათვის შესასწავლად განკუთვნილი საათების რაოდენობა. ამრიგად, სიტყვით ხოტბას ვასხამთ ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ბრძოლას იანოვსკის წინააღმდეგ, ხოლო პრაქტიკულად კი იმასვე ვაკეთებთ, რისთვისაც იანოვსკი იღვწოდა. პარადოქსია! განა რაიმე შეიცვალა ბავშვის ბუნებაში ენების შესწავლასთან დაკავშირებით იმით, რომ 1917 წელს რუსეთის ხე-

ლისუფლების სათავეში რომანოვების ნაცვლად ბოლშევიკები მოვიდნენ?!. ამით, რა თქმა უნდა, ბავშვის ბუნებაში არაფერი შეცვლილა, სამაგიეროდ შეიცვალა ფაქტისადმი ჩვენი დამოკიდებულება. ფაქტებზე მაღლა დავაყენეთ იდეოლოგია და ყველაფერი მისგან გამოვიყვანეთ, მაშინ, როცა პირიქით უნდა მიმდინარეობდეს, ხსნიდეს მის შინაარსს და ხელს გვიწყობდეს სამომავლო სწორი ორიენტაციის შემუშავებაში.

ახლა ამ საკითხის (რუსული ენის სწავლებისადმი ყურადღების გადამეტება) მეორე მხარეც გაგვიხდა სადარდებელი. იმის გამო, რომ რუსული ენის სწავლება ჩვენს ქვეყანაში გასცდა საგანმანათლებლო ფარგლებს და ფაქტიურად სოციალურ მოვლენად იქცა, ბევრი ქართველი ბავშვი, ქართულ ოჯახში და ქართულ გარემოში გაზრდილი, მშობელს რუსულ სკოლაში შეჰყავს... გულსატენი აქ ბევრი რამ არის, მაგრამ ყველაზე მეტად ის გვტკენს გულს, რომ ქართული პედაგოგიკური აზროვნების უკვდავი ჰეშმარიტებანი სრულიად დაივიწყა იმან, ვისაც ყოველთვის უნდა ახსოვდეს სასწავლო გეგმების შედგენის დროს. გულსატკენია ისიც, რომ პედაგოგიკური მეცნიერების თანამედროვე თაობამ საქართველოში ვერავითარი პრაქტიკული სამსახური ვერ გაუწია მოსახლეობას ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლისა და სხვა კლასიკოსთა მემკვიდრეობის შესასწავლად იმ დარგში, რომელიც არკვევს ბავშვის გონებრივი და ზნეობრივი სამყაროს განვითარებას, მშობლიური და უცხო ენების დამოკიდებულებას ბავშვის ბუნებრივი და ზნეობრივი განვითარებისადმი.

საქმის ვითარებას კიდევ უფრო დრამატულს ხდის ის, რომ ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლება ჰეშმარიტად სახელმწიფოებრივ დონეზეა გადაწყვეტილი, მაშინ, როცა მშობლიური ენის სწავლება **წმინდა ეროვნული კულტურის** სიბრტყეში წარმოდგენილი.

იაკობ გოგებაშვილმა კომენსკის ნოვატორულ პედაგოგიკურ მოძღვრებას ღრმად გაუდგა ძირები ქართულ პედაგოგიკაში. გარდა იმისა, რომ კომენსკის თეორიულ დებულებებზე დამყარებით იაკობი შემოქმედებითად ავითარებდა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებას, ამასთან პრაქტიკული ხასიათიც მიანიჭა კომენსკის იდეების სოციალიზმის ქართულ სინამდვილეში. ი. გოგებაშვილი იზიარებდა ი. ა. კომენსკის ძირითად პედაგოგიურ იდეას, რომ მთავარია ბავშვებში ადამიანების აღზრდა, რაც პირველ რიგში გონებრივი განათლების გზით არის შესაძლებელი, სოლო გონებრივი განათლების შინაარსი სახელმძღვანელოებშია მოცემული. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი დ. ლორთქიფანიძე წერს: იაკობ გოგებაშვილი არა მარტო ზოგადპედაგოგიკურ იდეებსა და დიდაქტიკურ პრინციპებს იზიარებდა და თვლიდა მას თავის მასწავლებლად, არამედ, რაც მთავარია, მისი უკვდავი „დედაენა“ და „ბუნების კარი“, ისევე როგორც უშინსკის სახელმძღვანელოები კომენსკის სახელმძღვანელობის პრინციპების დიდი გამოყენებითაა შედგენილი“ (5.420) ი. ა. კომენსკისა და იაკობ გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები ერთნაირად ემყარებიან მატერიალისტურ სენსუალიზმს, რომლის მიხედვით შემეცნების ერთადერთ წყაროს გარეგანი შეგრძნებები წარმოადგენს.

იან ამოს კომენსკისადმი იაკობ გოგებაშვილის დიდი ინტერესი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პედაგოგიკური თვალსაზრისით. პროფესორმა ტ. სარიშვილმა ნაშრომში „საქართველოში კომენსკის პედაგოგიკურ შეხედულებათა გავრცელების ზოგიერთი საკითხი“ ჩვენი ყურადღება მიაქცია იმას, რომ იაკობი თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეალების შემუშავებისა და განსაზღვრის საკითხს მჭიდროდ უკავშირებდა იან ამოს კომენსკის მოღვაწეობას. (6). ი. გოგებაშვილი წერდა: „მე გახლდით და ეხლაც ვარ წმინდა ეკოლუციონისტი, სისტემატური რეფორმების მონატრული მიმდევარი და მქადაგებელი, როგორებიც იყვნენ პედაგოგები ევროპისა: კომენიუსი, პესტალოცი, ჟაკოტო, დისტერვეგი და რუსეთში უნიჭიერესი პედაგოგი უშინსკი და სხვანი.

1963
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა ამ პედაგოგებთან ერთად მეც იმ აზრისა ვარ, რომ პედაგოგიური პრინციპი თანდათანობით განვითარებისა საუკეთესო მეთოდია ხალხის პოლიტიკური აღზრდისთვისაც, მისი ამაღლებისათვის, კეთილდღეობისათვის". (ს.226)

იაკობ გოგებაშვილი მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე სწავლობდა იან ამოს კომენსკის მოძღვრებას, ანვითარებდა მას საქართველოს ეროვნული სკოლის ინტერესების მიხედვით და შემოქმედებითად იყენებდა ქართული კლასიკური პედაგოგიკის ჩამოყალიბებისათვის. კომენსკის სახელს, მის ავტორიტეტს იაკობი ყოველთვის ღრმა მოკრძალებით ეკიდებოდა და თვლიდა მას „პედაგოგიკის მამამთავრად". შესაბამისად, მსოფლიო პედაგოგიკის ფუძემდებლის კომენსკის იდეების შემოქმედებითად განმავითარებელს საქართველოს პირობებში იაკობ გოგებაშვილს ჩვენი ხალხი სიყვარულით უწოდებდა „ქართველ კომენსკის" (ს.15).

ქართული კომენიოლოგია, რომელსაც საფუძველი იაკობ გოგებაშვილმა ჩაუყარა, ღლეს მსოფლიოში აღიარებული დარგია პედაგოგიკის ისტორიისა. საქართველოში მისი ვანვითარების 100 წელზე მეტი ხნის ისტორია თვალნათლივ ადასტურებს, რომ საერთოდ კომენიოლოგიისა და მეტადრე ეროვნული კომენიოლოგიის განვითარებისათვის ქვეყანას დიდი პედაგოგიური კულტურის ტრადიციები უნდა მოსდგამდეს.

კომენიოლოგიის განვითარებისთვის საქართველოში პირობები დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. მაგრამ მისი საგნობრივი ხორცშესხმა საჭიროებდა ახალი ტიპის პედაგოგთა კადრებს, რომლებიც ევროპული კულტურის დონეზე იქნებოდნენ წარმოდგენილი. ასეთი კორპუსი ქართველი პედაგოგებისა ჩვენში მე-19 საუკუნეში მომზადდა, რაშიც ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის უკვდავ ქართველ პედაგოგსა და მოაზროვნეს იაკობ გოგებაშვილს.

ლიტერატურა

1. იან ამოს კომენსკი — რჩ. პედ. თხზ., ტ.I. თბ. 1949.
2. ი. გოგებაშვილი — თხზ. ტ. 2.
3. ი. გოგებაშვილი — თხზ. ტ. 3.
4. ი. გოგებაშვილი — თხზ. ტ. 4.
5. დ. ლორთქიფანიძე — იან ამოს კომენსკი — თბ. 1979.
6. ტ. სარიშვილი— ახალგაზრდობის აღზრდის აქტუალური საკითხები — თბ. 1978,
7. ვ. ჭაჭაია — წერილები — თბ. 1974.
8. ზ. ჭიჭინაძე — იაკობ გოგებაშვილი — თბ. 1900.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი კარგი ქვეყანა...

პიესის ერთი სურათი

„ივერიის“ რედაქცია. კაბინეტში სხედან ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი.

ი. ჭავჭავაძე. (შენიშნავს კარში მდგომ მსახურს) გისმენთ!

მსახური. ბატონო ილია, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს სურს თქვენი ნახვა. (შემოდის შერიფი).

ი. ჭავჭავაძე. (ხელს ართმევს). მოგესალმებით, ბატონო შერიფ!.. გთხოვთ, იცნობდეთ, იაკობ გოგებაშვილი გახლავთ, „დედა ენის“ წიგნის დამწერი.

შერიფი. ძალზე მოხარული ვარ, ბატონო. (ხელს ართმევს).

ი. ჭავჭავაძე. ვიცი, საიდუმლო მისიით ხართ ჩამოსული თბილისში, ბატონო შერიფ... მაგიდასთან არ გვინდა, აგერ ტახტზე ჩამოვსხდეთ. (სხდებიან).

შერიფი. ჩე საიდუმლო თქვენთან არაფერი მაქვს.

ი. ჭავჭავაძე. გისმენთ.

შერიფი. მე მინდა, თავადო, მოგახსენოთ ჩემი ცხოვრების უმთავრესი თავგადასავალი გულმართლიანობითა... მე, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ავახილე თვალი. თავიდანვე ჩემ თანამემამულეთა, ჩემ მოძმეთა ტანჯვის, ჩაგვრის, თავში ცემის მეტი არა მინახავს რა.

ი. ჭავჭავაძე, პირადად თქვენ ტანჯვა და ჩაგვრა, მგონი, არ შეგხვედრიათ.

შერიფი. ჩემის ღირსების შესაფერისად მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც... კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამაპაპეული თუ ჩემგან შეძენილი, რომლითაც შეიძლო გალაღებითა და შვებით სიცოცხლე, მაგრამ ესე ყველა გამოჩენილობა თვალში სულ არაფრად მომდიოდა, რადგან ვხედავდი ოსმალოების უსამართლობას, მძლავრობას, ძარცვა-მგლეჯელობას, დამაქციელობას და ჩემს ტკბილ სამშობლოს უკიდურეს აოხრებას, გატიალებას!

ი. ჭავჭავაძე. თუნდა დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაეღლიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

შერიფი. 1853 წელს ომიანობისა ცოტა რამ იმედი მომეცა, ვამბობდი, აგერ ახლა გამოვალ თურქეთის ქვეშევრდომობისაგან, ჩემისთანებსა და ჩემს ქვეყანასაც გამოვიხსნი იმათ მტარვალობისაგან და რუსეთს შევუერთდები-მეთქი, მაგრამ, საუბედუროდ, ყოველი საშუალი გამიწყდა, გზა-კვალი დამეხშო, ყოველგნით ფოლხი მომადგა და ხელი მომეცარა... ხელახლა უნდა ვცადო ბედი, იმიტომ ჩამოვედი ახლა თბილისში.

ი. გოგებაშვილი. ხომ კმაყოფილი ხართ? ბევრს გაიცნობდით.

შერიფი. დავუახლოვდი თბილისის სხვადასხვა წარჩინებულ პირთა, თავადთა და

აზნაურთა.,. ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერასდეს დავივიწყებ იმათ დიდ მოკეთეობას.

ი. ჭავჭავაძე. ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაც ჰქონდათ — მტრის და მოყვარის პასუხისგება, ვისგანაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.

შერიფი. გმადლობთ, თავადო, შესანიშნავადაა ნათქვამი.

ი. ჭავჭავაძე. (იცინის). მე ნუ მიხდით მადლობას, ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა თქვა... სამწუხაროა, რომ მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენი ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი.

ი. გოგებაშვილი. საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყანა ოსმალოს დაუპყრია, ცდილობს აქაური ქართველების დამორჩილებას, მაგრამ დახეთ ქართველი ტომების სიმტკიცეს, სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, ცხოვრება ისევ ძველი, ქართველობისა აქვთ.

შერიფი. აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება!

ი. გოგებაშვილი. მთელი აჭარა მხოლოდ ქართველებით არის დასახლებული. აჭარელი მარდია, მხნე და გამბედავი, თოფ-იარაღი ძლიერ უყვარს და მეტად მარჯვე მსროლელიც არის... **(ილიას)**, შენი „იანიჩარი“ მაგონდება, ჩემო ილია.

აგერ რაზმიდან ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა,
შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ჟღერანმა,
მიჰქრის, მიფრინავს, მიჭენავს, უკან მისდევს
მტვრისა ბუქი,
მასზედ ჰზის ივერიელი ჯაბუკი ვინმე ჩაუქი.

ი. ჭავჭავაძე. (აგრძელებს)

შვენოდა იგი ჯაბუკი ცხენზედა, ვით ალვა რგული,
მაგრამ მე, მის მჭვრეტელს, ნაღვლით ამერია სული, გული,
ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა,
შენი რ.აა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა.
შენს სიმართლეს, სიჩაუქეს, ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჯაბუკს გულს არ გიხალისებს.

შერიფი. შესანიშნავად დაგიწერიათ, თავადო... ჩვენს ხალხზე ამაზე უკეთეს ვერაფერს იტყვი.

ი. გოგებაშვილი. აჭარლების ზნეობრივი თვისებები კარგად ვიცი. ეს არის მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მიგებება, ღირსეულად თავის დაჭერა, ჭრდილობა, თავაზიანობა, ცნობისმოყვარეობა და დაუღალავი გამრჯელობა.

ი. ჭავჭავაძე. უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი ახლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. პირველად ქრისტიანობამ სწორედ აქ მოიკიდა ფეხი.

შერიფი. სწორი ბრძანებაა. აჭარაში ყველგან გაიგონებთ, რომ ჩვენ ერთ დროს ქრისტიანები ვიყავით.

ი. ჭავჭავაძე. დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსახათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმლად თურმე.

ი. გოგებაშვილი. ზოგიერთი ერთმანეთში ურევს რელიგიასა და ეროვნულობას. ოსმალეთის ქართველებს უწოდებენ ოსმალებს, რომელთანაც მათ არაფერი აქვთ საერთო.

ი. ჭავჭავაძე. სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც.

ი. გოგებაშვილი. ჭეშმარიტად დიდებული ისტორია აქვს ამ შესანიშნავ კუთხეს.

ი. ჭავჭავაძე. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამოდებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს.

შერიფი. ერთ დროს კი, მაგრამ...

ი. გოგებაშვილი. ხალხი დღესაც სასოებით დაიარება თურმე აქაური ეკლესიების ნანგრევებში და შესაწირავიც მიაქვთ. იმათ ახსოვს, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან. გიორგი ყაზბეგის ნათქვამი მაგონდება აჭარაში მოგზაურობიდან. აი, სწორედ ბატონ შერიფთან რომ მიდიოდა სტუმრად... სოფელ ღორჯომში რომ დავეშვით, შორიდან ნახირი დავინახეთ, თანაც პატარა ბიჭების გროვაც შევამჩნიეთ. მალე იმათი ყივილ-ხივილი ცხადად მოგვესმა. აჭარლები პირველად ვნახე და ვფიქრობდი, ნუთუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებიან? ნუთუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლებულია? ბოლოს ახლოს მივედი და, ღმერთო ჩემო, თურმე ისევ ქართველები ყოფილან, ბალღები ქართულად ილანძღებოდნენ!

შერიფი. სასიამოვნოა თქვენგან ყველაფერი ამის მოსმენა. მაგრამ ხომ უნდა ეშველოს საუკუნეებით უწყალოდ ტანჯულ ჩემს ხალხს?

ი. ჭავჭავაძე. პირადად თქვენაც, ბატონო შერიფ.

შ. ხიმშიაშვილი. რკინის გალიაში შემწყვდეული ვეფხვის მდგომარეობას ჰგავს ჩემი მდგომარეობა, მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას, ჩემი ქვეყნითურთ, თურქეთის ხელიდან და რუს სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში შესვლას, რომლის მფარველობაში იყვნენ დიდი ხნის მიღმა ჩემი უმრავლეს საყვარელ მოძმეთა მხარე-ქვეყნები: იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთის მცირე ნაწილი და სხვა.

ი. გოგებაშვილი. ბატონო შერიფ, ბოდიშს გიხდით, მაგრამ მერცხლისა და მეცხვარის არაკს ხომ არ წააგავს თქვენი მცდელობა?

შ. ხიმშიაშვილი. რა არაკზე ბრძანებთ?

ი. გოგებაშვილი. ზამთარი მიწურული იყო. ერთი მერცხალი დაწინაურებულიყო, ადრე მოვიდა ჩვენს ქვეყანაში და ჭიკჭიკი მორთო. მეცხვარეს ეგონა, ეს არის გაზაფხული დადგაო და ცხვარი გაკრიჭა, მაგრამ მეორე დღეს დადგა სიცივე, მოვიდა თოვლი და გაკრეჭილი ფარა სულ გაწყვიტა. მაშინ მეცხვარემ თქვა:

— ახლა კი მივხვდი, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

შერიფი. ჩემამდე კიდევ სხვა მერცხლები იყვნენ, ჯერ კიდევ ჩემი დიდი წინაპარი სელიმ ხიმშიაშვილი იბრძოდა საქართველოსთან დაბრუნებაზე, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფე ერეკლე მეორესთან, სოლომონ მეფესთან, სხვა წარჩინებულ ქართველებთან... გაუგეს და შეიპყრეს... როდესაც ოსმალები თავს ჰკვეთდნენ, სელიმს ასე უთქვამს: მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალეთს არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს ვუტოვებო!.. რასაკვირველია, ისეთებიც იყვნენ, სულ სხვანაირად რომ ფიქრობდნენ, ამის დაფარვაც არ არის საჭირო... ზნეობრივი საშინელი გარყვნა, განებივრება, ავგულობა, მეთავეობა, სიხარბე, მგლეჯელობა, მოსისხლეობა, ჭრა, კვლვა და მისთანა ღუპავდა ჩემს ქვეყანას... განა მოიპოვება ყოველთვის სადმე ამისთანა ერთგული მეგობარი, რომ შენი ხვაშიადი მიანდო, პატიოსნად

შეგინახოს და არ გაგთქვას?.. როგორც კი შეიტყვეს ჩემი წამოსვლა თბილისში, მეღრე დღესვე მისულან სხალთას და ჩემი საბლ-კარი გადაუწვიათ, შემიტყვეს, რომ ცოცხალი აქეთკენ მეჭირა და ძალიან განზე მიყურებდნენ...

ი. გოგებაშვილი. წუთისოფელი ულმობელია. ტკბილთან ერთად ბევრი მწარეც უნდა შეგვახვედროს... მგონი, უკვე დროა ბატონი ილიას ნათქვამიც გავიხსენოთ:

მას ნუღარ ვტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა.

ი. ჭავჭავაძე.

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ აწლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.

შერიფი. კაი იქნება, ბატონებო, აჭარლებიც თქვენთან იყვნენ შემოერთებული, მაგრამ თუ იგი არ მოხდა, საცა უნდა იქნეს, ვინატროთ, ბედნიერად იყვნენ. განათლება სჭირდებათ, ბატონებო, იმათ.

ი. გოგებაშვილი. განათლება, რასაკვირველია, დიდი ძალაა.

შერიფი. აბალგაზრდა კაცები ხართ, განათლებული, წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ... და ასეც უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე დატოვებთ... ღმერთმა ქნას, მეცა და ჩემთა მოძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება, შეეერთებულიყავით მტკიცედ, ძმურად ჩვენს დიდი ხნის დაშორებულ ძმათა სულითა და გულით ყოველ კეთილ-განწყობილებათა, ხელი-ხელს მოგვიცეს და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯები, რიც განთქმული იყვნენ ჩვენი წინაპრები საქვეყნოდ.

ი. გოგებაშვილი. ღმერთმა გისმინოთ, ბატონო შერიფ!

ი. ჭავჭავაძე. დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი. წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია.

ი. გოგებაშვილი. მე მწამს ხვალინდელი ბედნიერი დღისა!

ი. ჭავჭავაძე. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი ჩვენლა სასიქადულოდ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის დაშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს. თავის პატიოსან და ლმობიერ გულზედ მიიყრდნობს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავს ჩვენთა დიდებულ მამა-პაპათა.

(სინათლე თანდათან ქრება. წამყვანი გამოდის სცენაზე. გაისმის „ხორუმის“ საბრძოლო მუსიკა. შემდეგ თოფებისა და ზარბაზნების ხმა, საბრძოლო ყიჟინა).

წამყვანი. 1877 წლის 12 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, ერთი წლის შემდეგ ლონდონის გაზეთ „ტაიმსში“ ბათუმიდან გამოგზავნილი ასეთი ცნობა დაიბეჭდა. (კითხულობს). „ბათუმის ასაღებად რუსები ორი გზით მოდიან: — მდინარე ჩოლოქიდან და არდაგანიდან“...

რუსეთ-თურქეთის სამი ომის განმავლობაში არ მომხდარა ისეთი სისხლისღვრილი შეტაკება, როგორც ციხისძირის ბრძოლაში მოხდა, მარტო აქ დაიღუპა 2.000-მდე რუსი ჯარისკაცი და ქართველი მილიციელი, გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის სიტყვებით (კითხულობს), „ისეთი ბრძოლა ყოფილა, მსგავსი არც ჩემს სიცოცხლეში მინახავს და არც ძველი კაცებისაგან გამიგონიაო“.

1878 წლის 25 აგვისტოს დამარცხებულმა დევრიშ-ფაშამ ბათუმის გასაღები გამარჯვებულებს გადასცა.

(იხევ „ივერიის“ რედაქცია. ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი).

ი. ჭავჭავაძე. ჩვენი ძმები, ჩვენთან ერთად მებრძოლი „შავის ბედისა“, ჩვენი ვმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საჭართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა.

ი. გოგებაშვილი. ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრივ 1878 წელი ჩვენთვის ფრიად ღირსსახსოვარია, თუმცა ძალიან ძვირად დაგვიჯდა ყოველივე ეს.

ი. ჭავჭავაძე. წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანთქა ქართველებისა, ბევრმა ვაჟკაცმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი, ბევრმა ჩვენმა ოფიცრობამ თავისი ცმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში: ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიყვარული, და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა...

ი. გოგებაშვილი. ამ ომმა დიდი ხნის დაშორებული ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა; ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი გადაესხა. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს დაღუპულთა ხსოვნას.

ი. ჭავჭავაძე. სწორედ მაგ საკითხს ვუძღვნი ჩემ წერილს ხვალინდელი „ივერიის“ საშინაო მიმოხილვაში... ახლავე წაგიკითხავთ **(კითხულობს).** „თქვენ საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით, და საცა ლხინი იყო, უკანასკნელნი... სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველებისა უქმი სიტყვა არ არის.

ამ ომში, საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ-გული და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენი ხნის დაშორებული ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა... ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა.

ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არ გვითმობს?

ი. გოგებაშვილი. შესანიშნავად დაგიწერიათ! ახლადშემოერთებულ ძმებს არ უნდა მოვაკლოთ ჩვენი ყურადღება.

წამყვანი. წავიკითხოთ ვაჟა-ფშაველას ერთი წერილი **(კითხულობს):** „დიდი სიამოვნებით ვეგებები მუსლიმან ძმებისათვის ჩვენი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას. გულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს ეროვნული დულაბი კვლავ შეაერთებს.

პირადად დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო — დიდებული მესხეთი, ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამუსლიმანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა. აქ გაფანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა, წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ისინი და ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართველი წინაპრებისა. დღეის დღეობით ქართველი მუსლიმანებისათვის ყველაზე უფრო საჭიროდ მიმაჩნია მორალური და ნივთიერი დახმარება“.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ფულის გაცემის ბარათს. მასზე ასეთი წარწერაა: „მიღებულია ვაჟა-ფშაველასაგან გადასაცემად აჭარლებისათვის 7 მანეთი და 25 კაპიკი“.

ი. ჭავჭავაძე. ყოველი მხრიდან ისმის, რომ ჩვენი მოძმენი — აჭარლები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიანო. ყური დაუგდე, რას გვწერს ქედიდან აბდულ მიქელაძე.

წამყვანი. აბდულ მიქელაძე ერთი ქართველი პატრიოტთაგანია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაში.

თავისი ქვეყნის ერთგულ შვილსა და საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლს სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან.

(განათდება სცენის მარცხენა მხარე, სადაც წამყვანი დგას წერილით ხელში და კითხულობს).

წამყვანი. დიდად პატივცემულო ბატონო ილია გრიგოლის ძევ!

აჭარლებს ყოველთვის დიდი იმედი ჰქონდათ მისი მოძმე ქრისტიანი ქართველებისა, სწამდათ, რომ ისინი გაჭირვების დროს ყველაფერს დაივიწყებდნენ და ძმურად ხელს გაუწვდიდნენ ობოლ აჭარლებს. ცოდვა გამხელილი სჯობს: ბევრი მაჰმადიანი ქართველი და ბევრი ქრისტიანიც ფიქრობდა, რომ ჩვენ ერთურთზე დაშორებული ვიყავით, ერთიმეორის სიყვარული განელებული იყო, მაგრამ ჭირმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ძმებს უზომოდ ვუყვარებივართ.

ი. გოგებაშვილი. რა კარად დაუწერია.

წამყვანი. (აგრძელებს კითხვას). ქართული გაზეთის მოსვლა ისე გვიხარია, როგორც დღესასწაულისა. გაზეთში ვკითხულობთ, თუ რა თანაგრძნობით შეხვდნენ ქრისტიანი ქართველები ჩვენს უბედურებას, ვგებულოთ, რომ ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულობას აგროვებენ. შეძლებისდაგვარად ველზე მყოფი ჯარისკაცები გვეწევიან, გვეწევა დიდი და პატარა.

ი. გოგებაშვილი. ჯერჯერობით არც ისე დიდია ეს შეწირულობანი.

წამყვანი. (აგრძელებს კითხვას). ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, ჩვენი ნამუსის შემბღალავი არ დაიბრჭება, ნალიები სიმინდით არ აივსება, მაგრამ თითოეული კაპეიკი, ქრისტიანი ქართველების მიერ ჩვენთვის გადადებული, მილიონია, თითოეული თანამგრძნობის სიტყვა ჩვენთვის მალამოა, გვწამს, რომ ეს თანაგრძნობა უფრო იმატებს, მეტად შეგვაკავშირებს.

ჩვენ ერთნი ვართ, დღეს ჩვენებური კაცისა და ქალის თვალები თქვენსკენ იცქირება, თქვენი მლოცველია და თქვენგან მოელის ხსნას.

ი. ჭავჭავაძე. აბა, ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო!“ იმედი გვაქვს, რომ ყველაფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს.

ი. გოგებაშვილი. ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყკელგან და უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის.

ი. ჭავჭავაძე. ქედა ხომ ასეთ დღეშია, მაგრამ უფრო მეტად ქობულეთელები ყოფილან საშინელ გაჭირვებაში. ამაზე გულო კაიკაციშვილი გვატყობინებს.

წამყვანი (კითხულობს).

თქვენო კეთილშობილებავ,
ძიავ, ქართველო მეგაზეთევ!

მე მინდა, ძიავ, შეგატყობინოთ ჩვენი ქობულეთის ამბავი, მარა ქართული წერა-კითხვა პაწაის მეტი არ ვიცი და იგიც, ძიავ, ბებიამ მასწავლა პაწეობისას და მეშინია, კარგად ვერ მოგახსენო.

ახლა, ძიავ, ჩვენი ქობულეთის საქმე გლახათ არის, ხალხი სუნთლად არეულია, სიმართლე არ გვაქ. არ გვაძლევს ვინმე.

ქობულეთში წერა არ ვიცით, კითხვა, კლასი არ გვაქ. ხელობა არ ვიცით, არც ვინმე გვასწავლის. მარტო პაწაი სიმინდის და ღომის მუშაობა დაგვრჩა ხელში, ამით მარტო რა ვქნათ, თუ სული დავიპუროთ, თუ ტან-ფეხი ჩავიცვათ?

ი. ჭავჭავაძე. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, ეს ჯოჯოხეთი რამდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტა თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ.

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

წამყვანი. ჩვენი ქობულეთის ხალხი შეწუხებული არის, იმიზა, რომ ზოგიერთი მცხოვრები ახლა ემშვიდობება თავის ქვეყანას და იმიზა. რომ ჩვენს სიცოცხლეს არა აქვს სახელი, ჩვენი ხარი, ძროხა, ცხვარი, საქმელი პური გაფუჭებულია და მიაქვან.

ი. გოგებაშვილი. მუჰაჯირობა დიდი უბედურებაა მაგ ხალხისათვის, ბევრი გააქცია თავისი ქვეყნიდან, უცხოეთში გადახვეწა.

ი. ჭავჭავაძე. რათ მირბის ხალხი? მერე როგორ მირბის! სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც თავს იკლავს ხოლმე მთელი თავისი დღენი, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს. რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, — დიაღ, სტოვებს და მიდის სად? — ოსმალეთში!

ი. გოგებაშვილი — მაგათ ოსმალები აბრიყვებენ.

წამყვანი. — დევრიშ-ფაშამ გამოგვიცხადა, რუსეთს დარჩა ქობულეთი და ბათუმიო, თქვენც წამოდით ჩვენი ხარჯითო. მიდის ზოგიერთი პირები...

ი. ჭავჭავაძე. მაგ საქმეში მარტო ოსმალებს არ მიუძღვით ბრალი. დარწმუნებული ვარ, წერილში იმის ნახევარიც არ უნდა იყოს, რა საცოდაობაც აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო, აოხრება ტყეებისა და მინდვრების, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გადახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა. წარამარად დაღუპვა ჩალხის ქონებისა, სიკვდილი და სისხლის ღვრა იმისთანა უბედურებაა, დიდხანს გასტანს და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალხსა.

ი. გოგებაშვილი. ყველაფერთან ერთად სწავლა-განათლების საქმეც უნდა მოგვარდეს.

წამყვანი. ძიავ მეგაზეთევ, 156 ნუმერში მიგიღიათ ჩვენი თხოვნა, გაზეთს გიგზავნიო. მაღლობელი ვარ, ბატონო. ესეც თქვენ შემისწორეთ, კარგი თქვენ დასძინეთ რაცხა და დამიბეჭდეთ. გამოვდივართ ოსმალოს ხელიდან, ვნახოთ თქვენი მეზობლობა რავარია.

ი. გოგებაშვილი. კუთხეს, რომელსაც გული კაიკაციშვილისთანა ხალხი ჰყავს, გადაგვარება არ უწერია.

წამყვანი. გაივლის ერთი საუკუნე და გიორგი ლეონიძე იტყვის:

თუ აჭარა აღსდგა მკვდრეთით,
თუ აჭარა ფიქრობს სალად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის მიზეზთაგანია,
რომ აქ გვყავდა გულო-აღა!
აი კაცი, ვეფხვი კაცი,
თუმცა გული დაიდაღა,
ჩვენ მის სახელს დღესაც ვხმარობთ,
ქართველობის იარაღად.

ი. ჭავჭავაძე. „ვნახოთ თქვენი მეზობლობაო“... ასეთ დროს უკანდახევა ხომ სირცხვილია ყოველთვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზე მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ!...

ი. გოგებაშვილი. როგორ თქვა გულო კაიკაციშვილმა, ქართული წერა-კითხვა პაწაის მეტი არ ვიცით?..

ი. ჭავჭავაძე. ჰოდა, ზაქარია ჭიჭინაძე უნდა მიეშველოს მათ, ქართული წიგნები უნდა წაუღოს, ისტორიული წერილები, ლექსები, „ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებით, ქართული წერა-კითხვა ასწავლოს.

ი. გოგებაშვილი. ერთი სიტყვით, რაც კი ხურჯინში ჩაეტევა, ყველაფერს წაიღებს.

წამყვანი. გალაკტიონ ტაბიძე. წერილიდან „ზაქარია ჭიჭინაძე“.

„დიდ დროს ატარებდა ზაქარია იქაურ სოფლებში, მოგზაურობდა, ჰკრებდა მათ ზეპირ გადმოცემებს, შეისწავლა ზეპირად მათი ლოცვები და მათ ჯამეშიაც დადიოდა და ლოცულობდა ისე კარგად, რომ შემდეგში კიდეც დაბეჭდა მათი ლოცვის წიგნი ქართული ასოებით და არაბული სიტყვებით....

„ზაქარია ეფენდი“ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ მრავალ წერილს ბეჭდავდა „დროებაში“, „ივერიაში“ და სხვა. მარტო ბათუმის ქართულ გაზეთში დაიბეჭდა ჩვენი ასი ფელეტონი ორი წლის განმავლობაში — ქართველი მაჰმადიანების შესახებ და სხვა ისტორიული წერილები“.

ი. გოგებაშვილი. ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყველაფერში, უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, — ჩვენი ერთმანეთის დაუღალავლობის კავშირის გაბმაც უეჭველია... რა გაგვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა სთქვა, და ჩვენც ვიტყვით, რომ ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება...

შენიშვნა. პიესაში დამოწმებული ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილისა და შ. ხიმშიაშვილის სიტყვები ავტორის მოგონილი როდია. ისინი სიტყვასიტყვით სწორედ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილებს ეკუთვნით. ავტორმა მხოლოდ სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრიბა ისინი და ერთ პიესაში გააერთიანა.

ᲣᲣᲫᲣᲜᲐ ᲖᲐᲘᲜᲘᲫᲔ

ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲔ, ᲓᲔᲓᲐ!

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში...
მ ი რ ზ ა

მომწერე დედა, რომ რუსთაველზე
ახლაც ზღვად ღელავს „შავი ტიტები“,
რომ კვლავ გეზრდება ხვალის ნუგეშად
საცრისთვალება ცოტნე ბიჭები.
რომ საქართველო ისევ ხვითოა,
მჭრისთვის მახვილად ისევ ელვარებს,
რომ არასოდეს არ ჩაიძინებს
მოდგმათა ჩემთა სული მღელვარე.
რომ ჩემს სარკმელთან ფეთქავს აპრილი,
არა ისეთი, როგორც იმ დილას...
რომ ჩემს არ ყოფნას შენ არ ჩამითვლი,
დედი, ღალატად ანდა სიკვდილად.
თუმც შენს უბეში ალარ ვფრთხიალებთ
ეკა, თამუნა, ნინო, ნათია...
მაგრამ ხომ, დედი, ყველა ქართველის
გულში ჩაუქრობ სხივად ვანთივართ.
ხომ ვერ აჩეხეს ის უმთავრესი,
რასაც სამშობლოს ნათელი ჰქვია...
დატოვე ღია, სარკმელი, დედი,
კვლავ მოვფრინდებით ადრე თუ გვიან...

ᲒᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲓᲘᲡ

მომეახლება უცხო ლანდი ნაღვლიან ფერით,
ქუჩაში დაძრწის დარდიანი გარდაცვალება,
ალარაფერი ალარ მკითხოთ, ალარაფერი,
ღირდა თუ არა სულის წვალება.

შემომენთება აღსასრულის მზისფერი ბინდი,
როცა დასტური სიყვარულის გულში მოკვდება,
რაღაც დიადი გაოცებულს მტოვებს და მიდის,
რაღაც დიადი გაოგნებულს მიახლოვდება.

ციკლიდან „ცოდვის ღელიღადი“

ტკივილს ტკივილით თუ ეშველება,
მოდით, უსიტყვოდ ამკეპეთ მხრები,
აგრაგნილია ჟამი გველებად,
ველარ უძლებენ სიმძიმეს მთები.

გულისგულს ხანჯლავს ცხრა და ცხრამეტი,
ცეცხლის რაშები ლაგამებს კვნეტენ,
დელგამს შევწირე სისხლის და-ძმები,
სისხლის და-ძმები — ნიჩბებს და კეტებს.

ჰა, დამაბიჯე დამეწყრილ გულზე,—
კვლავაც უძლეველ ციხედ ვშენდები,
ერთი ზურაბი რა იყო უწინ,
დღეს დამატანეს მზის ასულებიც.

გესმის? — ქაშუეთს ზარები რეკენ,
წმინდა სანთლები ანთია სხალთას,
ცრემლგამშრალ დედებს აქ მუხლს უდრეკენ
და უკოცნიან ღამისფერ კალთას...

გულისგულს ხანჯლავს ცხრა და ცხრამეტი,
ცეცხლის რაშები ხრავენ ლაგამებს,
ბედი? — რის ბედი, ვინ მისცა ბედი
ჩემს საქართველოს ბედგანაწამებს...

საქართველოსთვის

ისევ მივსებენ შხამფიალას როგორც ძველ დროში,
ისევ მაფრქვევენ ღიმილს გესლიანს.
რა ცოტას ნიშნავს: დავიბადე საქართველოში,
საქართველოსთვის დავიბადე — უმთავრესია!

მაგვიანდება სადღაც
მელოდებიან ისევ,
მძარცვავ ბროლსა და სადაფს
მჩუქნი შხამიან ისრებს.
ყელზე მეხვევა გველი,
შეძრულს საკუთარ გვამით,
თავს შემახსენებს გვემით
ასჯერ მოკლული თავი.
მლაშდება ცრემლის გემო,
ნაღველს ნაღველი ერთვის,
სხვა არაფერი, ჩემო,
სული ნატვრაა ღმერთის.
მუქდება ფერთა გამა,
ლანდი ეცემა ფერხთით,
ამოველი და ჩავალ
თეთრი ტკივილი ერთი...
მაგვიანდება სადღაც,
მელოდებიან ისევ
მძარცვავ ბროლსა და სადაფს,
მჩუქნი შხამიან ისრებს.

დედის გოდება

ისევ ჩხრიალებს ვერცხლი,
ისევ ბრმავდება თვალი,
მზისკენ გაწვდილი პეშვი
ისევ მევსება თოვლით.
რალა სვავი ანდა ძერა,
რალა მტრის ნალეწი კალო,
ვისლა გაუსწორებ მზერას,
ძმაო, ძმის სისხლით მთვრალო?
რისთვის დაემონე ურჩხულს,
მე ხომ, კაცო, სიყვარულს
გთხოვდი,
უნდა მოვიკვეთო ძუძუ,
რომელს შენ უძლებად წოვდი!
უნდა მოგიკეტო კარი,
უნდა მოგანატრო ნათელს,
უნდა დაგიწრიტო წყალი,
უნდა დაგიწყევლო მართვე!!!
მაგრამ, ო, ცოდვილო სულო,
მაინც დავეცემი ხატებთან,
ნუთუ დაგივიწყა სულაც
უფალმა, რამეთუ გბადებდა...
და რადგან დედა ვარ, და სული
კეთილი,
ვკითხულობ სად გაქრა მაცხოვრის
ნათელი,
დავდივარ მზემკვდარი და
მკერდდაფლეთილი
იმ ტყვიით, ქართველს რომ
იმეტებს ქართველი.
...და ისევ ჩხრიალებს ვერცხლი,
და ისევ ბრმავდება თვალი,
მაქვს მზისკენ გაწვდილი პეშვი
და სულში მეყრება თოვლი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის ბოლოს ბოლო

(კოდოლიური ამბავი)

ღრეობა დამთავრდა.

ქალებმა მიწაზე გაშლილი ტელეფონის სუფრა აკეცეს, საჭმლის ნარჩენები მოაქუჩეს. კაცებმა კოცონი ჩააქრეს.

ბინდდებოდა.

აფთიაქარმა პეტრომ თქვა, — ათ წუთში მორიგე მანქანა მოგვაკითხავს, არ დაიფანტოთ!..

ზემდეგი ანატოლი გაეპასუხა, — რა ჯობია ქალის დამარტოხელებას ტყეში!?

— თუ არ ეშინია, კი! — გაიცინა აფთიაქარმა, — თანაც კოლოები საცაა შემოგვესევიან.

— მინდორი დაიცვარა, ახლა გვიანია! — გადაიკისკისა ქერა ქალმა, — ახლა ვერავინ დამიყოლიებს, ვიწვე სველ ბალახზე და ვუცადო, როდის დაიწყებს და დაამთავრებს ჩემი რჩეული თავის საქმეს...

„რჩეული“ ოფიცერი კი ამ დროს ღვინის ცარიელ ბოთლებს ტყისპირიდან მდორე მდინარისაკენ მიაჩანჩალებს.

— ფუჰ! — გადააპურჭყა აფთიაქარმა, — ახლა გადაყრის წყალში და ატივტივებულ ბოთლებს ქვებს დაუშენს... ხვალ შევა ვინმე მდინარეში საბანაოდ და ფეხს გაიჭრის შუშის ნამსხვრევზე... გაიჭრის და მოგვაკითხავენ ლაზარეთში, სისხლი მოდის თქრიალითო...

— რას დამუნჯებულხართ! — მითხრა ზემდეგმა, — თქვი რამე. აქაურობის დატოვება გენანება, ხომ?

— არა! — ვუთხარი და გავხედე აფთიაქარს, რომელმაც ხელისკვრით მოიშორა ობოლი ლეიტენანტი. — რას ერჩის? — ვკითხე ზემდეგს.

— დათვრა! — მიპასუხა და ჩაიცინა, — უცნაური კაცია. არ უნდა მოგვეპატიჟა, გითხარი. არ დამიჯერე... ახლა თუ ვინმე დაიმარტოხელა, ხომ კარგი — გულს გადაუშლის, თუ არადა მტრისას, იჩხუბებს. მე მაგის აბდა-უბდა ლაპარაკს ვერ ვეწყობი. პეტრომაც იმიტომ მოიშორა თავიდან ხელისკვრით... მოუსმინე ცოტა ხანს, სანამ მანქანა მოგვაკითხავდეს. შენ ახალგაზრდა ხარ და ნერვებიც რიგზე გაქვს.

— რას ყვება ხოლმე ამისთანას, რომ მოსმენა არ შეგიძლიათ!?

— რა ვიცი, ათას რამეს!.. შარშანწინ კაცი მოკლა. სინდისი ჰქენჯნის. ტყუილად იწვალებს თავს, — ვერ ხვდება... ამან ჩემი შაყირი დაიწყო ისევ.

აფთიაქარმა პეტრომ ქალები შემოიკრიბა. — მომისმინეთ, გოგოებო, — ხმამაღლა იძახდა, — მომისმინეთ, უნდა გაცინოთ!.. თუ იცით, რა განსხვავებაა ნიუტონის ვაშლსა და ანატოლის ვაშლს შორის?

ზებდეგი გამეცალა და აფთიაქარს მიაშურა. — მორჩი ყბედობას! — უთხრა და ჩაებღაუჭა, — არ დაუჯეროთ, ქალებო!.. არ მოყვე, პეტრო, თორემ ისეთ რამეს მოვყვები შენზე, ქალი არ გაგეკარება სათოფეზე, იცოდე!..

ქერას „რჩეულმა“ ოფიცერმა ქვები მოიმარჯვა და მდინარეში გადაყრილ ატივტივებულ ცარიელ ბოთლებს ჭახა-ჭუხი აუყენა.

— „რჩეული“ უტვინო ოფიცერია! — მომესმა ზურგსუკან. მოვიხედე. ობოლი ლეიტენანტი ორ ნაბიჯზე იდგა, ჯიბეებში ჩაეწყო ხელები და წინ და უკან ირწეოდა. თვალებმოჭუტული უყურებდა „რჩეულის“ ქვის სროლას.

— გუშინ ტელევიზორი გადმოაგდო აივნიდან! — თქვა, თითქოს თავისთვის ამბობსო, — ცოლი გადმოეგდო, ჯობდა.

— ცოლი? — გავიკვირვე მე.

— ხო, ცოლი! — დაბეჯითებით მიპასუხა, თითქოს გამოერკვაო, — ცოლი ღალატობს — ხაეს-ზე მუშაობს, პოლონელებთან ტანით ვაჭრობს, ჩვრებს ყიდულობს გასამრჯელოთი და ისევ ტანზე იცვამს. ეს კიდევ, შინ დაბრუნებისთანავე, პროტესტის ნიშნად თითო ნივთს ისვრის ხოლმე აივნიდან, — გუშინ ჯერი ტელევიზორზე მიდგა.

დავფიქრდი: „აბდა-უბდას სულაც არ ლაპარაკობს, მაგრამ ბოლმა ახრჩობს — ეს კი ცხადია. მაგრამ რატომ? სიფხიზლეში ანგელოზივით ბიჭია“.

— ჩემი ქალიც შენი იყოს! — მითხრა და გაიცინა, — ორი ქალი უფრო გაგართობს. სხვათა შორის, ჩემი ცოლი არასდროს მღალატობდა... არც მიღალატებს.

— კარგია, — წამოვიწყე ქება მოწონების ნიშნად, მაგრამ ობოლმა ლეიტენანტმა გამაწყვეტინა.

— ჩემს ცოლს ხომ იცნობ?

— კი-მეთქი, — დავეთანხმე.

— პოდა, ხომ არ შეგინიშნავს რამე „ისეთი“?.. კავკასიელს ეს არ გამოეპარება. აბა, დაფიქრდი.

— რად უნდა მაგას ფიქრი. წესიერი ქალია, ნამდვილად.

— ეხ! — ამოიხვნეშა ობოლმა ლეიტენანტმა. გვერდით ამოიდგა, ხელკავი გამიკეთა და მხარზე მომეყრდნო. — უშვილოდ კი დამტოვა-და, — ჩაილულღულა.

რამის თქმა ვიუხერხულე, ხმა არ გამიღია. ვუყურებდი „რჩეულს“, რომელიც ათიდან ერთზე მეტს ვერ არტყამდა მიზანში (საბედნიეროდ) და უხილავ მოწინააღმდეგეს ხმამაღლა აგინებდა. ვგრძნობდი, როგორ იორწეოდა ჩემზე მოყრდნობილი ობოლი ლეიტენანტი და მესმოდა აფთიაქარის ხმამაღლა მონაყოლი „ნიუტონს ერთი ვაშლი დაეცა თავზე და კანონი აღმოაჩენინა. ანატოლის შარშან შემოდგომაზე ერთი კი არა, ბარე ორმოცდაათი ვაშლი მაინც დაეცა, მაგრამ სწორი დასკვნა მაინც ვერ გააკეთა... რომ, ქალი, რაც არ უნდა მონდომებული იყოს, მსხმოიარე ხეზე არ უნდა ააყუდო...

— პეტრო, ძუკნისშვილი ხარ, პეტრო, — ყვიროდა ზემდეგი და აფთიაქარს პირზე ხელს აფარებდა, — ქალებო, რას უსმენთ! ამის მონაყოლი გჯერათ, თქვენ!..

— ქალებში ყოველთვის ბედი მწყალობდა, თუ არ ჩავთვლით ჩემს ცოლს, — განაგრძობდა ობოლი ლეიტენანტი, — სუსუნატიც კი არ დამმართნია დღემდე.

თითქმის დალამდა. სინოტივემ იმძლავრა. აცივდა კიდეც. „რჩეულს“ ბინდმა შეუშალა ხელი თუ ბოთლების მსხვრევა მობეზრდა, თავი ანება ქვის სროლას და აფთიაქარის „კარებისაკენ“ აიღო გეზი, შორიდანვე დაიძახა — გოგოებო, გოგოებო, თუ იცით, რა განსხვავებაა ქალსა და ველოსიპედს შორის?

— ვიცით, ვიცით! — ერთხმად უპასუხეს ქალებმა.

— რა ყველაფერი იციან ამ ძაღლისშვილებმა — ერთი ანეკდოტი ვერ მომიყოლია ჩემს გემოზე! — გაგულისდა „რჩეული“, ჩემსკენ გამოემართა მაგრამ დაინახა თუ არა, რომ ობოლ ლეიტენანტთან ერთად ვიდექი, პირი იბრუნა და ისევ აფთიაქარისაკენ დაიძრა. — პეტრო, სად არის შენი დაპირებული მანქანა!? ხომ გითხარი, ის ძაღლისშვილი შოფერი მოგვატყუებს-მეთქი...

— ვერ მოგვატყუებს, ვერა! — იყვირა ზემდეგმა, — ყურებს დავახევ!.. გამგონე ჯარისკაცია, ყვილაფერს მიჯერებს. რადგან ვუბრძანე, მოვა კიდეც.

— რომ არ მოვიდეს? — დაეჭვდა ისევ „რჩეული“.

— შეგვცივდა, კოცონი გააჩალეთ! — აწუწუნდნენ ქალები.

— ციმბირში ნამყოფი ხარ? — მკითხა ობოლმა ლეიტენანტმა, ხელი გამიშვა, სიგარეტს მოუკიდა და ბალახზე ჩაცუცქდა.

— არა, არ ვყოფილვარ, — მივუგე და გავიფიქრე,—„არც არასოდეს წავალ, თუ არ გამაციმბირეს“.

— მე ციმბირელი ვარ და დიდად განვსხვავდები ამათგან, — სიგარეტიანი ხელი გაიქნია დანარჩენებისაკენ, რომლებიც ამასობაში კოცონის გაჩალებას შეუდგნენ. — ობლობაში გავიზარდე, მაგრამ არ ვნაწობ, — განაგრძო ობოლმა, — მარტო იმას ვნანობ, სამხედრო ექიმი რომ გავხდი. რა მინდოდა არმიაში, ვყოფილიყავი ჩემთვის სოფელში. ტაიგა იცი რაა?

— ტაიგა? — გავიმეორე შეკითხვა, — კი ვიცი, მაგრამ სინამდვილეში — არა.

— შუკშინი რომ წერს, მართალია — ზუსტად ისე ამედევნენ მგლები, როცა მარხილით ვბრუნდებოდი სოფელში. ვიფიქრე, დაღამებამდე მივასწრებ-მეთქი შინ. მეგონა, დღისით მგლები ვერ შემომბედავენ-მეთქი. თოფიც არ მქონდა თან. წაგიკითხავს ეგ მოთხრობა?

— კი! იმ კაცს ცხენი შეუჭამეს მგლებმა. თვითონ — გადარჩა.

— ზუსტად ეგრე იყო, მაგარი შიში ვჭამე, თოფი მაინც მქონოდა, ჩემს ცხენს რომ ეცნენ და წააქციეს, მე გავიძურწე და სოფლისაკენ მოვკურცხლე (კილომეტრიც ალარ იყო იქამდე დარჩენილი)... თოფი ავიღე, ბიჭებიც წამომყვნენ და მოვბრუნდი. რა თქმა უნდა, ვერ მოვუსწარით. ძვლები, თავი და ფაფარი დაგვხვდა. მაშინ გავთეთრდი...

— ჭალარა გიხდება, ჩემო კარგო, — მოგვიახლოვდა ქალი (ერთბაშად ვერც გავარჩიე ბინდ-ბუნდში — „ვისი“ ქალი იყო), — რას ვანმარტოებულხართ, ჰომოსექსუალისტები ხომ არა ხართ...

— წადი შენი!.. — შეუკურთხა ობოლმა ლეიტენანტმა.

— პეტრომ თქვა, სანამ გამოგალაყებდეს, აქეთ წამოდიო, — მითხრა ქალმა და კოცონისაკენ გაბრუნდა. ვიცანი — „პეტროს“ ქალი.

— მალე სამსახურის ვადა გაგითავდება. ხომ ასეა? — მკითხა ობოლმა.

— კი-მეთქი, — დავეთანხმე, — ერთ კვირაში.

— ბედნიერი კაცი ხარ, წახვალ სამშობლოში... მე კი სამშობლოს მომწყვიტეს. ერთი მითხარი, რა მინდოდა მე — ციმბირელს — გერმანიაში!

— გერმანიაში? — გავიკვირვე, — არ ვიცი. მართლა რა გინდოდა?

— გამგზავნეს, სამი წელი იმსახურეო. დამითანხმეს. სხვები სიხარულით თანხმდებოდნენ. მე კი ძალით დამითანხმეს.

— სადაც სამედიცინო სამხედრო სამსახურს ჭირდებოდი, იქ გაგაგზავნეს. — მივუგე მე, — არ უნდა გიკვირდეს, ექიმი ყველგან საჭიროა.

— ექიმი, ჰმ! — ჩაიცინა, — დიდი ბედენა ექიმი ვარ... უბედურება სხვაა, დავჭირდი, გამომიყენეს და კაცი მომაკვლევინეს.

— კარგი ერთი! — ვითომ არ დავიჯერე (თუმცა ზემდეგის ნათქვამი კარგად მახსოვდა) — ექიმს მაგას როგორ დაავალებდნენ!..

— ებედურებაც ესაა!.. მე პირველ რიგში არმიის ოფიცერი ვარ და მხოლოდ მეორე რიგში — ექიმი

— მე ასე არ ვთვლი...

— შენზე არ ვამბობ. შენ გადამფრენი ფრინველივით ხარ. შენი ორწლიანი ოფიცრობის შედარება ოცდახუთწლიან საკადრო ოფიცრობასთან არ შეიძლება. შენ ხომ ამათი არ გეშინია. შენი ნამდვილი სამსახური იქაა. სამშობლოში. მეც და ამათაც — ყველას — გვეშინია.

— რის გეშინია?

— ზუსტად არ ვიცი, რის მეშინია, მაგრამ... მეორედ რომ საჭირო გახდეს, დამავალებენ და შეიძლება ისევ მკვლელი გავხდე — ექიმი-მკვლელი. არადა, არ მინდა, მაგრამ საშველიც რომ არ ჩანს, თავი მოვიკლა? შეიძლება, მაგრამ ვერ ვიკადრებ. პურისქერქამ თავი მოიგიჟიანა და არმიიდან გაათავისუფლეს. არადა, ვიცი ნორმალური იყო. მთლად ნორმალური ვიღაა, მაგრამ გიჟი წამდვილად არ იყო.

— პურისქერქა რომელია, მაზარა რომ გადააგდო მდინარეში, ვითომ დავიხრჩვი, მკვდარი ვეგონები და აღარ მომძებნიარო?

— არა, შენ მაიორ ლოსიონზე ამბობ. პურისქერქა კაპიტანი იყო — ხარივით ამტანი, არმიას კი ვერ გაუძლო.

— წავიდეთ, — ვუთხარი, — კოცონთან მივიდეთ. ცოტა გავთბეთ და თან პეტროს ოხუნჯობით გავერთოთ...

— პეტრო ყბედია, — მიპასუხა ობოლმა ლეიტენანტმა, — პეტროს ვერ ვიტან. შენ რომ არ დაგეპატიჟე, არც წამოვიდოდი. შენ სხვა კაცი ხარ და იმიტომ გეუბნები. ესენი უყოყმანოდ მოკლავდნენ. ჩვენც მოგვკლავენ, რომ დაავალონ.

— კარგი ეთი, ნუ აზვიადებ! — გამეცინა.

— ნუ იცინი! — მითხრა, წამოდგა და სიგარეტის ნამწვი მოისროლა. — იქაც პოლკის ექიმად ვიყავი (გერმანიაში). ცნობა მოგვივიდა: საყარაულო პოსტზე მყოფმა ჯარისკაცმა ავტომატი და ტყვიები გაიტაცა და გაუჩინარდა. ფსიქიურადაა დაავადებულიო... როდის მოასწრეს დიაგნოზის დასმა მაინც, არ ვიცი. ყველა ოფიცერი გამოგვიძახეს შტაბში და გვიბრძანეს, ოთხივე მიმართულებით შეგვეკრა გზები. დაგვირიგეს იარალი, „მშრალი“ საკვები... მე მომამაგრეს ორი ჯარისკაცი. გადმოგვსხეს რალაც მეათეხარისხოვანი გზის რომელიღაც კილომეტრზე და დავალება მოგვცეს: სანგრის გათხრა, ჩასაფრება, დღე-ღამე მორიგეობა და თვალ-ყურის დევნება...

სატვირთო მანქანის ძრავის გუგუნი მომესმა. — მგონი, მანქანა მოდის, გვეშველა, — ვუთხარი

ობოლმა ლეიტენანტმა მიაყურადა. — თქვენს მანქანას მაყუჩი აქვს გახეთქილი? — მკითხა და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— არა! — ვუპასუხე, — ყოველ შემთხვევაში, დღეს დილით მთელი ჰქონდა ყველაფერი.

— ჰოდა, სხვა ყოფილა, გზატკეცილიდან ისმის!.. მაგას ნუ უგდებ ყურს, მე მომისმინე... ჰოდა, მე, როგორც გამჭრიახმა ოფიცერმა, ჯარისკაცებს სანგრის გათხრა დავავალე ისეთ ადგილზე, რომ საავტომობილო გზიდან ტყემდე გადაშლილი მინდორი ხელისგულივით გამოჩენილიყო. გზის იქითა მხარეს, ნახევარ კილომეტრში, სხვა სამეული იყო დაბანაკებული, გზის გასწვრივ კიდევ ერთი სამეული ლობავდა გზას. მოკლედ, ძალიან ჩკვიანურად ვიყავით განლაგებული და ვერავინ გაგვისხლტებოდა ხელიდან... ჯარისკაცები სანგარს თხრიდნენ. ვოხუნჯობდით. ჩემთან თავს თავისუფლად გრძნობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ექიმი ვიყავი და სხვა ოფიცრებივით არ დავჩაგრავდი.

— ბიჭებო, მანქანა მოდის! — დაგვიძახეს ქალებმა.

— ერთი თქვენი.. .— შეიგინა ობოლმა ლეიტენანტმა — მე არ წამოვალ. მაგ აყროლებულთან რა მესაქმება!...

შევხედე შიმომხედა. ეხამუშა ნათქვამი.

— მერე? — ვკითხე.

— მერე და მერე!.. ჩავსაფრდით, თვითეული ჩვენგანი ფიქრობდა (ხშამალა მსგავსი რამ არცერთს არ გვითქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ), რაღა მაინცდამაინც ჩვენ მოგვიწევს იარაღის ხმარება იმ ლტოლვილ ჯარისკაცზე, როცა ას სხვა ადგილზე ათასზე მეტია დადარაჯებულიო... მოხდა ის, რაც არ გვინდოდა. დილაადრიანად სროლა გაისმა. მეც და ჩემმა ჯარისკაცებმაც ავტომატები მოვიმარჯვეთ და ასი თვალი და ასი ყური გამოვისხით... დავინახე, გზაზე მორბოდა ლტოლვილი. მანძილი ასი-ასოცი მეტრი იქნებოდა. მორბოდა პირდაპირ შუა გზაზე მართლა გიჟივით. გავიფიქრე, ახლა ან იქეთ გადაუხვევს გზის გალმა, ან აქეთ — ჩვენსკენ-მეთქი. ვინატრე, ნეტა, იქით გადაუხვიოს და ჯანდაბას, რაც გინდა მოხდეს-მეთქი, მაგრამ... მაინცდამაინც ჩვენსკენ გადმოუხვია. ტყეში აპირებდა შესწრებას, ამისათვის კიდევ სამასი-ოთხასი ნაბიჯი უნდა გაერბინა. ვუყურებდი, სირბილით გვიახლოვდებოდა პირტიტველა, წითური, მალალი ბიჭი — კოლკიდან გამოქცეული ჯარისკაცი — ე. წ. დეზერტირი. გაფრთხილების ნიშნად ჰაერში გავისროლე... სროლის ხმაზე ლტოლვილმა პირი იბრუნა და ამით ტყემდე სავალი მანძილი კიდევ ორასამდე ნაბიჯით გაიგრძელა.

— ცეცხლი! — ვუბრძანე ჯარისკაცებს.

არც ერთმა არ ისროლა, გადავხედე ბიჭებს, ორთავე გაფითრებულიყვნენ და მე მიცდიდნენ (მე კიდევ იმათთვის ვაპირებდი, ჩემი ჭკუით, კაცისკვლის გადაბარებას).. მაშინ კი მელრძო ტვინი. გავიფიქრე, — „შენ ოფიცერი ხარ და ჯარისკაცებს გამბედაობის მაგალითს უნდა უჩვენებ-

დე“-მეთქი. სულ გადამავიწყდა, რომ ექიმი ვიყავი. ლტოლვილი მიზანში ამოვიღე. ფეხებში მოვარტყამ-მეთქი, თავი დავიმშვიდე. სასხლეტს ხელი დავაჭირე და ტყვიების ჯერი მივუშვი — ტა-ტა-ტა-ტა-ტა!

აცდა.

შვებით ამოვისუნთქე და ისევ ამოვიღე მიზანში ლტოლვილი, გავიფიქრე, „ათი-თხუტმეტი წამი და ტყეში შემასწრებს. ერთსაც ვესვრი ფეხებში და თუ გამასწრებს, გამასწროს, ჯანდაბას“. ვესროლე, მაგრამ ბედი არ გინდა...

— ბიჭებო! — გვეძახდნენ ქალები, — მანქანა მოვიდა, არ მოდიხართ?!.

— წავიდეთ, — ვუთხარი ობოლ ლეიტენანტს, — თან წავიდეთ მანქანისაკენ, თან მომიყევი...

— არ გაინტერესებს, ესე იგი! — ჩაიბუტბუტა.

— როგორ არა, მაგრამ ხალხი გვიცდის, უხერხულია...

— ვინაა ხალხი, ეგენია ხალხი?.. არ წამოვალ, თუ არ მომისმენ!

დავყაბულდი.

— ვესროლე მეორედ, მაგრამ ბედი არ გინდა, წაიფორხილა იმ უბედურმა და ფეხში დამიზნებული ტყვია სადღაც ზემოთ მოხვდა. ავტომატი ხელიან გაუვარდა, დავარდა, გულაღმა გადაბრუნდა და გაშეშდა... სირბილით გავეშურე მისკენ. ჯარისკაცებიც ფეხდაფეხ მომყვნენ. თავს წავადექით. სულს ღაფავდა. არც კვნესოდა, არც იკრუნჩხებოდა, თვალები ჰქონდა სანახევროდ მილულული და ამომავალ მზეს უყურებდა... გამახსენდა, რომ ექიმი ვიყავი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დავაპირე, ჩემი ჭკუით, მაგრამ თან მხოლოდ ავტომატი მქონდა და გვიან მივხვდი, რომ სრულიად უძლური ვიყავი. მაინც შევუხსენი ქამარი და ჭრილობა მოვუნახე. ბოქვენში მოხვედროდა საწყალს და სისხლით გავსებოდა საცვალ-შარვალი. გადავხედე თანმხლებ ჯარისკაცებს. გაოგნებულები იდგნენ და დასცქეროდნენ მომაკვდავს. სასიგნალო მაშხალა ისროლეთმეთქი, ვუთხარი.

ისროლეს, თუმცა აღარც იყო საჭირო — მდევრები მალე გამოჩნდნენ. ლტოლვილმა სული დალია, სანამ გზამდე მიიყვანდნენ და მანქანაში მოათავსებდნენ.

ფეხებში უნდა გესროლაო, მითხრეს „მცოდნეებმა“. კი ავუხსენი ყველას, რაც იყო, როგორც იყო, მაგრამ... ასე იყო ეს ამბავი.

— უბედური შემთხვევა შეიძლება ნებისმიერს შეემთხვეს. — ვუთხარი დასამშვიდებლად.

— შენ რა ამათსავით ლაპარაკობ! — იწყინა, — მე თანაგრძნობას კი არ ვეძებ, უბედურება მინდა ამოვხსნა: თუ ის ბიჭი გიჟი იყო, არმია-

ში რა უნდოდა!.. თუ დეზერტირი იყო, რალა მაინცდამაინც ექიმს მოაკვლევინეს. ქრისტიანი ხარ?

— კი-მეთქი, — ვუპასუხე.

— მე მონათლულიც არ ვარ. ამათ რომ ვუთხრა, სასაცილოდ არ ეყოფათ, მაგრამ ეგ არაფერი, შენ ესროდი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი?

— არ ვესროდი-მეთქი, ვუპასუხე (თუმცა მის ადგილზე თავი ვერ წარმოვიდგინე).

— არც ფეხებში? — ჩამაჯინდა.

— არა-მეთქი, არა! — გავლიზიანდი რატომღაც, — შეგიძლია, არ დამიჯერო, მაგრამ ნამდვილად არ ვესროდი. წამოდი... დალამდა.

— არა თუ ვერა!? — არ მომეშვა.

— რა მნიშვნელობა აქვს? — გავწყვიტე საუბარი და მანქანისკენ დავიძერი.

— დიდი მნიშვნელობა აქვს, დიდი! — ამედევნა ბორძიკით, რალაცას წამოჰკრა ფეხი და წაიფორხილა. ხელი არ შემიშველებია. წაიქცა. შეიგინა. ზურგსუკან დარჩა დაგდებულივით.

მივედი მანქანასთან. ყველანი ამძვრალიყვნენ სატვირთო მანქანის ბრეზენტით გადაფარებულ ძარაზე და რატომღაც ჩუმად ისხდნენ. მეც ავძვერი და გრძელ სკამზე მივუჯექი რომელიღაცა ქალს, რომელიც „ჩემი“ ნამდვილად არ იყო, თუმცა ბნელოდა უკვე და ამის დაბეჯითებით თქმაც არ შეიძლებოდა.

— რა ჭირს იმას? — იკითხა „არაჩემია“ ქალმა, — არ მოდის?

— რა ვიცი, — მივუგე, — შეიძლება მართლა დარჩეს, ისეთი ხასიათია.

— აქით გადმოჯექი! — ვიცანი „ჩემი“ ქალის ხმა. „არაჩემია“ გადაჯდა მოპირისპირე მხარეს. „ჩემია“ მომიჯდა. — ნერვები მოგიშალა, ხომ? — მკითხა და მომეფერა ვითომ ნაზად (სინამდვილეში ბოზურად).

— ხომ გითხრა პეტრომ, ყურს ნუ უგდებ მაგასო. უბედური მაგის ცოლი!.. მერე იტყვით, რატომ ბოზობს ქალიო, ვითომ არ გაწყობდეთ...

— დავტოვოთ ეგ მშობელძალლი? — იკითხა ზემდეგმა.

არავინ გამოეპასუხა.

— ერთსაც ვკითხავ ზრდილობის გულისთვის და თუ არ წამოვა... ღარ დაამთავრა სათქმელი ზემდეგმა, მაგრამ ყველა მიხვდა, რასაც გულისხმობდა უთქმელ სიტყვებში.

— მოდიხარ თუ არა? — გასძახა სიბნელეს.

— მე თქვენისთანა აყროლებულებთან არაფერი მესაქმება! — მოიმა სიბნელიდან ობოლი ლეიტენანტის ხმა.

— დავბეგვავ! — გაიწია საცემად პეტრო, მაგრამ დააკავეს და დაწყნარეს.

ზემდეგმა კაბინას დაუბრახუნა ხელი და შოფერს უბრძანა, — დაიძარი!

მანქანა დაიძრა.

ორორო-ჩორორო გზამ ყველას მოგვისინჯა თირკმლები და საჯდომები. „ჩემი“ ქალი ჩამებღაუჭა და შემეხუტა (ასე ჯობიაო, დამარწმუნა)... გავიხედე უკან, საითაც ობოლი ლეიტენანტი დარჩა. ნაპერწკალი გაკრთა შორს სიბნელეში, ალბათ სიგარეტს მოუკიდა.

ვდუმდით. ვფიქრობდი, „კაცი დავტოვეთ ტყეში მარტო. რატომ? იმიტომ, რომ სიმთვრალეში სიმართლეს არ ვალავს?“

მანქანამ გააღწია გზატკეცილამდე.

— უუჰ! — შვებით ამოისუნთქეს ქალებმა, — გვეშველა!

ამ შვებით ამოსუნთქვამ წონასწორობიდან გამომიყვანა. — თუ მართლა დამპლები და აყროლებულები არა ხართ, მივბრუნდეთ და წამოვიყვანოთ ის კაცი, — ვთქვი ხმამაღლა.

მანქანა მიჰქროდა დიდი სისწრაფით და გვახტუნავებდა.

— კაცმა რომ თქვას, რატომ მივატოვეთ? — იკითხა „რჩეულმა“ ოფიცერმა.

— იმიტომ, რომ გაგვლანძღა, — თქვა პეტრომ.

— კი გაგვლანძღა, მაგრამ მთვრალია, — ისე გავამართლე ობოლი ლეიტენანტი, ვითომ მე ფხიზელი ვიყავი, — გამოიძინებს და ბიჭებს მოგვიხდის.

— ჰოდა, გამოიძინოს ტყეში, — თქვა ზემდეგმა და ჩაიცინა. — ნუ ესარჩლები, არ იცნობ შენ მაგას... პურისქერქას ძმაკაცია და იმასავით ნახევრად გიჟია...

— ნახევრადგიჟი თუა, შეიძლება, თავი დაიხრჩოს მდინარეში, — თქვა „ჩემმა“ ქალმა და ყველა გაიცინა.

— თავს არ დაიხრჩობს, მაგრამ შეიძლება გაცივდეს, — თქვა „პეტროს“ ქალმა.

ამ დროს მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა და ერთმანეთზე მიგვაჭეჭყა ყველანი.

— გაგიჟდი, ძაღლის გაგდებულო!? — იყვირა ზემდეგმა შოფრის მისამართით. ქალები ავიშვიშდნენ. ვიღაცას წვივი სტკენია, ჰმ!

მანქანა მობრუნდა და ისევ ტყისაკენ აიღო გეზი.

ყველას გაუკვირდა. ყველაზე მეტად ზემდეგი გაოცდა. აყვირდა, კაბინას უბრახუნა ხელი, აგინა შოფერს... მერე ჩაიცინა, დაჯდა, ამოიღო თავისი აყროლებული სიგარეტი და გააბოლა.

— რატომ მოაბრუნა? — იკითხა პეტრომ, — ვინ ჩის კაბინაში შოფერთან?

— მე მგონი, არავინ! — თქვა ზემდეგმა, — თუ აქ ვინმე გვაკლია, იქ იჯდომება.

— რამდენი ვართ, ხომ არავინ გვაკლია? — გამოძიება დაიწყო „რჩეულმა“. — მე მგონი, არავინ! — დაეჭვდა „ჩემი“ ქალი.

— უნდა დავთვალოთ! — თქვა „რჩეულმა“ ოფიცერმა და ხელების ფათური დაიწყო. — ერთი, ორი, სამი... — ითვლიდა სიბნელეში ჩვენს ბარძაყებს.

— რვა ვყოფილვართ, — დაასკვნა ბოლოს.

— რამდენი უნდა ვყოფილიყავით? — იკითხა ზემდეგმა.

— ცხრა! — თქვა „ჩემმა“ ქალმა.

— ცხრა კი არა, ათი! — გაუსწორა პეტროს ქალმა.

— ხო, ათი იმიანად, ვინც დარჩა, — თქვა „არაჩემია“ ქალმა.

გაკვირვების თავი ალარავის ჰქონდა. ხმას ალარ ვილებდით. მანქანა უკვე ტყეში მიჯაყჯაყებდა. სასმელი მომერია. ძარაზე ჯდომამ კუდუსუნი დამიბუჟა. ყველაფერი მომბეზრდა და უაზროდ მეჩვენა.

მანქანა გაჩერდა.

— ფუ! ეძებე ახლა ამ უკუნეთში! — შეიკურთხა ზემდეგმა და ძარიდან ჩახტა. ქალები დარჩნენ.

დავიწყეთ ძებნა.

დიდხანს ვეძებეთ. სინდისი მქენჯნიდა — რა არ ვიფიქრე...

ბოლოს ზემდეგის ხმა მოგვესმა. იგინებოდა. ლანძღვის გაგონება რა სასიამოვნოა, მაგრამ მაშინ, ალბათ, ყველას ესიამოვნა, რადგან გინება მთავრდებოდა სიტყვებით: „წამოგორებულა და ხვრინავს ლოთივით!“

ისე ავიყვანეთ და ისე შევკუჭეთ კაბინაში ობოლი ლეიტენანტი, რომ არც გალვიძებია...

წამოვედით.

— რამდენი ვართ? — წინდახედულად იკითხა „რჩეულმა“ და ვითომ დათვლა დაიწყო.

მივჯაყჯაყებდით.

— რამდენი უნდა ვიყოთ? — კითხულობდა ზემდეგი და იცინოდა. ტვინი გამილაყდა სასმელით და ჯაყჯაყით.

— მაშინ რატომ შემეშალა დათვლა? — უკვირდა „რჩეულს“.

— საკუთარი ბარძაყები არ მიგითვლია! — პასუხობდნენ ქალები. იცინოდნენ.

მანქანა უკვე გზატკეცილზე მიჰქროდა ქალაქისკენ და გვარიანად გვახტუნავებდა.

— არა, როგორ იყო, ანატოლი, ჩემი შოფერი დამჯერიაო!? — დასცინოდა ზემდეგს „რჩეული“ ოფიცერი, — არ გინდა, დაახიო ყურები?

— ყურებს დავახევ და ჰაუპტვახტში ჩავსვამ სამი დღით თვითნებური საქციელის ჩადენისათვის, ხოლო მერე...

— რა მერე? — კისკისებდნენ ქალები.

— მერე ათდღიან შვებულებას გამოვუწერ გამბედაობისა და გამჭრიახობისათვის. ფხიზელი გონება სულ სხვაა!..

— ასე ჯობია! — მეხუტებოდა „ჩემი“ ქალი და გუნებაგანწყობას მისწორებდა მისი აზრით.

მივჭროდით სიბნელეში, მივძაგძაგებდით, ერთმანეთს ვერ ვხედავდით, მაგრამ ვიცოდით, რომ არავინ გვაკლდა.

— ფხიზელი გონება სულ სხვაა!—მალი-მალ იმეორებდა დიდაქტიკოსი ზემდეგი და აყროლებულ სიგარეტს გვაბოლებდა.

ერთი გზა გვქონდა ყველას — გზა ორშაბათისაკენ.

ნაზიბროლა მიქელაძე

შემოდგომა

შემოდგომის სუნთქვა გულში იჭრება,
ყვითელ ფოთლებს ქარი ცოცხით ხვეტავს,
მზე კი თითქოს ოქროს კაბით ირთვება
სიუხვის და სილამაზის ღმერთად,
წითელ-ყვითელ, ალისფერი, მწვანე,
მოყავისფრო, ზოგიც სუროსფერი, —
ნირშეცვლილი ფოთლებია მაცნე, —
შემოდგომის სიმფონიად მღერის.

* * *

შემოდგომაა... ტახჯული მოდის,
ფრთებდაჭრილი და გულდასერილი,
მოაქვს სხეულით სიცივე ლოდის,
მოაქვს მწუხრი და მოაქვს ტკივილი,
ქარი მოარხევს შრიალა კაბას
და კალთით ხვეტავს ზაფხულის ვნებებს,
მერე განათლულ თოკს გადააბამს,
ზღვას გააყოლებს ლოდინის გემებს.

„ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“*

შენ, ლევილიდან წამოსული სისხლის ზმანებავ,
სადღა ათრთოლებ შეფიცულთა ამაყ მხედრიონს,
შეატორტმანებს ამღვრეულ სისხლს ქაქუცას ლანდი,
რომ სისხლი ქართულ სისხლთაგანი სისხლთან ამთხვიოს.
გზნება სულისა იფერავს და ილესავს მახვილს,
თქვენს მოქუჩულ ძვლებს ქართლის დედის მანდილი
ფარავს.

არ ეპატიოს, ვინაც ჩვენში მტირალი ძვლები
სისხლს გააშორა და ჩაკლული სულები თვალა!
ისევ ცახცახებს ცაკიდურზე ჯურხაის ფარი,
ელავს საფლავში ამოწვთილი მაჯები ფარად,
ვაიმე, დედავ! უცხოეთში ღმერთქალი ქალი
საფლავს ფხოჭნის და ძვლებშიაც ტკივილი ზარავს.
და ძვლების გემო, სისხლის გემო ჟონავს ბაგიდან
უსაფლავოთაც შევუგროვე სისხლის ვარდები.
სული, უფალო, საფლავიდან ზეცად გაფრინდა,
უფალო, სისხლში სისხლითგანვე დავიბადენით.
ვაზიჯვარს წნავენ მზეგადამქრალ დედათა თმებიც,
სულთათანას და სულთმოფენის დაკრთის ლანდები...
უფალო, სული საფლავიდან ზეცად გაფრინდა
და „ცათა შინა“ სამშობლოში დავიბადენით.

* * *

მერე კივილი იქცა სიცივეც,
მერე ტკივილიც იქცა სიცივედ,
გამოასვენეს თავღია კუბო, მას ერქვა დედა!
მე მიწას ვლოღნი და მე ვლუღლუღებ
რა გითხრა, დედა?!
რომ გული ფეთქავს? — და მიხარია,
ო, ღმერთო ჩემო, მე მიხარია ამ გულით მფეთქავს,

---

* საფრანგეთის ლევილის სასაფლაოს წარწერიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გული ფეთქავს.
რომ არ წალეკა გული სიცივემ...
გამოასვენეს თავლია კუბო, მას ერქვა, დედა!

* * *

მე უსამშობლო სამშობლოში ვხედავდი სიზმრებს,
მიწას ვფხოჭნიდი, დავდიოდი ხელისცეცებით...
და თითქოს გული, გაგდებული არაგვის პირზე,
მივიწყებული ფართხალებდა უცსო ხედებით.
ძე უსამშობლო სამშობლოში ვხედავდი სიზმრებს,
მე ეს სიზმრები მისახსოვრა მშობელმა დედამ,
მადლობა დედა! სიზმარივით წასულო დედა!
„გმირთა ვარამით“ დათალხული ბავშვობის სევდა
მალვიძებს, დედა! ის სიმზრები ყვავილობს, დედა
რომ ყველა საფლავს გააშოროს უცხო ყვავილი,
მე შენეული სიზმრებიდან მოვდივარ, დედა,
და საფლავები ნათელს მფენენ ნინოს ჯვარივით.

სასაფლაოს ყვავილი

მე არყოფიდან ამოსული უმზო ყვავილი,
სამაროვნებში გაბუტული უგზოთა მეკვლე,
თეთრ სამოსელში მიტოვებულ პატარძალივით,
გვირგვინს არ ვიხსნი და არც ვძებნი, რა ხდება შემდეგ,
შემდეგ და შემდეგ, შემდეგ და შემდეგ
გზები გარბიან მგლების ყმუილით...
ცეცხლი ანთია ჩემს უგზო გზებზე,
მგლები გარბიან, რჩება ყმუილი.
და მერე ძვლები და ძერე მგლები...
რომ არ მოაშთონ, ძე მარტო ვრჩები,
სულები ისევ ანათებს ტატნობს
და დედის სული საფლავებს ათბობს,
...მე არყოფიდან ამოსული უმზო ყვავილი,
სამაროვნებში გაბუტული უგზოთა მეკვლე,
თეთრ სამოსელში მიტოვებულ პატარძალივით
გვირგვინს არ ვიხსნი, არ ვკითხულობ, რა ხდება შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს იწვდიან

სახლს ვუცქერი , გული დარდით მიმძიმდება,
ტანში მზარავს მილუსმული კარები,
აივნიდან შარაგზისკენ იცქირება
ფანჯრები თუ ნაღვლიანი თვალები.
მომეწყინა ეზოს ლამაზ ხეხილიანს,
დუმს სახლ-კარი შვიდი შვილის გამზრდელი
და საშველად თითქოს ჩემსკენ ხელს იწვდიან
შამბნარებში წაქცეული ვაზები.
ნეტავ ასე რამ დათალხა დღე მზიანი,
რამ გააქრო მწვანე მოლის ხასხასი?
სულორისპირს ვდგავარ მარტო სევდიანი
ცოლისძმების გამოკეტილ სახლ-კარში.
კარებს ვალებ და დივანზე ვწვები ზანტად,
თვალში მხვდება დაბზარული ფიცრები,
ჩემზე ნაწყენ, განრისხებულ კაცის მსგავსად
აქ სიმამრი შავ ჩარჩოდან მიცქერის.
მაგონდება — მის ჭიშკარს რომ შევაღებდი,
უხაროდა და ბალღივით ლალობდა;
მისი ცოლი ქათმებს ააკრიახებდა,
ის კი თვითონ მარნისაკენ გარბოდა.
სუფრასთან რომ მუსაიფი გვქონდა წრფელი,
ხშირად ცრემლი უმძიმებდა წამწამებს;
მას ყოველთვის მოსაყოლი ჰქონდა ბევრი
ომში დაჭრილს, ტყვეობაში ნაწამებს..
უცებ ფიქრებს აერევათ გზა და კვალი,
სადღაც ქრება ჭერ-კედლები ოთახის,
შავ ჩარჩოდან ძირს ჩამოდის ლანდი მკრთალი,
ხელს გამიქნევს და საყვედურს მომახლის:
— სად დაკარგე მიხრა-მოხრა ვაჟკაცური,
თითქოს იყო ოთხმოცი წლის ბებერი;
როცა სახლში მოხვალ შრომით დაქანცული,
წამოწოლას მაშინ დაჰკრავს ელფერი!

რად არ მოჩანს შემართული გამრჯე ხელი
ჩემს სახლ-კარში მდუმარების მსხვრეველი?
ადე ჩქარა, გააელვე მზეზე ცელი,
ეკალ-ბარდებს გამოსტაცე ქვევრები!
ოთახიდან რეტდასხმული გამოვვარდი
და მარანში შამბი იდგა წელამდი,
ვერ ვამჩნევდი ოფლს ღვარებად ჩამონადენს,
ბალახს, ბარდებს გაშმაგებით ვცელავდი.
მოწყენია ეზოს ლამაზხეხილიანს,
დუმს სახლ-კარი შვიდი შვილის გამზრდელი
და საშველად თითქოს ჩემსკენ ხელს იწვდიან
შამბნარებში წაქცეული ვაზები.

გელათში

თვალწინ გაცოცხლდა დიდი წარსული,
თეთრი ტაძარი თვალწინ გამიქრა.
— გალავნის ჭიშკრის ქვეშ დამმარხეთო, —
შენ სიკვდილის წინ რამ მოგაფიქრა?
აფსუს, კვდებოდი ყველაფრის შემძლე,
აფსუს, სინათლე თვალში ჩაგიქრა,
— გადიაროსო ყველამ ჩემს მკერდზე, —
სიკვდილთან შეხლილს რამ მოგაფიქრა?
გული ამენთო კელაპტრის დარად,
დარდს სიამაყის განცდა წალეკავს
და შთაგონების ბურუსი ფარავს
დიდი გონების შუქს და ნაპერწკალს.

გასეირნება

როდესაც ვსეირნობ ქალაქის გამზირზე
და რაღაც სწადია დაღლილ გულს დარდიანს,
ერთ კაცთან შეხვედრა გულს გამიხალისებს,
მეორის შეხვედრა მიფუჭებს ხასიათს.
ხანდახან შემხვდება ყველაფრის მძრახველი
და მწარე სიტყვებით ჩამიკლავს იმედებს,
ზოგი კი, ვინც ჩემგან არაფერს არ ელის,
გულგრილად ჩამივლის, სალამს ძლივს იმეტებს.

ამჟამად ბევრია ისეთი ვაჟკაცი,
დიდ კაცთან მოქცევით რომ მოჰგავს მიკიტანს;
არ მოგესალმება არასდროს თავაზით,
როგორ ბრძანდებიო, ერთხელ არ იკითხავს.
ზოგი კი, გუშინწინ სულ რომ ვერ მამჩნევდა,
ხელს მართმევს და ვფიქრობ — გარდიქმნა ნამდვილად,
და მოაქვს ჩურჩულით ამბავი სხვას ჩემთან --
მალალი პოსტიდან ძირს ჩამოვარდნილა!
ზოგი ამაყურად ზემოდან დამხედავს
და სამუსაიფოდ დაეძებს დიდ კაცებს;
გავლას არ კადრულობს ჩემნაირ კაცებთან,
რომ მის ავტორიტეტს ჩრდილი არ მიადგეს.
ვაი შენ, ჩემო თავო, ჯერ კიდევ სადა ხარ,
შენს აზრებს წარსულშიც მხოლოდ შენ ისმენდი;
შენ რომ გსურს, ოცნებით რომ ხატავ ლამაზად,
ეგება არა ხარ ვაჟკაცი ისეთი!
ეს უცნაურობა შენ რატომ გაფიქრებს —
ზოგი რომ ვარგა და ზოგი რომ არ ვარგა;
ყიხვა და ქარბუქი ქვეყნად რომ არ იქნეს,
მყისვე გაზაფხული მშვენებას დაჰკარგავს.
როდესაც ვსეირნობ ქალაქის გამზირზე
და რაღაც სწადია დაღლილ გულს დარდიანს,
ერთ კაცთან შეხვედრა გულს გამიხალისებს,
მეორის შეხვედრა მიფუჭებს ხასიათს.

ორჯონი ქოჩლაძე

ნოდარ დუმბაძის გახსენება

ამ ლექსით ახალს, გაუგონარს ვერაფერს გეტყვით,
ისეთს, რაც ქართველს არ გამოუთქვამს...
შენზე ფიქრებმა მიკარნახა ეს სტრიქონები,
ჩემს თუ სხვის გულში მოწოლილმა დარდის ტალღებმა.
სადაც არ უნდა ყოფილიყავ, — თბილისს თუ ბათუმს,
გულრიფშს, მარტყოფს თუ მშობლიური სოფლის შარაზე,
გზას გინათებდა შენ სიკეთის სვეტი ნათელი,
კაცურკაცობის მადლი ეცხო შენს სახელს მუდამ,
იყავი, ხარ და სამუდამოდ ჩვენთან იქნები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი მოუმართე

ღმერთო, დიდებულო, განმგებელო ზენავ,
შეისმინე კაცთმოდგმის ღაღადის ხმა,
ამქვეყნად მოსული ყოველი სულდგმული
გადაარჩინე ნგრევას, ომსა და შარს!

მშვიდობა მოჰფინე ჩემს ლამაზ ქვეყანას.
ხელი მოუმართე ჩვენს ტანჯულ ერს.
შენს კალთას ვემთხვევი, შენ გეთაყვანები,
ჩვენთან არს ღმერთი —მოგძახით შენ.

ნუგეში

მეიმედებით ნუგეშად ჩემდა
ამქვეყნად თქვენ და სამშობლოს ზეცა,
რამე ხომ უნდა გქონდეს იმედად
მოახლოებულ სიბერის დღეთა...

ორიოდ თბილი ნუგეშის სიტყვა,
ორიოდ მზნედ და წრფელად ნათქვამი,
გამიხანგრძლივებს მე წლებს დარჩენილს
ესაა მხოლოდ ჩემი საგზალი...

გაფრენილ წელთა ჩუმი სიშორე,
მოგონებებში ჩაფლული სევდა,
ისე, ვით ჩემი ბედის ვარსკვლავი,—
მთელ ჩემს ცხოვრებას კვალდაკვალ სდევდა...

სხვისი ტკივილი საკუთარივით
განმიცდია და მიტარებია,
ჩემი კი უხმოდ ჩამიკლავს გულში
და სხვისი დარი მიდარებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკენ ზარებს

წინ, ქართველებო, მზემ გაიელვა
და ვერ ჩაყლაპა გველმა ნესტანი!
ფრიდონ-ავთანდილ და ტარიელმა
ქაჯეთს მოჰკვეთეს ბასრი ნესტარი!
წინ, ქართველებო! დავითის ხმალი
რწმენით აღგვანთებს აწ და მარადის!
წინ ფეხშიშველი გვიძღვის თამარი
შოთა რუსთაველის სიბრძნის ღალადით!
წინ, ქართველებო! — გვეძახის ძახილი,
რეკენ ზარები თავისუფლების,
დაჰკრეს „ხორუმი“ გმირულ სახმილით
და ხალხის ლაშქარს მხარში ვუდგები.
წინ, ქართველებო! თავისუფლების
მზის დაბნელებას შეძლებს ვერავინ,
ჩვენ შიშით უკან არ მივბრუნდებით,
წინ მიგვაქროლებს ტატოს მერანი!
წინ, ქართველებო! — ჭექს ცხრა აპოილის
დაცემულ შვილთა უდრეკი სული!
თავისუფლების დროშას არ დავხრით,
მომავლისაკენ გვიხმობს წარსული.
წინ, ქართველებო! აღვმართოთ ერთად
თავისუფლების დროშა ნათელი!
ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენთან არს ღმერთი,
ქართველო, სანამ გქვია ქართველი.

მშვიდობა ყველას

მშვიდობა სიყრმის ცინცხალა მიზნებს,
ვარსკვლავეთში მფრენ ოცნებას, სიზმრებს,
სიცოცხლის შექმნის მიზეზს და სიბრძნეს,
რითაც ცხოვრების ტკბილ-მწარე ვიგრძენთ!
მშვიდობა ყველას — უცნობს, მოყვარეს,
ყველა მოკეთეს, ყველა მოგვარეს,

ყველა შემოქმედს, თანამოკალმეს,
ვინაც ზეობა სულის მოგვგვარეს!
მშვიდობა კვირტებს, ყვავილებს, ვარდებს,
ძირს — დედამიწას, მაღლა — მზის ნათელს,
იმ ნიჭს, რომელიც სიცოცხლეს ბადებს
და სიყვარულის სხივებით ანთებს!
მშვიდობა წყაროს, ჩანჩქერთა მღერას,
მდინარის დუდუნს, ზღვის ზვირთთა ღელვას,
ღრუბელთა ცრემლებს და ცისარტყელას,
დილის ცვარ-ნამს, რომ გვიცინის ყველას!
მშვიდობა ბალახს, მცენარეს, სულდგმულს,
ბულბულის სტვენას და მტრედის ღუღუნს,
ფუტკრის ზუზუნს და გუგულის „გუ-გუს“,
ძალას, რომელიც ნათლით ცვლის უკუნს!
მშვიდობა ქალწულს, ვაჟს რომ აწვალებს,
ვინც უმღერს სატრფოს ეშხს და ნაწნავებს.
წარსულის ძეგლებს, ჭერს რომ ამაღლებს.
ვინაც მამულის დოვლათს ამრავლებს.
მშვიდობა ჩვილის ამჭვეყნად მოსვლას,
საჭრეთელ-ოსტატს, ჩანგსა და მგოსანს,
ჯოკონდას ღიმილს, „ვეფხისტყაოსანს“.
რაც დედამიწას მშვენებით მოსავს!
მშვიდობა ხორბლის ყანებს, თავთავებს,
ვინც ბაღ-ვენახებს რგავს და ახარებს.
გულგრილად თვალს ვინც ვერ გადაავლებს
ობელისკებს და საძმო საფლავებს!
მშვიდობა ცოლ-ქმარს, ფუნჩულას აკვნის,
დედის ალერსს და დატუქსვას მამის,
ბაბუას თეთრ წვერს, ბებიას მანდილს,
სიმართლის დაცვას სიკეთის მადლით!
მშვიდობა შრომას და აღმაფრენას,
სამშობლოს მთა-ბარს და დედა ენას,
ქორწილის ლხინს და იქ წასვლის სევდას,
ნიჭს სიყვარულის, სიცოცხლით ლხენას!

სვეტი ნათლისა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ დურსუნ ბალაძის ინტერვიუ.

— ბატონო დურსუნ, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ყურნალ „ჭოროხის“ მკითხველთა სახელით სულითა და გულით მინდა მოგილოცოთ ბათუმის უნივერსიტეტის დაარსება.

— დიდად გმადლობთ. დადგენილება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ჭეშმარიტად ისტორიულია. აჭარის უძველეს ქართულ მიწაზე გაიხსნა მძლავრი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურულ-ისტორიული კერა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ერის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის, არა მხოლოდ ჩვენი მხარის, არამედ სრულიად საქართველოს აღორძინებისათვის; ამასთან დაკავშირებით მე მინდა შეგახსენოთ 3 ოქტომბერს უნივერსიტეტის საზეიმო კურთხევაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის სიტყვები: „ამაზე ოცნებობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები, ეს ისეთივე მნიშვნელობის ზეიმია, როცა იხსნებოდა თბილისის უნივერსიტეტი, როცა იგი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა.

რას მოელის სამშობლო ბათუმის უნივერსიტეტისაგან?

ეს პროგრამა მოგვცა დიდმა დავით აღმაშენებელმა, როცა გელათის აკადემიას სწირდა: იგი ჩვენში ახალი ათინა და ახალი იერუსალიმი უნდა იყოსო. სამშობლო ამას ელოდა უმაღლესი სასწავლებლისაგან“.

როგორც თქვენთვის ცნობილია, პირველად აჭარაში შემოვიდნენ წმინდა მოციქულები და აქედან მოეფინა ქრისტიანობა მთელ საქართველოს. ალბათ, ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში დიდ ივანე ჯავახიშვილს, როცა ამბობდა, რომ ბათუმი საუნივერსიტეტო ქალაქია და საქართველოს მეორე უნივერსიტეტი სწორედ აქ უნდა გაიხსნასო. აკი აღსრულდა კიდეც, აღსრულდა საქართველოს ეროვნული ძოძრაობის დიდმნიშვნელოვან და განსაკუთრებულ ეტაპზე, როცა მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტები ესოდენ სჭირდება ხვალინდელ განახლებულ სამშობლოს.

გულში ჩამრჩა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის დოცენტ როინ ჭიკაძის მოლოცვის სიტყვები, რომ „ცოდნის ეს ტაძარი მალე გაუსწორებს მხარს მსოფლიო კულტურის უკვე სახელმოხვეჭილ კერებს, რამეთუ მას დალოცავენ დავით აღმაშენებელი თუ ეფრემ მცირე, პეტრე იბერი თუ შოთა რუსთაველი, დიდი ილია თუ დიდი ივანე ჯავახიშვილი. ამიერიდან ბათუმის უნივერსიტეტი თბილისის, ჭუთაისისა და სოხუმის უნივერსიტეტებთან ერთად უტკბილესი და უსაჩინოესი ქართული ენით იმოცისრულებს ღმერთთან ერთიანი საქართველოსათვის. აქ, ჩვენთან, იყალთოს აკადემიის ნაფუძარზე სიხარულისა და თანადგომის ზარი რეკავს. თქვენთან გვიგულეთ იმ მეტად

რთულსა და პასუხსაგებ გზაზე, რომელსაც ქვეყნის მომავალი თაობის დაცვალიანება ჰქვია“.

— ბატონო დურსუნ, ყველა დეპეშასა და მილოცვას, ბათუმის უნივერსიტეტის გახსნის გამო რომ მიიღეთ, ალბათ, ვერ ჩამოთვლით. მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა პრესაში დაიბეჭდა.

— რასაკვირველია. მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა სწორედ ამ მომენტს — უდიდეს პასუხისმგებლობას. ერთია უნივერსიტეტის გახსნა და მასთან დაკავშირებული სიხარული, მეორე კი ის დიდი მოვალეობა, რომელსაც ბათუმში უნივერსიტეტის დაარსება გვაკისრებს, ოქროს ჯვრის ტარების უფლება ხომ ერთადერთს მხოლოდ ბათუმის უნივერსიტეტის რექტორს ერგო. ხატოვნად ვიტყოდი, რომ ეს უაღრესად მძიმე ჯვარია.

საჭიროა და აუცილებელია გაგრძელდეს კეთილი ტრადიციები, რაც ათეული წლების მანძილზე ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ჰქონდა. ამასთან უნივერსიტეტი ახალ იდეებსა და ამოცანებს მოიტანს აუცილებლად. მათი ხორცშესხმისათვის კი ერთიანი ძალისხმევაა საჭირო.

— მაგრამ მარტო უნივერსიტეტის სახელწოდება ხომ არ შველის საქმეს...

— სწორი ბრძანებაა, პირდაპირ და გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ ბათუმს საუნივერსიტეტო სწავლებისა და მუშაობის პირობები ჯერჯერობით არა აქვს. გვჭირდება პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრები, სრულყოფილი სახელმძღვანელოები, ნათელი, ფართო აუდიტორიები, მდიდარი კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი ტექნიკით აღჭურვილი... უნივერსიტეტს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა ჰქონდეს. კარგი ბიბლიოთეკის გარეშე უნივერსიტეტის მაღალორგანიზებული და საფუძვლიანი მუშაობა წარმოუდგენელია.

ყველაფერი ეს უმოკლეს პერიოდში უნდა შევუქმნათ ჩვენს უნივერსიტეტს. ამ მიზნით ზემდგომი ორგანოების დახმარებით გაიხსნა საქველმოქმედო ფონდი. იმედია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მთელი საზოგადოებრიობა ყველაფერს იღონებენ ნამდვილი საუნივერსიტეტო სასწაული და სამეცნიერო მუშაობის პირობების შესაქმნელად.

— ამჟამად როგორ შეიძლება დავახასიათოთ ბათუმის უნივერსიტეტის მდგომარეობა და პერსპექტივები?

— ახალგახსნილ უნივერსიტეტში სამი ფაკულტეტი და 17 კათედრაა. ვამზადებთ თითქმის ყველა სპეციალობის მასწავლებლებს. მომავალ პედაგოგთა სწავლა-აღზრდას ემსახურება 150-მდე პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან ორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, რვა — მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და 70-ზე მეტი — მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

აღსანიშნავია, რომ თემები, რომლებზეც ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მუშაობენ, კოორდინირებულია ქვეყნის სხვა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან.

ამჟამად ბათუმის უნივერსიტეტს აქვს ორი სასწავლო კორპუსი და საერთო საცხოვრებელი. 1992 წლიდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა გამოთვლითი ცენტრი და თანამედროვე ტიპის საერთო საცხოვრებელი 200 სტუდენტისათვის.

პირველკურსელებმა საუნივერსიტეტო პროგრამით დაიწყეს სწავლა. ზოგიერთი სხვა ღონისძიებაც ხორციელდება, რომ ჩვენს მუშაობას ამთავითვე საუნივერსიტეტო ერქვას.

ბათუმის უნივერსიტეტის სტრუქტურა ასეთია: გაიხსნება ხუთი ფაკულტეტი — ჰუმანიტარული ფაკულტეტი სპეციალობებით ქართული ენა და ლიტერატურა, თურ-

ული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სამართალ-
ცოდნეობა; საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი სპეციალობებით: ფიზიკა, ქიმია, ბიო-
ლოგია, გეოგრაფია, ოკეანოლოგია, იქთიოლოგია, ეკოლოგია; მათემატიკისა და გამოთ-
ლითი ტექნიკის ფაკულტეტი სპეციალობებით მათემატიკა, მექანიკა, გამოთვლითი
ტექნიკა; ზოგადეკონომიკური ფაკულტეტი სპეციალობებით: საერთაშორისო ეკონომი-
კური ურთიერთობანი, საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანო-
ბის ანალიზი, ფინანსები და კრედიტი, წარმოების ეკონომიკა და მართვა; პედაგოგიური
ფაკულტეტი სპეციალობებით პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, დაწყებითი განათლების
პედაგოგიკა და მეთოდიკა, დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა,
პროფესიული სწავლება და ტექნიკური დისციპლინები, ფიზიკური აღზრდა.

ახლო მომავალში ჩვენს უნივერსიტეტში გაიხსნება საკუთარი ასპირანტურა და
დოქტორანტურა. მას ეყოლება საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის
სპეციალიზებული საბჭოები, ექნება საკუთარი გამომცემლობა, საუნივერსიტეტო გა-
ზეთი და ა. შ.

ბუნებრივია, დაგვჭირდება როგორც აჭარაში, ისე ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში
მოღვაწე კვალიფიციური კადრების — მეცნიერებათა დოქტორებისა და კანდიდატების
მოზიდვა. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით, მარტო ავტონომიურ რესპუბ-
ლიკაში 17 მეცნიერებათა დოქტორი და 182 მეცნიერებათა კანდიდატია, ბევრია
სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი. ვიცით აგრეთვე, რომ აჭარიდან წასული პროფესორ-
მასწავლებლები სიამოვნებით დაუბრუნდებიან მშობლიურ ქალაქს და ახალშექმნილ
უნივერსიტეტში გააგრძელებენ მუშაობას. ასევე შესაძლებელია დედაქალაქიდან ცნო-
ბილი მეცნიერების მოწვევა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ბათუმის უნივერსიტე-
ტში გაიხსნება ოთხი ახალი კათედრა ორი დეკანატით, დაგვემატება ლექტორ-მასწავ-
ლებლის 26 საშტატო ერთეული, 13 ლაბორანტი და სხვადასხვა დამხმარე პერსონალი
53 კაცის შემადგენლობით.

— რის გაკეთებას აპირებს ბათუმის უნივერსიტეტი საქართველოს ეროვნული მოძრაობის განვითარებისათვის?

— უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ თვითონ ამ უნივერსიტეტის გახსნა
ახალი დიდი ნაბიჯია საქართველოს ეროვნული მოძრაობის წინსვლის გზაზე. იგი უახ-
ლოეს მომავალში უნდა გადაიქცეს მძლავრ სასწავლო-სამეცნიერო და კულტურულ
ცენტრად, სრულიად საქართველოსათვის უაღრესად საჭირო, აუცილებელ და მნიშვნე-
ლოვან ცენტრად.

ბათუმის უნივერსიტეტის დაარსება, ერთი მხრივ, ჩვენი მხარისა და მეზობელი
რეგიონების კულტურული დაწინაურების მოწმობაა, მეორე მხრივ კი ქართული
კულტურის შემდგომი აღმავლობის საწინდარია.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალგახსნილი ბათუმისა და ქუთაისის უნივერ-
სიტეტები ღრმა კვალს დაამჩნევენ სამამულო მეცნიერებას.

ბათუმის უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია ქართველოლოგიური
დისციპლინების მაღალ დონეზე სწავლებისა და კვლევისათვის. იგი უნდა გახდეს ქარ-
თველოლოგიური და აღმოსავლეთმცოდნეობითი კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრი.
სწორედ ამ გზით განაგრძობს შუა საუკუნეების ქართული აკადემიებისა და დიდი ივა-
ნე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციებს.

აჭარის ნიჭიერი ახალგაზრდობა ფართოდ დაეწაფება სამეცნიერო-კვლევითს მუშა-
ობას. შეიძლება ითქვას რომ საქართველოს ამ მხარის ისტორიული წარსული ჯერ კი-
დევ ყამირად გვევლინება. სწორედ ეს გადაუდებელი საქმე უნდა შეავსოს ბათუმის
უნივერსიტეტმა.

და კიდევ ერთი: ჩვენი უნივერსიტეტი იქცევა ხიდად საქართველოსა და უცხოეთში, პირველ რიგში, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის. აქ განათლების მიღებას ყველა მსურველი საზღვარგარეთელი ქართველი თუ შეძლებს, ეს დიდი ეროვნული საქმე იქნება.

ყველა ქართველისა და, განსაკუთრებით, ბათუმელის ვალია მხარში ამოგვიდგეს, რათა უახლოეს პერიოდში ჩვენი უნივერსიტეტი დიდი მეცნიერების ტაძრად გადავაქციოთ.

ესაუბრა ჟურნალისტი **მიხეილ მშვიდობაძე.**

„სხვანაირად ვერ მოვიქცევი“

მიხეილ მახარაძე, ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის სწავლული მდივანი ზემო აჭარის მკვიდრია. დაამთავრა ყინჩაურის საშუალო სკოლა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ეს იყო ოცი წლის წინათ. მუშაობა დაიწყო ფილოსოფიის ინსტიტუტში ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში აკადემიკოს შალვა ხიდაშელის ხელმძღვანელობით.

შემდეგ საჭიროებამ, უფრო ზუსტად, იმან, რომ ფილოსოფიაში სერიოზულად მომუშავე მეცნიერმა აუცილებლობამდე სასურველია იცოდეს გერმანული ენა, უცხო ენათა ინსტიტუტიც დაამთავრა, საღამოს დასწრებული.

რენესანსის, საერთოდ და, კერძოდ, ქართული რენესანსის ისტორია, ნეოპლატონური ფილოსოფია და შუა საუკუნეების რელიგიის ფილოსოფია, — ასეთია არეალი მიხეილ მახარაძის კვლევისა. სხვადასხვა დროს ეთიკასა და ესთეტიკაში, სხვა დისციპლინებში ლექციებს კითხულობდა და კითხულობს უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში. ახლა თეატრალურ ინსტიტუტში მიიწვიეს ქართული ფილოსოფიის ისტორიის კურსის წასაყვანად.

ყოველივე ამასთან ერთად, ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით, ჩვენს პერიოდიკაში გახშირდა მწვავე, შემტევი პუბლიცისტური წერილები მიხეილ მახარაძის ხელმოწერით.

საუბარი მეცნიერთან იმით დავიწყე, რომ გადავეცი ჩემი, როგორც მოქალაქის, ჟურნალისტის, ბოლოს, ქართველი კაცის (და არა მარტო ჩემი!) სიმპათიები ამ წერილებისათვის, მათი მაღალი პატრიოტული, მოქალაქეობრივი, მეცნიერული პოზიციისათვის.

ჩვეული მშვიდი ღიმილით, მის შინაგან კულტურას რომ უსვამს ხაზს (მომეჩვენა, რომ ცოტა არ იყოს, დარცხვენითაც), მადლობა გადამიხადა მხარდაჭერისათვის და საუბარიც აეწყო. მე უკვე ვიცოდი, რომ საზაფხულო არდადეგებზე მშობლიურ მხარეში ჩამოსულს არაერთი შეხვედრა ჰქონდა მოსახლეობასთან. და არა მარტო სხალთის ხეობაში, საერთოდ, ზემო აჭარაში, არამედ ბარშიც.

კორესპონდენტი. რაკი ახლა ასეთი აღმავლობა უდგას ჩვენს ეროვნულ მოძრაობას.

და, ვიცი როგორც ყველა პროგრესული, საღად მოაზროვნე ადამიანი, გულგრილი არა ბართ (და ვერც იქნებით!) ამისადმი, მინდა შევეხოთ აჭარის ადგილს ამ მოძრაობაში, იმ მნიშვნელობას, რაც მას აკისრია, როგორც ერთ ძირძველ ქართულ მხარეს. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს, საყვედურებიც გაისმის, ზოგი, იქნებ, მართებული, ზოგიც უსაფუძვლო, თითქოს აჭარა იმ როლს ვერ ასრულებს ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში, რაც მას ეკუთვნის და, რასაც მისგან მოელის სრულიად საქართველო.

ნ. ნ. ნახარაძე: — და, დავუმატებდი, შინაგანად გარდუვალია მისთვის!

თქვენ შეხვედრები ახსენეთ, დიახ, ბევრი შეხვედრა მქონდა ამ ხნის განმავლობაში. თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში აქტივს რომ ეძახიან, მათთან მქონდა შეხვედრები და, რასაც ახლა ვიტყვი, ფაქტობრივად ემყარება ამ შეხვედრებს, მათზე მიღებულ შთაბეჭდილებებს, შეჯერებულს ჩემს გამოცდილებასთან. ამაზე, აჭარაში მიმდინარე პროცესებზე მე ვამზადებ ვრცელ, საფუძვლიან სტატიას, რომელსაც, ალბათ, რომელიმე ჩვენს ჟურნალში გამოვაქვეყნებ. მასში ამ თემას განვიხილავ ისტორიულ და დღევანდელობის მთავარ კონტექსტში — თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობის კონტექსტში. მექნება საშუალება დავიწყო მეხუთე საუკუნიდან და ვისაუბრო ქართველი კაცის ცხოვრების წესზე, მის ხასიათზე, იმაზე, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა მეოცე საუკუნეში, როგორ წარიმართა საქართველოს ბედ-ილბალი, თანდათან როგორ დაკარგა ქართველობამ ეროვნული ღირსება, ეროვნული გრძნობა. ეს გრძნობა, თუ მთლად არ ჩაკვდა, ღრმად მიძინებული იყო და, რომ იტყვიან, სწორედ სულზე მოუსწრო 9 აპრილმა...

შეხვედრებზე, აჭარის მთასა და ბარში რომ მქონდა, დავრწმუნდი: არიან ჩვენში ძალები, რომლებიც, თითქოს, ერთი შეხედვით, არ ჩანს, მაგრამ ფაქტიურად ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერია. და, არა ისე, ფანატიკურად, არამედ გონივრულად, მთელი შეგნებით. ვფიქრობ, მომავალში ეს პროცესი უფრო გაღრმავდება და ჩვენი მხარე იმ ადგილს დაიჭერს ეროვნულ მოძრაობაში, რაც მას ეკუთვნის და, რაც მხოლოდ მიეკუთვნება.

ამ შეხვედრებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიკვეთა ორი საკითხი, რომელთაც განსაკუთრებულად ემოციურად აღიქვამენ აქ: ავტონომიის საკითხი და რელიგიის საკითხი.

მე მიმაჩნია, რომ როდესაც აჭარის ავტონომიაზე არის საუბარი, ჩვენი მხარის მკვიდრნი ზოგჯერ არასწორი აგიტაციის გავლენის ქვეშ არიან მოქცეული. იცით, იმდენი გულუბრყვილო რამ მომისმენია, რომ უხერხულიც კია საჯაროდ მათი არა თუ განხილვა, ხსენებაც კი! ეს სასაცილოც არის, გულუბრყვილოც არის და, რაც მთავარია, არ შეეფერება ჩვენს ტრადიციას, არ შეეფერება იმ მაღალ სააზროვნო დონეს, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია აჭარისათვის, ძნელი არაა მიხვედრა, რომ მოქმედებს რაღაც ძალა, რომელიც აგიტაციას უწევს ხალხს, მე მიხდებოდა მის ნაკვალევზე გავლა და ეიგრძენი, რით მუხტავდა პატიოსან ადამიანებს ეს ძალა.

მე ვთვლი, რომ თუკი ავტონომია გასაუქმებელია, ჩვენვე, ჩვენმა ხალხმა უნდა გააუქმოს! და ამ ხალხში მე ვგულისხმობ არა მარტო მკვიდრ მოსახლეობას, არამედ ყველას, ვინც ამ ავტონომიის ფარგლებში ცხოვრობს. დაე, ჩვენში ყველაში მომწიფდეს ეს აზრი, დავდგეთ იმ სიმაღლეზე, როცა ერთადერთ სწორ, ერისათვის სასარგებლო, პროგრესულ გადაწყვეტილებას იღებს ხალხი.

კ. რ. — თქვენი პოზიცია სრულიად გასაგებია. რა თქმა უნდა, უამრავი მხარდამჭერი გყავთ, რა თქმა უნდა, ასევე უამრავ მოწინააღმდეგესთან ერთად. სხვაგვარად, ალბათ, დღევანდელ ვითარებაში, წარმოუდგენელიც იქნებოდა. მოწინააღმდეგეებში

მე ვგულისხმობ ნაწილს ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობისა, რომელსაც მიაჩნია, რო-საკითხიც კი არ უნდა დაისვას ავტონომიის გაუქმების თაობაზე, რომ ეს საკითხი ვანბი-ლვასაც კი არ ექვემდებარება, თუმცა, თუ კი დემოკრატიზაციის მომხრენი ვართ, აზრთ სხვადასხვაობა არ უნდა გვაშინებდეს, ეს დემოკრატიზაცია ცალმხრივად არ უნდა გავი-გოთ.

მ. მ. — რასაკვირველია!

კ ო რ. — **ავტონომიის თაობაზე თქვენი მოსაზრება ნათელია ბატონო მიხეილ დაგვრჩა რელიგიის საკითხი...**

მ. მ. — დიახ, რელიგიის საკითხი, ჩემის აზრით, უფრო პრინციპული და, ამდენად უფრო სერიოზული საკითხია.

შეხვედრებზე, რომლებიც მე აჭარაში მქონდა (არამარტო ოფიციალური, ე. წ აუდიტორიის შეხვედრები, არამედ უშუალო, კულისებში!) გაირკვა, რომ ისინი, ვინც მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები არიან, გარკვეული დამცველებიც არიან ამ რე-ლიგიური მსოფლმხედველობისა. აქ ერთი მომენტი არის უგულებელყოფილი არა მხო-ლოდ უბრალო მორწმუნის მხრივ, არამედ ინტელიგენციას რომ ვეძახით, იმათი მხრი-ვაც.

მე ხაზგასმით ვაცხადებ, რომ არავის არა აქვს უფლება აუგად მოიხსენიოს რომე-ლიმე სარწმუნოება! დიახ, რწმენის სფერო ხელშეუხებელი უნდა იყოს, არ უნდა დადგეს საკითხი — რომელი რელიგია რომელ რელიგიას სჯობს... ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, არც მორალური და არც მოქალაქეობრივი, ვუთხრათ იმათ, ვინც ისლამს მისდევს, რატომ მაინცდამაინც ამ რწმენას მისდევს, რა-ტომ ათეისტი არაა, ან ქრისტიანობას რად არ ეზიარება. ეს არ იქნება სწორი, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი რელიგია ადამიანის ხსნას ისახავს მიზნად.

მაგრამ, სამწუხაროდ, რელიგიის ფუნქცია მხოლოდ ამით არ ამოიწურება. რელი-გიას, ამავე დროს, ძალიან დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს. მაგალითად, როდესაც მე ვამბობ, რომ ქრისტიანობა სჯობს მუსლიმანობას, ან მუსლი-მანობა სჯობს ქრისტიანობას თუ იუდაიზმს, ეს უკვე იდეოლოგიაა.

კ ო რ. — **ცხადია, მაგრამ აქ უნდა ვთქვა, რომ იმთავითვე ვერ გავიზიარე ლოზუ-ნგი — „გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოს“. თქვენ რას იტყვით ღღევანდელ ვითარებაში ასეთი ლოზუნგის მიზანშეწონილობაზე, მის გონივრულობაზე?**

მ. მ. — მოგახსენებთ, ოღონდ ჯერ, აი, რა: როცა ვამბობთ, „გაუმარჯოს ღამოუ-კიდებელ ქრისტიანულ საქართველოს“, ეს უკვე პოლიტიკაა! და რაკი პოლიტიკაა და რაკი რელიგიაც პოლიტიკის, იდეოლოგიის სამსახურში არის ჩაყენებული, ბუნებრივია, რელიგიასთან ქართველი კაცის დამოკიდებულებას თავისი სპეციფიკური მხარე და ასპე-ქტი აქვს.

კ ო რ. — **ტრადიციას რომ თავი დავანებოთ...**

მ. მ. — ტრადიციას რომ თავი დავანებოთ. აი, მაგალითად, მე გაზრდილი ვარ ორთოდოქსალურ მუსლიმანურ ოჯახში. ამავე დროს ვმუშაობ ქრისტიანული რელიგიის ფილოსოფიაში. ამდენად რელიგია ჩემთვის კარგად არის ნაცნობი, როგორი უნდა იყოს ჩემი დამოკიდებულება ან ერთი, ან მეორე რელიგიისადმი?

აქ მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ უნდა ვთქვათ: მე, პირველ რიგში, მაინტე-რესებს ჩემი წინაპრების, ჩემი ერის სული რომელ რელიგიაშია გამჟღავნებული?

პასუხიც ვიცით: ქართველი კაცის სული, ქართველი კაცის კულტურა ქრისტიანუ-ლია, ქრისტიანობაზეა დაფუძნებული და ამიტომაც, ცხადია, გადამწყვეტი ჩვენში არის ქრისტიანული რელიგია!

ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს (მე ვიცი, ბევრი თბილისშიც გაკეირვებულა ამ ლოზუნგით!) რატომ ამბობენ „გაუმარჯოს ქრისტიანულ საქართველოსო". ვინ, რა უნდა თქვას ეროვნულმა მოძრაობამ? რომელ საქართველოს გაუმარჯოს? უშუალოდ ლოზუნგში რომ არ ჩადო ეს აზრი, ხომ მაინც იგულისხმება!

მაშ რა უნდა იყოს ჩვენი იდეოლოგია?

მუსლიმანური ვერ იქნება ქართველი კაცისათვის! სხვა საქმეა, რომ ქართველთა ერთი ნაწილი მაჰმადიანობის ამღიარებელია, ამას ვერ უარვყოფთ, მაგრამ, მაინც, ქართველისათვის არსებითი და გადამწყვეტი ქრისტიანული რელიგიაა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი ასეთი დამოკიდებულება აჭარაში მიმდინარე პროცესებისადმი.

კორ. — **მესმის თქვენი სულისკვეთება. ისიც სავსებით გასაგებია, რომ თქვენეული სიფხიზლე ამ პროცესებისადმი, არავისთვის გულსატკენი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ეს სულაც არ ნიშნავს, ნებისმიერი მორწმუნის რელიგიურ ალმსარებლობის ხელყოფას, ერთი შეკითხვა, თუ საჭოთიროდ არ მოგეჩვენებათ: ქრისტიანულად მონათლული ხომ არ ხარ?**

მ. მ. არა, არ ვარ მონათლული, ისე კი, თუ ადამიანი რომელიმე რელიგიას უნდა მიეკუთვნოს, მე უფრო მუსლიმანობას ვეკუთვნი, მაგრამ, ჩემი, როგორც ქართველი კაცის პოზიცია, იმას მკარნახობს, რაც მოგახსენეთ. სხვანაირად მე ვერ მოვიქცევი.

შესაძლოა ამ ჩემი სიტყვებით ბევრს გული ვატკინო, იქნებ ჩემს წინააღმდეგაც ავამხედრო ვინმე, მაგრამ ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა ვერ ექნება, ვინაიდან აქ საქართველოს ძირეულ პრობლემებს ეხება საქმე.

ვიმეორებ: ჩვენ არავის რწმენას არ ვეხებით, მორწმუნეს არ ვუკრძალავთ რელიგიური რიტუალების შესრულებას. მაგრამ თუ კი ჩვენი ახალგაზრდობა (და არა მარტო მისი საუკეთესო ნაწილი), რომელიც ათეისტურად აღიზარდა, არ დაუბრუნდება თავის წინაპართა სარწმუნოებას (როგორც ამას თურქეთის ქართველობის საუკეთესო ნაწილიც აკეთებს!), ეს სიკეთეს არ მოუტანს საქართველოს და, უწინარეს, ჩვენს მხარეს!

ეს გახლავთ, ჩემი მტკიცე რწმენა და, საბედნიეროდ, არა მარტო ჩემი!

ესაუბრა ანზორ ზამბახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ მახარაძე

ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და თომა აქვინელის მსოფლმხედველობათა მიმართების ზოგიერთი ასპექტი

თომა აქვინელის (1226-1274) მსოფლმხედველობის არეოპაგიტიკასთან მიმართების კვლევა აქტუალურია იმ აზრით, რომ აქვინელი არეოპაგიტიკის სქოლასტიზირებას ცდილობს და ამდენად საინტერესოა გაირკვეს, თუ რა ბედი ეწია არეოპაგიტიკას აქვინელის მსოფლმხედველობაში; ეს რაც შეეხება არეოპაგიტიკისა და აქვინელის ფილოსოფიის მიმართებას. თავისთავად საინტერესოა საკუთრივ თომა აქვინელის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის, როგორც შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფილოსოფიისა და კათოლიკური მსოფლმხედველობის უდიდესი წარმომადგენლისა და თანამედროვეობის ერთ-ერთი გავლენიანი რელიგიური-ფილოსოფიური მიმდინარეობის ნეოთომიზმის იდეური საფუძვლის შესწავლა.

თომა აქვინელის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კვლევის აქტუალურობაზე მითითებულია სხვადასხვა გამოკვლევებში. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს XX საუკუნის „გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი. რასელის აზრით „თომა აქვინელის ფილოსოფია დღეისათვის მხოლოდ ისტორიული ინტერესის შემცველი როდია. თომას ფილოსოფია ისევე მოქმედს წარმოადგენს დღეისათვის, როგორც პლატონის, არისტოტელეს, კანტისა და ჰეგელის ფილოსოფიური მოძღვრებები, „...ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲐᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲝᲠᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲓᲕᲠᲔᲑᲐ“[1] (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.).

თომიზმის აღორძინების შესახებ ნათქვამია არაერთის საბჭოურ გამოკვლევაში. ასე, მაგალითად, „XX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში“ მსჯელობა შეეხება თომისტურ რენესანსს. „მოდური ლოზუნგის — „უკან კანტისაკენ“ — გვერდით ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა წამოაყენეს მეორე ლოზუნგი — „უკან შუა საუკუნეებისაკენ“. ასეთ სიტუაციაში, აღნიშნულია იგივე გამოკვლევაში, — თომიზმის აღორძინებისა და გამოცოცხლებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება.[2] აქვე დამოწმებულია თვალსაჩინო რუსი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის ნიკოლაი ბერდიაევის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, — თომისტური რენესანსი ესაა გონებრივი მოძრაობა მოდერნიზმის წინააღმდეგ, რომელიც ემყარებოდა ბერგსონის ფილოსოფიას.

ქართველ მკვლევარ ნოდარ ნათაძის აზრით, „მიუხედავად ამ დიდი ისტორიული როლისა, რომელიც თომამ ითამაშა კათოლიციზმის ისტორიაში და დღესაც თამაშობს, როგორც ნეოსქოლასტიკის საყრდენი და სულის ჩამდგმელი, მი-

სი მოძღვრების მნიშვნელობა მხოლოდ ამ ისტორიული რა-
ლით არ განისაზღვრება, ესაა ფილოსოფიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ნიმუში სრული, ამომწურავი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტოტალური მსოფლმხედველობრივი სისტემის შექმნის მცდელობისა, რომლის შემდეგ — თუ კი ეს ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, — ავტორის ჩანაფიქრით, უკმდება ადამიანის გონების ყოველგვარი სტიმული იმავე საკითხების კვლავ განხილვისა, ახლის დასმისა, ეჭვისა, უკმაყოფილებისა და ამ უკანასკნელით განპირობებული ტრაგიკული მსოფლგანცდისათვის".3 (ხაზგასმა ჩვენია მ. მ.). აქვე შევნიშნავთ, რომ ნ. ნათაძის გამოკვლევა თომა აქვინელზე პირველი, სისტემური დალაგებაა ქართულ ენაზე თომა აქვინელის ფილოსოფიისა.

თომა აქვინელის შრომები მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა ხასიათისაა. ეს შრომებია: ბიბლიურ თემებზე სხვადასხვა კომენტარები; აგრეთვე პეტრე ლომბარდიელის, ბოეციუსის თეოლოგიურ შრომებზე, „საღმრთოთა სახელთათჳს"-ზე (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის), პროკლეს „მიზეზთა წიგნზე" კომენტარები. თომას შრომებში შედის აგრეთვე ე. წ. „სადავო საკითხები" და „ნებისმიერი საკითხები", მასვე ეკუთვნის სასულიერო ჰიმნებიც, „რომელთაგან „აქე სიონი" და „გამოთქვი ენავ" შუა საუკუნეთა ლათინური ლირიკის შედევრებს მიეკუთვნება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თომა აქვინელის განთქმულ შრომებს, ე. წ. „სუმებს" (შეჯამებები). „სუმა" ამ ეპოქის სქოლასტიკაში საკმაოდ ფეხმოკიდებული ჟანრია, რომელიც შეჯამებას, გამოვლინებას, სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფილი ცოდნის ერთ სისტემად გაერთიანებას გულისხმობს. „სუმათაგან" პირველს ეწოდება „სუმა წარმართთა წინააღმდეგ", ხოლო მეორეს „თეოლოგიური სუმა".

„სუმა წარმართთა წინააღმდეგ" თომა აქვინელის ფილოსოფიური თხზულებაა, ხოლო „თეოლოგიური სუმა", რელიგიურ-თეოლოგიურია და წარმოადგენს აქვინელის თეოლოგიური მსოფლმხედველობის გვირგვინს. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ რამდენადაც „წარმართთა წინააღმდეგ" სუმას პირველ სამ თავში ფილოსოფიური საკითხები სჭარბობს, ამდენად, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აქვინელის ფილოსოფიის გასაგებად საკმარისია ამ თხზულებით შემოფარგვლა. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ბევრი პრობლემა შუა საუკუნეების აზროვნებაში განიხილებოდა, როგორც ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში, ისე თეოლოგიურ-რელიგიურში და, ამდენად, მკვლევარი რიგი საკითხების კვლევისას გვერდს ვერ აუვლის თეოლოგიურ შრომებსაც, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში თომა აქვინელის „თეოლოგიურ სუმას".

ბოლოს კი, ვიდრე თომა აქვინელის ფილოსოფიის დალაგებაზე გადავიდოდეთ, გვინდა დავიმოწმოთ თვალსაზრისები, რომლებშიც კარგად ჩანს აქვინელის მსოფლმხედველობის დედაარსი და ძირითადი მიმართულება. ნ. ნათაძის აზრით, „...თომას აზროვნების მამოძრავებელი მთავარი სტიმულია არა ახლის შექმნა, არამედ არსებულის კონსერვაცია. სამყაროს შთაბეჭდილებათა და აზრის შესაძლო მონაპოვართა ისე გააზრება და გაანალიზება, რომ ეს შენობა უცვლელი დარჩეს"4 (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.) და ყველაფერი იმის გამოა, ავტორის შენიშვნით, რომ თომასათვის ქრისტიანული მსოფლმხედველობის ეს შენობა წინასწარვე მოცემულია უკვე.

ვ. სოკოლოვის აზრით, აქვინელის მოძღვრებაში ცოტაა საკუთრივ ავტორისეული ახალი იდეები, რომელიც უცნობი იყოს წინამავალი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ფილოსოფიისათვის. „მაგრამ თომამ, როგორც სისტემატიზაციისა და კომპრომისის დიდმა ოსტატმა, შექმნა გრანდიოზული თეოლოგიურ-ფილოსოფიური

სინთეზი, რომლის კონტექსტში ზოგჯერ ჩართული იყო ძალზე საინტერესო და თავისებურად ღრმა აზრები“.

თომა აქვინელის მსოფლმხედველობის სიღრმისა და მნიშვნელობის შესახებ გ. თევზაძე წერს: თომა აქვინელის „თეოლოგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი არა მარტო ქრისტიანული, არამედ, საერთოდ, რელიგიური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო პროდუქტია“... თომას „მიზანი იყო კათოლიკური ქრისტიანობის, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიის, დასაბუთება და თანაც ისე, რომ მას რაც შეიძლება ფართო მასებზე ჰქონოდა ეფექტური ზემოქმედება“. აქვე აღნიშნულია იმ გარდუვალ სიძნელეზე, რაც აუცილებლად უნდა შეხვედროდა თომა აქვინელს: „თომა აქვინელს არ შეეძლო შეერიგებინა შეურიგებელი, ე. ი. ფილოსოფია და რელიგია, განეხორციელებინა განუხორციელებელი, ე. ი. მოეცა რელიგიის დასაბუთება, მაგრამ მან მაქსიმუმი გააკეთა ამ მხრივ და სულაც არაა შემთხვევითი, რომ XX საუკუნეშიც კათოლიკური რელიგიის თეორეტიკოსები თავიანთ ძირითად საქმედ მისი მოძღვრების ინტერპრეტაციას აცხადებენ“[6].

ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და თომა აქვინელის მსოფლმხედველობათა სიახლოვე და განსხვავება განსაკუთრებით შეიმჩნევა შემდეგ საკითხებში:

მოძღვრება ღმერთზე; ღმერთის დადებითი და უარყოფითი დახასიათება;

მოძღვრება შექმნაზე;

სიკეთისა და ბოროტების მიმართება.

მოძღვრება ღმერთზე. არეოპაგიტიკასთან თომა აქვინელის მსოფლმხედველობის მიმართების გარკვევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქვინელისათვის, როგორც კრეაციონისტული თვალსაზრისის დამცველისა და გამტარებლისათვის, ღმერთი სამყაროს მიმართ ტრანსცენდენტურია. „ღმერთი ტრანსცენდენტურია სამყაროს მიმართ. იგი არაა მისი ნაწილი, არამედ მხოლოდ მიზეზი და მიზანი“.[7]

აქვინელის ამ პოზიციას თუკი ამავე საკითხში ფსევდო-დიონისესას შევადარებთ, ალმოჩნდება, რომ არეოპაგიტიკაში ღმერთის ტრანსცენდენტიზმისა და იმანენტიზმის შეგუების ცდაა, მაშინ, როცა აქვინელთან კრეაციონისტული თვალსაზრისია ბოლომდე გატარებული.

არეოპაგიტიკის თანახმად, ღმერთი მარტივი და უსასრულოა, ყველაფრის საფუძველი თავისთავში აქვს („და რამეთუ ღმერთი არაესრეთ ვითამე არს, არამედ მარტივ და გარე-შეუსაზღვრელობით ყოველივე ყოფად თავს შორის თჳსსა აქუს და პირველთავე აქუს.[8]“)

თომა აქვინელისათვისაც ღმერთი არის მარტივი: „ღმერთი — თვით საკუთარი თავის არსებაა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ის მარტივი კი არ იქნებოდა, არამედ არსებისა და არსისაგან იქნებოდა შედგენილი“.[9] რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა, თუკი ამ ამონაწერების საფუძველზე გავაკეთებდით დასკვნას არეოპაგიტიკისა და თომა აქვინელის თვალსაზრისთა დამთხვევაზე და ვიტყოდით, რომ ღმერთისა და სამყაროს მიმართება ფსევდო-დიონისე არეოპაგელსა და თომა აქვინელს ერთნაირად აქვთ გაგებული. არ იქნებოდა სწორი ეს დასკვნა უპირველესად იმის გამო, რომ შუა საუკუნეებში ღმერთის, როგორც პირველი ერთის, უმაღლესი სრულყოფილების, აბსოლუტური სიმარტივის და ა. შ. გაგება გვხვდება როგორც კრეაციონისტული მსოფლმხედველობის წარმომადგენლებთან, ისე ემანტიზმის მიმდევრებთან. ამიტომაც ამა თუ იმ მოაზროვნეების თვალსაზრისთა მიმართების კვლევისას სანამ არ დავძებნით განმასხვავებელ ნიშნებსაც, ამის გარეშე უმართებულო იქნება რაიმე დასკვნების გაკეთება.

აქ ბუნებრივად დადგება ასეთი კითხვა — ღმერთზე მოძღვრებაში თუ არის.

განსხვავება არეოპაგიტულ მოძღვრებასა და თომა აქვინელის მსოფლმხედველობას შორის?

მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა როგორც ფსევდო-დიონისეს, ისე თომა აქვინელის ძირითადი თვალსაზრისებისადმი მიმართვა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, სიკეთე (ღმერთის მნიშვნელობით) თავის ღვთაებრივ ძალებს სინამდვილის არსებებს აძლევს ყოველგვარი არჩევანის გარეშე, ისე როგორც მზე განფენს თავის სხივებს („რამეთუ ვითარცა ხილული ესე ჩუენ მან მზე არა განიზრახავს, არც წინა-ალირჩევს რასმე, არამედ თჳთ ბუნებით განმანათლებელ არს ყოველთა ძალისაებრ მიმღებელთა ნათლისაგან მისისა, ეგრეთვე უზეშთაეს მზისა, თჳთ ბუნებითი იგი სახიერებაჲ პირმშოჲსა მის სახისაგან ყოველთა მიმართ განფენისა სახიერებათა თჳთსთაჲსა კნინ-ოდენად წულილად და მცირედ სახედ აჩუენებს ხილულსა ამას მზესა ყოველთა ზედა განფენისათჳს შარავანდედთაჲსა“[10]).

არეოპაგიტული მოძღვრების ეს ადგილი უპირველესად იმითაა საინტერესო, რომ აქ ემანტიზმის პრინციპია გაზიარებული. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ დებულების საფუძველზე თვლიან ძირითადად არეოპაგიტიკას ემანაციურ მოძღვრებად. თუ მსედველობაში მივიღებთ არეოპაგიტული მოძღვრების ემანაციური თვალსაზრისის გავლენებს ერიუგენასა და ნიკოლა კუზანელის მსოფლმხედველობებზე, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას — არეპაგიტიკის ეს ადგილი ამ მოძღვრების ძირითადი ტენდენციის გამომხატველია. თუკი ამ პოზიციიდან შევხედავთ თომა აქვინელის მსოფლმხედველობას, ცხადად დავინახავთ ამ ორი მოაზროვნის თვალსაზრისთა შორის განსხვავებას. აქვინელის მოძღვრებაში ღმერთი არსებებს აუცილებლობით კი არ ქმნის, პირიქით, აქვინელის მსოფლმხედველობის ამოსავალია — ღმერთის მიერ სამყაროს, საგნების... შექმნა საკუთარი ხებით, დროში, არაფრისაგან.

თომა აქვინელის აზრით, „რამდენადაც სამყარო შემთხვევითად კი არ შექმნილა, არამედ ღმერთის მიერ აქტიური ინტელექტის მეშვეობით... აუცილებელია, რომ ღვთაებრივ გონებაში ყოფილიყო ფორმა, რომლის მსგავსად შეიქმნა სამყარო“.[11] აქვინელის ეს დებულება ერთი მხრივ ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად გამოდგება, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისაგან განსხვავებით, ღმერთის ტრანსცენდენტიზმის პრინციპს რომ იცავს მუდამ, ხოლო მეორე მხრივ ახალ განმასხვავებელ ნიშანზე მიუთითებს არეოპაგიტიკასთან მიმართებაში. ესაა შექმნამდე შექმნის წინასწარი იდეის არსებობა ღვთაებრივ გონებაში, რომელიც უცხოა კლასიკური ნეოპლატონიზმისა და არეოპაგიტიკისათვის.

თომა აქვინელისათვის ღმერთი ყველა საგნის პირველმიზეზია, როგორც ნიმუში — პირველსახე. ამის კარგად გასაგებად, — აღნიშნავს აქვინელი, — მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რაღაც საგნის წარმოშობისათვის აუცილებელია მისი პირველსახე, რადგანაც წარმოქმნილი უნდა მიყვებოდეს განსაზღვრულ ფორმას. აღნიშნული მოსაზრების უკეთ გასაგებად თომა აქვინელი ასეთ მაგალითს მიმართავს: ოსტატი მასალაში განსაზღვრულ ფორმას ანხორციელებს, რომელიც მის მიერ წინასწარ შემუშავებულ სახეს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, აქვინელი ასკვნის, რომ ყველა ბუნებრივი დაბადება განსაზღვრულ ფორმას მიყვება. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თომა აქვინელის თვალსაზრისს თუ ასე ჩამოვაყალიბებთ: სამყაროში მიმდინარე ყოველი წარმოქმნა, რომელიც ღმერთის ნებით მიმდინარეობს, აუცილებლად გულისხმობს წინასწარ ფორმას, რომელიც მისი პირველსახეა და რომლის მიხედვითაც იქნება ესა თუ ის საგანი.

აქ ბუნებრივია დაისვას კითხვა — ეს პირველსახეები საგნებისა სად იმყოფებიან და რის საფუძველზე იქმნებიან? რა თქმა უნდა, თომა აქვინელი ამგვარი კითხვის

ლასმის აუცილებლობას წინასწარვე გრძნობს და ამისათვის შესაბამისი პასუხიც მოეპოვება. ეს პასუხი კი ამ საკითხში მისი მსოფლმხედველობის ნათელი გამჟღავნებაა. კერძოდ, თომა აქვინელისათვის რახან ღმერთი ტრანსცენდენტურია და რაც ხდება სამყაროში უველაფერი ამის განმგებელია, ამიტომაც ამგვარი წინასწარი ფორმებისა თუ ნიმუშების (რომლებიც საგნების წარმოშობას უსწრებს წინ) მიზეზიც ღმერთია. ამის შესახებ აქვინელს გარკვეულად აქვს ნათქვამი: ამ ფორმების განსაზღვრულობა ღვთაებრივ ლიდ სიბრძნეში, როგორც თავის პირველსაწყისში, უნდა იყოს, რომელიც სამყაროს წესრიგის მომფიქრებელია. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ღვთაებრივ სიბრძნეში წინასწარ მოცემულია (იმყოფება) უველა საგნის წინასწარი „მოხაზულობა", რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ იდეებს ან სანიმუშო ფორმებს ღმერთის გონებაში.

საგნების ეს იდეები ანუ ფორმები ღვთაების გონებაშია. მართალია, საგნებისადმი მიყენებისას ისინი ნაწევრდებიან (იხლიჩებიან), მაგრამ რეალურად ისინი ღვთაების არსებისაგან განსხვავებულნი არ არიან. ამრიგად, ღმერთი თვითონაა უველაფრის პირველსახე.[12]

ალნიშნული თომა აქვინელისა და არეოპაგიტული მსოფლმხედველობის მიმართების კვლევისას თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. აქ კარგად და გამოკვეთილად ჩანს განსხვავება ამ ორი მოაზროვნის თვალსაზრისებს შორის. ეს განსხვავება კი არსებითია მათი მსოფლმხედველობების სასიათის განსაზღვრისათვის, რამდენადაც თომა აქვინელისათვის ღმერთი არაფრისაგან ქმნის, ამდენად მის მსოფლმხედველობაში გარკვეული უფსკრულია შემქმნელსა და შექმნილ არსებებს შორის. სწორედ ამ სიძნელის მოსაგვარებლად აქვინელის მოძღვრებაში დაშვებულია წინასწარი ფორმები, რომლებიც ღვთაებაშია და რომლებიც გარკვეულად ნიმუშების ფუნქციას ასრულებენ შექმნისას.

თუკი ამ პოზიციიდან შევხედავთ არეოპაგიტულ მოძღვრებას, ნათელი გახდება, რომ ამ საკითხში ფსევდო-დიონისესა და თომა აქვინელის თვალსაზრისები განსხვავებულია. ღმერთისა და სამყაროს მიმართების გარკვევისას ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ნეოპლატონურ ფილოსოფიას მიყვება და იერარქიულ სისტემას აგებს. რაც მთავარია, მასთან ეს პირველსახეები არ არის. არეოპაგიტიკაში ღმერთისა და სამყაროს მიმართება ძირითადად ემანაციური პრინციპის საფუძველზეა წარმოდგენილი.

თომა აქვინელი კი, რომელიც ტრანსცენდენტიზმის პოზიციაზე იდგა, გაერთიანებას, სამყაროს ერთ, მთლიან მთელად ვერ წარმოადგენდა, თუ არ დაუშვებდა გარკვეულ შუალედურ მიზეზებს, რომლებიც ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებენ, კერძოდ ეს შუალედური მიზეზები (იდეები, ფორმები) ღმერთის გონებაშიც არიან და შექმნილ არსებებშიც. აქ აქვინელის ფილოსოფიის მთავარი სიძნელე ის კი არაა, რომ ეს შუალედური მიზეზები ღმერთშიც არიან და არსებებშიც; რაც მთავარია, აქვინელთან შუალედური მიზეზების ამგვარი ყოფნის აუცილებლობა ვერაა დასაბუთებული, მაშინ როცა, როგორც ნეოპლატონურ ფილოსოფიაში საერთოდ, ისე არეოპაგიტიკაში კერძოდ, ემანაციის პრინციპის შემოტანის საფუძველზე ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის იდეა დამაჯერებლად იქნა გატარებული.

თომა აქვინელის მსოფლმხედველობაში მოცემული შუალედური მიზეზების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პოლონელ მკვლევარ ი. ბორგოშს. ავტორი ალნიშნავს, რომ ადრე, ავგუსტინესთან, ღმერთის განგება უშუალოდ, ყოველგვარი შუამავალი მიზეზების გარეშე მართავს საგნებს. მაგრამ აქვინელს არ შეეძლო ამ თვალსაზრისის მიღება, ვინაიდან მისი მოღვაწეობის დროს მიწიერს უკვე ღირებულება ენიჭებოდა. ამ ეპოქისათვის მსჯელობა შეეხებოდა იმას, რომ ერთი მხრივ შემოქმედისაგან სამყაროს უსიტყვო დამოკიდებულება დაესაბუთებინათ, ხოლო მეორე მხრივ

ეჩვენებინათ ზნეობრივი მიზნები — რეალური, მიწიერი მიზნების მეშვეობით რომ ხორციელდება. სწორედ ამის გამო, — ავტორის აზრით, — აქვინელს შემოაქვს ბუნებრივი მიზეზები, რომელთა მეშვეობითაც ღმერთი მართავს საგნებს. რახან ღმერთი ყოველთვის არ ერევა მიწიერ ცხოვრებაში, ჩვენ გარკვეული აქტიურობის საშუალება გვეძლევა. ამით კი აქვინელი ცდილობდა ადრექრისტიანული მსოფლმხედველობის მიერ მიწიერის ღირებულების უარყოფის გადალახვას.[13]

მართალია, არეოპაგიტული მოძღვრება და აქვინელის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ღმერთისა და სამყაროს მიმართების საკითხში განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის ერთდაგვარი მსგავსება მაინც არის. ეს მსგავსება ორივე მოაზროვნესთან სინამდვილის ერთიან მთელად წარმოდგენაში გამოიხატება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არეოპაგიტიკის ფილოსოფიურ მოძღვრებაში, ნეოპლატონური ფილოსოფიის მსგავსად, ღმერთი და სამყარო ერთიანობაშია და სინამდვილის ამ ერთიანობაში მკაცრი წესრიგია. ამ წესრიგს კი განსაზღვრავს არსებათა განლაგება მათი სრულყოფილების ხარისხით. ყველა არსებას აქვს თავისი წინამავალი მიზეზი. დაახლოებით ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე თომა აქვინელთანაც. აქვინელის მიხედვით ზოგიერთი საგანი სხვა საგნის მიმართ გარკვეული ნიმუშიც შეიძლება იყოს და თვით საგნებში არსებული წესრიგი, რომლებიც ღმერთის მიერ არიან შექმნილნი, სამყაროს ერთიანობას ამყარებს. ეს სამყარო ერთიანად იწოდება იმის გამო, რომ ყველა საგანი, რომელიც ღმერთის მიერაა შექმნილი, მეორესთან შესაბამისობაშია.[14] მართალია, აქ აქვინელი არ მსჯელობს საგნების განლაგებაზე სრულყოფილების მიხედვით, მაგრამ ეს თვალსაზრისი გარკვეულად ემსგავსება არეოპაგიტულს.

ღმერთზე მოძღვრების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენისათვის საჭიროა განვიხილოთ ღმერთის დადებითი და უარყოფითი დახასიათება აეროპაგიტიკისა და თომა აქვინელის მსოფლმხედველობაში.

როგორც აღინიშნა, მას შემდეგ, რაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელი დაადგენს დადებითი და უარყოფითი მეთოდების უძლურებას ღმერთის საბოლოო წვდომისათვის, შემოაქვს მისტიკური ჭვრეტა. თუკი კატაფატიკა და აპოფატიკა, როგორც ცოდნის მეთოდები, ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, მისტიკური ჭვრეტის დაშვების შემდეგ, ფსევდო-დიონისე ამ მეთოდებს ერთმანეთს უპირისპირებს, რადგანაც მისი აზრით დადებითი დახასიათებისას უმაღლესი არსებით ვიწყებთ და დაბლა ვეშვებით, ვიდრე უკანასკნელ არსებამდე, ღმერთის უარყოფითი დახასიათებისას კი პირიქით, უმცირესიდან უმაღლესი არსებისაკენ მივდივართ და ამით ვახერხებთ ზეშთაარსების ხილვას: „საკმარ უკუე არს, ვითარ ვჰგონებ, მოკლებათა წინაალმდგომთა მატებათაგან გალობად, რამეთუ მატებანი პირველთაგან დაწყებითა და საშუალოთა განვლითა უკუანაჲსკნელთა მიმართ შთამომავალად დაგჯსხმან, ხოლო მოკლებათა უკანაჲსკნელთაგან უდასაბამიერესთა მიმართ აღყვანებით ვჰყოფთ და ყოველთავე მოვაკლებთ, რაჲთა დაუფარველად ვცნათ უცნაურება იგი ყოველთაგან ცნობილთა ყოველთავე არსთა შორის დაფარული და ზეშთა არსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლისაგანვე არსთა შორისისა ნათლისა დამალული“.[15] ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ აქ არეოპაგიტულ მისტიკასთან გვაქვს საქმე, სადაც რაციონალური ცოდნის უნარები უძლურნი არიან. აქედან გასაგებია, რომ უარყოფით მეთოდზე უპირატესობის მინიჭება სულაც არ ნიშნავს ცოდნის სფეროში ამ მეთოდების დაპირისპირებულობას.

როგორც ვნახეთ, არეოპაგიტიკაში მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან ცოდნისა და მისტიკის სფერო. თომა აქვინელთან უფრო სხვანაირი ვითარებაა. მართალია, იგი „დაესესხა“ ფსევდო-დიონისე არეოპაგელს ღმერთის დადებითი და უარყო-

ფითი დახასიათების საკითხში, მაგრამ მის მოძღვრებაში ყველაფერი მიმართულია იმისაკენ, რათა ღმერთის ტრანსცენდენტურობა აჩვენოს. თომა აქვინელთან „ღმერთი არის ტ რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ უ რ ი სამყაროს მიმართ, მასა და დაბადებულს, შექმნილს შორის გადაულახავი უფსკრულია“.[16] სწორედ ეს პრინციპია აქვინელისათვის სახელმძღვანელო და ამის ვამართლებას ცდილობს იგი. აქედან გამომდინარე, ძნელი არ უნდა იყოს იმის დანახვა, რომ როგორაც არ უნდა იყოს აქვინელის მოძღვრებაში მოცემული ღმერთის დახასიათება (აბსოლუტური სიმარტივე, სრულყოფილება, ყველაფრის საფუძველი და მიზეზი...), ყველაფერი ეს ისევ და ისევ ღმერთის ტრანსცენდენტურობის დასაბუთებას ემსახურება.

კიდევ ერთ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, როდესაც ღმერთის ყველა საგანთა ფორმალურ მიზეზად გამოცხადებით პანთეიზმის საფრთხე იქმნება. ნ. ნათაძის აზრით, ამ სიძნელეს თომამ თავი აარიდა ერთის მხრივ „არსის ანალოგიის“ ცნების გამოყენებით, მეორე მხრივ იმ გზით, რომ ზემოხსენებულ პანეთისტურ თეზისს ბრალად დასდო ღვთის „აბსოლუტური ყოფიერების“ და შექმნილ საგანთა „საერთო ყოფიერების“ აღრევა.[17] აქაც ნათელია, რომ თომა აქვინელის ყოველი ცდა იქითაა მიმართული, რომ ღმერთი და სამყარო მოწყვიტოს ერთმანეთს.

ზემოალნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ: მართალია, თომა აქვინელი ფსევდო-დიონისე არეოპაგელისაგან ღმერთის (პირველმიზეზის) დადებითი და უარყოფითი დახასიათების მეთოდებს იღებს, მაგრამ ამ მეთოდებს ერთი მიმართულებით მოიხმარს — ღმერთის ტ რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ უ რ ო ბ ი ს დასასაბუთებლად. თუკი ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან არის ცდა იმისა, რომ როგორმე ღმერთისა და სამყაროს მიმართებაში ღმერთის ტრანსცენდენტურობას შეუგუოს მისი იმანენტურობა საგნების მიმართ, თომა აქვინელთან ეს სიძნელე არ დგას და კრეაციონისტული მსოფლმხედველობა მისი მოძღვრებისათვის ამოსავალია.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა შ ე ქ მ ნ ა ზ ე. ღმერთზე მოძღვრების განხილვისას ძირითადად დადასტურდა თომა აქვინელის მსოფლმხედველობის დაშორება არეოპაგიტული მოძღვრებისაგან. შესავალში კიდეც აღვნიშნეთ, რომ თომა აქვინელი არეოპაგიტიკას კრეაციონისტული მსოფლმხედველობის პოზიციიდან იყენებს. ეს კარგად ჩანს მოძღვრებაში სამყაროს შექმნის შესახებ.

არეოპაგიტულ მოძღვრებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის კრეაციონისტული თვალსაზრისიც და ემანატიურიც. არეოპაგიტიკას ფილოსოფიურობა მჟღავნდება ამ მოძღვრების ფილოსოფიური თვალსაზრისის უაღრესად ნეოპლატონურ ხასიათში, მასში გამოყენებულ მკაცრ ფილოსოფიურ-ლოგიკურ აპარატსა და შემდგომ გავლენებში ერიუგენას, ეკჰარტის, კუზანელის მსოფლმხედველობებზე. ეს მოაზროვნეები არეოპაგიტიკიდან ძირითადად იღებდნენ იმანაციურ თვალსაზრისს, რომელიც მიუღებელი იყო ორთოდოქსალური ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ლუთერი ამ მოძღვრებას არაქრისტიანულადაც მიიჩნევდა.[18] რიტერი — არეოპაგიტიკის შესახებ აღნიშნავდა, რომ ეს მოძღვრება ემანაციურია, ოღონდაც ქრისტიანული ტერმინოლოგიით სარგებლობსო.[19] მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული ა. ბრილიანტოვს. შიულერის, კრემერისა და სხვათა გამოკვლევებში არეოპაგიტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უშუალოდ პლოტინისა და პროკლეს თვალსაზრისებთან მიმართებაშია წარმოდგენილი და განხილული.

ზემოალნიშნული საფუძველს გვაძლევს, რათა თომა აქვინელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თვალსაზრისების მიმართების კვლევისას, არეოპაგიტიკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა წარმოვადგინოთ, როგორც ემანატიური.

არეოპაგიტიკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ემანატიურობას ადასტუ-

რებს მასში მოცემული თვალსაზრისი ღვთაებრივი სხივის განფენასა და იერარქიების შესახებ.[20] რამდენადაც კონკრეტულ სიტუაციაში მსჯელობა შეეხება სამყაროს შექმნის ანუ ზოგადად შექმნის საკითხს, ამდენად გავიხსენოთ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თვალსაზრისი, რომლის თანახმად უმაღლესი სიკეთე (ღმერთი) თავის ღვთაებრივ ძალებს აფენს ისევე, როგორც მზე თავის სხივებს — ყოველგვარი წინასწარი არჩევანის გარეშე, შინაგანი აუცილებლობით, საკუთარი ბუნების თანახმად. ეს თვალსაზრისი ემანაციურია და პრინციპულად ეწინააღმდეგება კრეაციონისტულს — სამყაროს შექმნას არაფრისაგან, ამასთანავე, არეოპაგიტიკაში უმაღლესი სიკეთის მიერ თავისი ღვთაებრივი ძალების განფენა ნიშნავს სამყაროში, არსებებში სიკეთის, სრულყოფილების, წესრიგის შეტანას. ამას ისიც ადასტურებს, რომ პირველმიზეზიდან გამოსული არსებები მასვე უკუუბრუნდებიან და ეს დაბრუნება-გაერთიანება ღვთაებასთან ყველას ძალუძს — უსულო საგნების ჩათვლით.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარებაა აქვინელთან. აქვინელისათვის შექმნა სდება არაფრისაგან. თომა აქვინელის სპეკულაციისა და შესაქმის მოტივებზე ნ. ნათაძის გამოკვლევაში აღნიშნულია „თომას სპეკულაციის პირველი მოტივია შესაქმის (სამყაროს შექმნის) როგორც მხოლოდ უკვე არსებული შეუქმნელი მატერიის მოწესრიგების უარყოფა...“[21] (ხაზგასმა ჩვენია— მ. მ.).ეს მოსაზრება ძალზე მნიშვნელოვანია თომა აქვინელის შექმნაზე მოძღვრების დედაარსის გასაგებად. მაშინ როცა ნეოპლატონურ ფილოსოფიაში ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა უკვე არსებული მატერიალური სინამდვილის წესრიგში მოყვანას ნიშნავს, თომას ამოსავალია ამ პრინციპის დარღვევა.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ფილოსოფიისათვის ძირითადი პრინციპი იყო — არაფრისაგან არაფერი არ წარმოიშობა. ბუნებრივია — ვინც არაფრისაგან შექმნას დაუშვებს, მისთვის აღნიშნული ანტიკური თვალსაზრისი მიუღებელია. ამიტომაც, — მართებულად შენიშნავს ნ. ნათაძე, — აქვინელი თავის მიზნის მისაღწევად... არა მარტო პლატონს, არამედ არისტოტელესაც კი უსამართლოდ მიაწერს შესაქმის როგორც არაფრისაგან შექმნის აღიარებას.[22]

თომა აქვინელის მსოფლმხედველობაზე სწორი წარმოდგენისათვის და არეოპაგიტულ მოძღვრებასთან მისი მიმართების გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აქვინელის თვალსაზრისს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის მოტივზე. „ღმერთმა შექმნა თავისუფალი ნების აქტით და არა ბუნებრივი აუცილებლობით, ან იმგვარი აუცილებლობით, როგორითაც, ნეოპლატონიზმში ხმარებული მეტაფორა რომ ვიხმაროთ (თომამ ეს მეტაფორა დიონისესაგან ისესხა), მზე არ შეიძლება არ ანათებდეს“[23] (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.). აქ ნათლად ჩანს აქვინელის მსოფლმხედველობის არსი ღმერთი სამყაროს მიმართ ტრანსცენდენტურია; ღმერთი თავის არსებით არის უმაღლესი სრულყოფილება და, რაც მთავარია, ღმერთი აქვინელის მსოფლმხედველობის მიხედვით, სუბიექტია, რომელიც რასაც აკეთებს თავისი ნებით.

როგორც ნ. ნათაძე აღნიშნავს, თომა აქვინელმა მზის მეტაფორა დიონისესაგან აიღო, მაგრამ აქვინელის დასკვნები პრინციპულად საწინააღმდეგოა არეოპაგიტულთან მიმართებით. საერთოდ კი აქვინელი გარეგნულად თითქოსდა ახლოსაა არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, მაგრამ შინაგანად აშკარად ეწინააღმდეგება მას. როცა შექმნის მოტივს ეხება საქმე, აქ აქვინელთან ძირითადი პრიციპია — ღმერთის ნებელობითი აქტი.[24] რაც შეეხება სამყაროს შექმნის მიზანს — აქ აქვინელის აზრით, ღმერთის სიკეთის გაცხადება სდება. შევუდაროთ აქვინელის ეს თვალსაზრისი არეოპაგიტულ მსოფლმხედველობას.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, უმაღლესი სიკეთე (ღმერთი) თავისთავიდან გადის აუცილებლობით, მასში მოცემული ტრფიალების სიჭარბის გამო. ტრფიალება მარადიულად არის ღვთაებაში და „აიძულებს“ მას, რომ „შექმნას“ „და არს სალმრთოჲცა ტრფიალებაჲ კეთილ კეთილისა მიერ კეთილის ყოფისათჳს. რამეთუ იგი კეთილის მოქმედი არსთა ტრფიალება სახიერებისა შორის ზეშთაალმატებით წინაჲთვე იყო, რომელი — იგი არა უტევა მან უშობელად თავსა შორისთჳსსა ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველთავე მოქმედებისა ალმატებულითა“[25]

ეროპაგიტული მოძღვრების ეს დებულება ძალზე მნიშვნელოვანია. როდესაც არეოპაგიტიკის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ნეოპლატონურობაზე მივუთითებთ, სხვა დებულებებთან ერთად აქ აღნიშნულიც უნდა გავითვალისწინოთ აუცილებლად. ეს დებულება არეოპაგიტული ფილოსოფიის ემანაციური ხასიათის უპირველესი დამადასტურებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნეოპლატონიზმის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებთან — პლოტინთან და პროკლესთან, წარმოშობის ე. ი. ქმნადობის სათავე სრულყოფილებისა და პოტენციის სიჭარბეა. ამასთანავე, როგორც სრულყოფილება, ისე პოტენციის სიჭარბე საკუთრივ პირველმიზეზისათვის მარადიულად დამახასიათებელია და ამიტომაც არსებათა წარმოშობა, რაშიც უპირველესად მარადიული საგნების განსულიერება-მოწესრიგება იგულისხმება, მუდმივი პროცესია. პლოტინი პირდაპირ აღნიშნავს ენადებში, რომ რახან ღმერთის მარადიულობის გამო ეს წარმოშობაც მარადიულია, ამიტომაც მარადიულად არსებობს ხილული სინამდვილეც და მასში, როგორც ღმერთის ძალებით მოწესრიგებულში, მარადიულად არის სიკეთე, მშვენიერებაც...

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი იზიარებს ამ თვალსაზრისს და ზემოთ დამოწმებული დებულება იმის ნათელი დადასტურებაა. რა თქმა უნდა, არეოპაგეტული ფილოსოფიის ეს პრინციპი თომა აქვინელისათვის მიუღებელია და მისი მსოფლმხედველობაც ამ კუთხით არსებითად ვერაფერს აიღებდა არეოპაგიტიკიდან.

თომა აქვინელის მსოფლმხედველობას, ისე როგორც სხვა ნებისმიერი მოაზროვნისას, ეპოქის კვალი ამჩნევია და, ბუნებრივია, დაისვას კითხვა ამა თუ იმ საკითხში მისი უშუალო წინამორბედების შესახებ. ზოგადად შეიძლება გავიხსენოთ საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებანი, რომ აქვინელი არისტოტელეს ფილოსოფიას უგუებს ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, ემყარება პლატონსაც, ავგუსტინეს და, საერთოდ, კრეაციონისტული მსოფლმხედველობის სხვა წარმომადგენელთა თვალსაზრისებს. საყურადღებოა ისიც, რომ აქვინელი აღნიშნულ მოაზროვნეთა თვალსაზრისებს მისთვის სასურველი ინტერპრეტაციით იღებს. ამ მხრივ თვალნათლივია მისი დამოკიდებულობა პლატონისა და არისტოტელეს მიმართ, რომელთაც „უსამართლოდ მიაწერს შესაქმის როგორც არაფრისაგან შექმნის აღიარებას“ (ნ. ნათაძე).

წინამავალ მოაზროვნეებთან, განსაკუთრებით კი პლატონთან და არისტოტელესთან, თომა აქვინელის მსოფლმხედველობის — ღმერთზე როგორც სამყაროს შემქმნელზე მიმართებას იხილავს შვეიცარიელი მკვლევარი ფერნანდ ბრუნერი, ავტორის შენიშვნით, არისტოტელესთან შექმნაზე მოძღვრება არა გვაქვს, თუმცა პოტენციურად მასში ეს მოცემული იყო. მასვე სადავოდ მიაჩნია მკვლევართა მოსაზრებანი, თითქოსდა აქვინელი არისტოტელეს თეორიას ლოგიკურად ანვითარებდეს.

ფ. ბრუნერი აღნიშნავს, რომ ბერძნების მოძღვრება სუბსტანციურ ფორმებსა და ქრისტიანული თვალსაზრისი შექმნაზე ორი განსხვავებული ჭეშმარიტებაა და არა ერთი ჭეშმარიტების ორი მხარე. ბრუნერის საბოლოო დასკვნა ასეთია: საწყისზე მოძღვრება ანტიკურში იყო პლატონთან, რომელზედაც აქვინელმა უარი თქვა. არისტოტე-

ლესთან ამგვარი რამ არ ყოფილა, ხოლო რაც შეეხება აქვინელის მსოფლმხედველობას ღმერთზე, როგორც არაფრისაგან შემქნელზე, ეს არის ზოგადად შესაქმნელზე მოძღვრების არისტოტელიზმზე დამყარების რეზულტატი.[26]

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს, რომ თომა აქვინელის მოძღვრება ღმერთზე, როგორც სამყაროს შემქმნელზე, არეოპაგიტული თვალსაზრისისაგან განსხვავებულად მივიჩნიოთ, პირველმიზეზზე მოძღვრებაში არეოპაგიტიკა არსებითად ემანატიურ თვალსაზრისს ატარებს, აქვინელის მსოფლმხედველობა კი კრეაციონისტულს. სწორედ ამის გამო ამ უკანასკნელის მსოფლმხედველობა აღნიშნულ საკითხში არეოპაგიტიკის მემკვიდრედ ვერ ჩაითვლება.

სიკეთისა და ბოროტების მიმართება. როგორც უკვე აღინიშნა, ნეოპლატონური ფილოსოფია სიკეთის მონიზმსა და ბოროტების არასუბსტანციურობას აღიარებს. ეს თვალსაზრისი პირველად პლოტინის ფილოსოფიაშია გადმოცემული. მაგრამ პლოტინთან საბოლოოდ ბოროტება მაინცაა დაშვებული პლატონის მსგავსად — სიკეთის გამომჟღავნების მიზნით (ჰეგელი, ე. ცელერი)... შემდგომში ნეოპლატონური ფილოსოფიის უკანასკნელი დროის ყველაზე მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა — პროკლემ ბოროტების არასუბსტანციურობის თვალსაზრისი მოგვცა. პროკლესთან ბოროტებას უკვე აღარ ენიჭება სიკეთის გამომჟღავნების ფუნქცია — ბოროტება საერთოდ არ არსებობს

პროკლეს თვალსაზრისი განსაკუთრებულად არეოპაგიტული მოძღვრებისათვის გახდა მახლობელი. ფსევდო-დიონისე არეოპაგელთანაც უფრო მტიცედაა ხაზგასმული ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ. მაგრამ ეს თვალსაზრისი უკვე იყო პროკლესთან და ფსევდო-დიონისეს დამსახურებად ვერ ჩაითვლება მისი აღიარება. აქ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის დამსახურება სულ სხვა მიმართებით უნდა დავინახოთ. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ არეოპაგიტული მოძღვრების ხასიათს — იგი ქრისტოლოგიური მოძღვრებაა და ნეოპლატონიზმთან ქრისტიანობის შეგუებას ცდილობს, მაშინ გასაგები უნდა იყოს მისი ღვაწლიც: ქრისტიანულ სინამდვილეში სიკეთისა და ბოროტების მიმართების ნეოპლატონური გაგების დამკვიდრება. ეს დიდი საქმე იყო და ამ მხრივ არეოპაგიტიკის ავტორის დამსახურება კულტურის ისტორიაში მართლაც დიდია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისის გავლენები ეროობ დიდი იყო. გავიხსენოთ რუსთაველი, რომლის პოემის ერთ-ერთი ძირითადი იდეა სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობაა. თუ საიდან მოდის ეს თვალსაზრისი, ამის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირი მითითებაა „ბრძენ დივნოსზე“.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიხედვით, სიკეთე აბსოლუტური პრინციპია, ხოლო ბოროტება „უარსოა“, მას არ გააჩნია თავისი პირველსაწყისი, რასაც ჩვენ ბოროტებად მივიჩნევთ, ეს სხვა არაფერია თუ არა სიკეთის კლება. არეოპაგიტულ მოძღვრებაში მსჯელობანი სიკეთისა და ბოროტების მიმართებაზე აღნიშნულის დასაბუთებას ემსახურება.

თომა აქვინელიც სიკეთისა და ბოროტების მიმართების საკითხში ხშირად მიმართავს არეოპაგიტიკას. ჰ. ვეერტცი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ აქვინელი ისე ხშირად მიმართავს ციტირებას „სალმრთოთა სახელთათჳს“ მეოთხე თავიდან, რომ კორდელიუსს დაუთვლია კიდეც — 142 ციტატი.[27] ახლა მთავარია გაირკვეს, თუ როგორ დამოკიდებულებაშია თომა აქვინელი არეოპაგიტულ თვალსაზრისთან — სიკეთისა და ბოროტების მიმართებაზე.

თომა აქვინელთან სიკეთისა და ბოროტების მიმართების განხილვა გვინდა ი. ბორგოშის წიგნის ერთი ადგილის დამოწმებით დავიწყოთ: ავტორის შენიშვნით ცნობი-

ლია, რომ ჯერ ეპიკურეიზმმა, შემდგომ კი მანიქეველობამ ქრისტიანული ფილოსოფიის წინაშე დააყენა ასეთი დილემა: თუკი ღმერთი ყველაფრის შემქმნელი და კეთილია, მაშინ საიდანაა ბოროტება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად წარმოიქმნა ქრისტიანული ფილოსოფიის განსაკუთრებული დარგი — თეოდიცეა, რომელიც იცავდა დოგმატს ღმერთის სრულყოფილების შესახებ.[28] თომა აქვინელი, როგორც ქრისტიანული რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წარმომადგენელი, თავისებურად ცდილობს უპასუხოს ამ ურთულეს კითხვას. ამის შესახებ თომასთან ოთხი თეზისი არსებობს, რომლებიც ვადმოცემულია ი. ბორგოშის გამოკვლევაში.

I თეზისი. თომას აზრით, ბოროტება არაა პოზიტიური მოვლენა, როგორც სიკეთე, იგი ივეულებრივი არარსია, სიკეთის დარღვევა, მოშლა, დაზარალებაა (ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან — ბოროტება სიკეთის კლებაა). ამ განსაზღვრას, — ბორგოშის აზრით, — აქვინელი ავგუსტინესაგან ილებს, რომელსაც თავის მხრივ ეს პრინციპი პლოტინისაგან ჰქონდა შეთვისებული. პლოტინის მიხედვით კი ბოროტება არის როგორც სიკეთის არაარსებობა.[29]

თომა აქვინელთან ბოროტების ცნება გამოყვანილია სიკეთის ცნებისაგან. ამ გამოყვანისას იგი ემყარება თეორიულ-შემეცნებით წანამძღვარს, რომლის თანახმადაც ერთი დაპირისპირებულობა მეორეთი შეიმეცნება, როგორც მაგალითად, სიბნელე — სინათლით. ეს ეხება სიკეთისა და ბოროტების მიმართებასაც.

ჩვენის მხრივ დავამატებთ ჰეგელი და ცელერი პლოტინის სიკეთე-ბოროტების თვალსაზრისის შესახებ ალნიშნავდნენ, რომ პლოტინთან (ადრე კი პლატონთან. მ. მ.) ბოროტება დაშვებულია, როგორც სიკეთის გამომჟღავნების „საშუალება". აქ არაა ძნელი თომა აქვინელის თვალსაზრისის წყაროს დადგენა.

თომა აქვინელის აზრით, ბოროტება არსი კი არაა, არამედ სიკეთის მოშლა... სწორედ ასე უნდა გავიგოთ დიონისეს სიტყვები: „ბოროტება არს სიკეთე".[30]

II თეზისი: თომასთან — „სიკეთე ბოროტების სუბიექტია". ეს თვალსაზრისი ი. ბორგოშის თანახმად, ავგუსტინესთანაც გვხვდება. ავგუსტინე ხომ ალნიშნავს: „არაფერი არ არსებობდა სხვა ისეთი, რომლისგანაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო ბოროტება, გარდა სიკეთისა". ავტორის შენიშვნით, — თომას ეს თვალსაზრისი იმათ წინააღმდეგაა მიმართული, რომელთა მისედვითაც სიკეთე არაა ბოროტების მიზეზი (მაგ. დიონისე).

ი. ბორგოშის ეს მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. არეოპაგიტულ მოძღვრებაში, როდესაც მსჯელობა ეხება ბოროტების გაჩენის მიზეზზე, ამის საფუძვლად სიკეთის სსივის შესუსტება, სიკეთის კლებაა გამოცხადებული, ასე რომ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელთანაც სიკეთე გარკვეული აზრით ბოროტების წყაროა. სხვა საქმეა — საბოლოოდ ბოროტებას პირველმიზეზი რომ არ ვააჩნია.

ასეთივე აზრია გატარებული თომა აქვინელთანაც, როცა ალნიშნულია: ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა და წარმოადგენს ბუნებრივი ხასიათიდან გადახვევას.

აქ თომა აქვინელთან გადაუჭრელი სიძნელე დგება. ბორგოში მართებულად შენიშნავს: ბოროტების მიზეზი სიკეთეა, სიკეთე — ღმერთია, ე. ი. ღმერთი ყოფილა ბოროტების მიზეზი. ამ სიძნელის გადასაჭრელად აქვინელი ავგუსტინეს ემყარება, რომლის თანახმადაც „ღმერთი არ შეიძლება ბოროტების მიზეზი იყოს, ვინაიდან იგი არაა არარსისაკენ მისწრაფება". თავის მხრივ აქვინელი ამატებს „რადგანაც ღმერთი აბსოლუტური სრულყოფილებაა, ამიტომაც იგი არ შეიძლება იყოს ბოროტების მიზეზი"[31]. ეს არაა სიძნელიდან გამოსავალი! აქ თომა აქვინელის მსჯელობაში სიძნელე სიძნელედ რჩება და მკაცრი ფილოსოფიური დასაბუთების ნაცვლად იგი უბრალოდ, ღმერთის

სრულყოფილებასა და ამის საფუძველზე ღმერთის ბოროტების არ შექმნაზე მიუთითებს.

აქვინელის თვალსაზრისის თეოლოგიურ ხასიათს ნათლად ადასტურებს ბოროტების შესახებ III და IV თეზისი, რომლებიც ერთნაირი ხასიათის არიან. თომას აზრით, სამყაროში ჰარმონიის არსებობისათვის აუცილებელია განსხვავებულობა. ამიტომაც სამყაროში არის როგორც სრულყოფილი, ისე — არასრულყოფილი საგნები (III თეზ.), ასევე ადამიანების მიმართაც: ჰარმონიისათვის საჭიროა როგორც კეთილი, ისე ცოდვილი ადამიანები (IV თეზ.) ამის მიუხედავად, აღნიშნავს თომა: „ღმერთი საგნებში ბოროტებას წარმოშობს არა წინასწარი განზრახვით, არამედ შემთხვევით“32. ამასთანავე, ღმერთს ბოროტება დაშვებული აქვს „...როგორც სასჯელი და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ძნელი იმის გაგება, რომ მიუხედავად არეოპაგიტულ მოძღვრებასთან მსგავსებისა, საბოლოოდ თომა აქვინელის მოძღვრება სიკეთისა და ბოროტების მიმართებაზე მაინც განსხვავებულია. ეს განსხვავება კი უპირველესად ღმერთის მიერ ბოროტების დაშვებაში გამოიხატება, თუგინდ იყოს ეს შემთხვევით. თუ გავიხსენებთ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრს, რომლის თანახმადაც ბოროტება სიკეთის სხივის შესუსტებაა და ღმერთი არავითარ ბოროტებას, არც აუცილებელს და არც შემთხვევითს არ უშვებს, შეიძლება დავასკვნათ: ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, როგორც ემანაციური თვალსაზრისის მიმდევარი, სიკეთის მონიზმსა და ბოროტების „უარობის“ პრინციპს ბოლომდე ატარებს. თომა აქვინელი კი, რამდენადაც ტრანსცენდენტურ ღმერთს უშვებს, საბოლოდ მაინც აღიარებს — ღ მ ე რ თ ი ს მ ი ე რ ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და თომა აქვინელის მსოფლმხედველობა ძირითადად განსხვავდებიან, როგორც ღმერთისა და სამყაროს დამოკიდებულების, ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის, საკუთრივ ღმერთზე მოძღვრებისა და სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობის გარკვევისას. თუკი იღებს რაშეს არეოპაგიტიკიდან აქვინელი, მის ინტერპრეტაციას მხოლოდ თეოლოგიური პოზიციიდან ეწევა. ამდენად არეოპაგიტიკასთან აქვინელი მსოფლმხედველობის მიმართება უპირველესად საინტერესოა, არა როგორც განვითარების თვალსაზრისით, არამედ როგორც თეოლოგიური ინტერპრეტაციით.

ციტირებული:

1. ბ. რასელი. დასავლეთ ფილოსოფიის ისტორია, მოსკოვი, 1959 (რუსულად), გვ. 470.

2. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, მოსკოვი, 1974 (რუსულად), გვ. 316-317.

3. ნ. ნათაძე. თომა აქვინელის ფილოსოფია, თბილისი. 1972, გვ. 4.

4. იქვე. გვ. 7.

5. ვ. სოკოლოვი. შუა საუკუნეების ფილოსოფია, მოსკოვი, 1979 (რუსულად), გვ. 342.

6. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. 2, თბილისი, 1984, გვ. 149.

7. ნ. ნათაძის დასახ. შრ. გვ. 62.

8. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961, გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბ. რასელის დასახ. შრ. გვ. 474.
10. პეტრე იბერიელი... გვ. 29-30.
11. მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგია, ტ. I, ნაწ. 2, მოსკოვი, 1969 (რუსულად), გვ. 736.
12. იქვე, გვ. 839.
13. ი. ბორგოში, თომა აქვინელი, მოსკოვი, 1966 (რუსულად), გვ. 17.
14. მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგიის დასახ. ტომი, გვ. 839.
15. პეტრე იბერიელი... გვ. 226.
16. ნ. ნათაძის დასახ. შრ. გვ. 91.
17. იქვე.
18. ა. ბრილიანტოვი. აღმოსავლეთის ღვთისმეტყველების გავლენა დასავლეთისაზე იოანე სკოტ ერიუგენას შრომებში, ს.— პეტერბურგი, 1898 (რუსულად), გვ. 144.
19. ჰ. რიტერი. ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორია, II ნაწილი, ჰამბურგი, 1841. (გერმანულად), გვ. 526.
20. პეტრე იბერიელი... გვ. 92.
21. ნ. ნათაძის დასახ. შრ. გვ. 92.
22. იქვე.
23. იქვე, გვ. 93.
24 დაწვრ. იხ. თომა აქვინელი. სუმა წარმართთა წინააღმდეგ, I ტ; I წიგნ., დარმშტატი, 1974 (გერმანულად), გვ. 283-323.
25. პეტრე იბერიელი... გვ. 38.
26. ფ. ბრუნერი. სამყაროს საწყისზე თომისტური მოძღვრების შესახებ. ჟურნალი— ფილოსოფიური გამოკვლევა, ტ. XVI, № 2, 1962 (გერმანულად), გვ. 258.
27. ჰ. ვეერტცი. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ღმერთზე მოძღვრება და მისი გავლენა თომა აქვინელზე, კელნი, 1908 (გერმანულად).
28. ი. ბორგოშის დასახ. შრ. გვ. 128.
29. იქვე, გვ. 129 (შდრ. პლოტინი, ენ. 1, წიგნი. 8, § 9).
30. იქვე.
31. იქვე, გვ. 132.
32. იქვე.

ლადო შარაშიძე

დაუვიწყარი შეხვედრები

სერგო ქავთარაძემ მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება (დაიბადა 1885 წ. გარდაიცვალა 1971 წ.) მთლიანად უძღვნა ეროვნული მოძრაობის დიად საქმეს.

განსაკუთრებით დიდია ს. ქავთარაძის როლი თურქეთის უღლისაგან განთავისუფლებული აჭარის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების საქმეში. 1920-1921 წლებში იგი იმყოფებოდა ბათუმში. მისი ინიციატივით 1921 წლის 18 მარტს ბათუმში გამოვიდა პირველი ქართული ყოველდღიური გაზეთი „უწყებები“.

ს. ქავთარაძე გაეცნო აჭარის მეჯლისის ხელმძღვანელებს, რომელთანაც ხშირი შეხვედრები ჰქონდა. ერთი შეხვედრის დროს იგი აღნიშნავდა: ჩვენ ვითვალისწინებთ ად-

გილობრივ მკვიდრთა უკულმართ ბედისწერას, რომ ისინი თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში თურქეთის ოკუპაციის პირობებში ცხოვრობდნენ, რომ მათ დიდი მსხვერპლის ფასად მიაღებინეს მუსლიმანური სარწმუნოება. შეუძლებელია დავივიწყოთ იმ მოწინავე აჭარლების დიდი ღვაწლი. რომლებიც ქადაგებდნენ: მუსლიმანური სარწმუნოების თავზე მოხვევამ არ უნდა დაგვავიწყოს ჩვენი ეროვნული ღირსება, რომ ჩვენ ქართველები ვართო. ამ საუბარში სერგომ თქვა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამოცემულ ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდებოდა აჭარის მოწინავე შვილთა წერილები, სადაც ეს მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი დიდი პატრიოტული მგზნებარებით შუქდებოდა.

ყველას უნდა ჩავუნერგოთ ეროვნული თვითშეგნება, — განაცხადა ს. ქავთარაძემ. იგი თხოვს სტუმრებს განმარტონ — რას ნიშნავს მეჯლისი. მემედ აბაშიძე იძლევა ასეთ განმარტებას: მეჯლისი არაბული სიტყვაა, მისი ფუძეა „მეჯლის“, რაც ჩიშნავს შეკრებას, გჩობას, თურქეთსა და ირანში მეჯლისი არის მთავრობის ორგანო. ეს სიტყვა აგრეთვე ნიშნავს წვეულებას, ლხინს, ზეიმს. სერგო ქავთარაძემ მადლობა გადაუხადა მემედ აბაშიძეს.

სერგო ქავთარაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელიც გუშავობდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ საზღვარგარეთ წაღებულ ძვირფას განძეულს. ე. თაყაიშვილმა ერთი შეხვედრისას ს. ქავთარაძეს მოუთხრო თავისი ბავშვობის წლებში გატარებულ უბედურებაზე. მამა, საზღვრის მცველი ოფიცერი, ადრე გარდაიცვალა, ხოლო დედა, მაკვანეთელი ნაკაშიძე, ხუთი წლის იყო, მაშინ გამოეთხოვა სიცოცხლეს და მამის გვერდით დაასაფლავეს. მას სამი წლის ასაკში ფეხი სერიოზულად დაუზიანდა და მთელ ცხოვრებას კოჭლობაში ატარებს. მან ბევრი გაჭირვება გამოიარა. ექვთიმემ დიდი მადლიერებით მოიხსენია საყვარელი ბებია, საჯავახოელი შარაშიძე, რომელმაც არა თუ შეუნარჩუნა ჯანმრთელობა, ცხოვრებაში მეტად დასაფასებელი გზა გაუკაფა. თუ არა საყვარელი ბებია, მე დღეს ილაჯგაწყვეტილი ვიქნებოდი.

ბათუმში ყოფნის დროს ს. ქავთარაძე ორჯერ შეხვდა ნოე ჟორდანიას. მათ შორის გაიმართა საუბარი. მეორე შეხვედრის დროს ნოე ჟორდანია ს. ქავთარაძეს ეუბნება, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ჩვენს შორის ომი არ უნდა ატეხილიყო, მე გთხოვ მიიღოთ ზომები, რაც შეიძლება მალე შეწყდეს იგი. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით ერთმანეთს შორის სისხლის ღვრისა, ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება უარი ვთქვათ წინააღმდეგობაზე, რადგან იღვრება უდანაშაულო ქართველთა სისხლი. ჩვენ გვაბრალებენ, თითქოს ბათუმში მოვიწვიეთ თურქეთის ჯარი, რაც უმართებულოა. თურქეთმა ისარგებლა იმით, რომ მთელი ჩვენი ჯარი აღმოსავლეთ საქართველოში გადავიყვანეთ, წარმოებულ ომში ძლიერ დავსუსტდით და ძალით შემოიყვანა თავისი ჯარი ბათუმში.

ეს საუბარი მიმდინარეობდა ნ. ჟორდანიას მთავრობის ბათუმიდან წასვლის რამდენიმე საათით ადრე. 17 მარტს, ღამით, ეს მთავრობა იტალიის გემ „ფერენ-ჟოზეფმიროლით“ საზღვარგარეთ გადაიხვეწა. ამავე ღამით სერგო ქავთარაძის მეთაურობით შეიქმნა რევკომი. მეორე დღეს გამოირკვა, რომ თურქეთის ჯარს გადაუწყვეტია ქალაქის ოკუპაცია, დაუყოვნებლივ საჭირო შეიქმნა სამხედრო ღონისძიებათა განხორციელება, მიღებული იქნა გადაწყვეტილება უკვე დაშლილი მენშევიკური ჯარის ნაწილებში მოეძებნათ პატრიოტულად განწყობილი პირები, მათგან შეედგინათ სამხედრო ნაწილები. პირველ რიგში, საჭირო იყო მეთაურის მოძებნა, რომელიც სარდლის როლს შეასრულებდა. დადგინდა, რომ ბათუმში იმყოფებოდა გენერალი გ. მაზნიაშვილი. ს. ქა-

ვთარაძესთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გ. მაზნიაშვილი დათანხმდა შეესრულებინა მეთაურის მოვალეობა.

გ. მაზნიაშვილი თხოულობს ცალკე ოთახს, ქადალდებს და საწერ-კალამსაც. მას უსრულებენ ყველა პირობას. მთელი ღამე მაზნიაშვილი რამდენიმე ოფიცერთან ერთად ადგენს ბრძოლის სტრატეგიულ გეგმას. გენერალმა მაზნიაშვილმა წარმატებით შეასრულა სარდლის მოვალეობა. ყველაზე დიდი ბრძოლები გაიმართა კახაბრისა და ბარცხანის მიდამოებში. თურქეთის ჯარმა დამარცხების შემდეგ, 21 მარტს, დატოვა ბათუმი, ამ ბრძოლებში დაიღუპა 80 ქართველი ჯარისკაცი, აქედან ბევრი ჭირისუფალმა თავიანთ სოფლებში წაასვენა, დანარჩენი კი 23 მარტს დაასაფლავეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. გაიმართა დასაფლავებისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი. მას ხელმძღვანელობდა ს. ქავთარაძე, მიტინგის დასასრულს მან წარმოთქვა ვრცელი სიტყვა.

ამ ბრძოლებში დაღუპულთა პატივსაცემად აღმართული იყო ობელისკი. მას ორჯერ შეუცვალეს ადგილი, წარწერაც შეუფერებელი იყო. დღეს ამ ობელისკს ამშვენებს გამართლებული წარწერა: „ამ მოედანზე განისვენებენ 1921 წლის მარტში ბათუმისათვის ბრძოლაში დაცემული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცები“.

1945 წლის აგვისტოში ს. ქავთარაძე დიპლომატიური მისიით იყო საფრანგეთში. ინახულა ნ. ჟორდანია. მათ შორის გაიმართა საუბარი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.

სხვა შეხვედრებისას ნ. ჟორდანიამ ბევრი რამ მოუთხრო. ს. ქავთარაძემ სათუთად დაიმახსოვრა ყოველივე ეს, ერთი შეხვედრისას ნ. ჟორდანიამ მოაგონა, თუ როგორი ლონისძიებები განახორციელა, რომ პარიზში გამოსულიყო ქართული ჟურნალი, რომ აქაურ ქართველებს საშუალება ჰქონოდათ გაცნობოდნენ მნიშვნელოვან მოვლენებს. ეს ჟურნალი - „ბედი ქართლისა“, დაარსდა 1948 წელს და მის რედაქტორად დაინიშნა ცნობილი მეცნიერი კალისტრატე სალია. მას ეკუთვნის აგრეთვე მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“.

ნ. ჟორდანიამ ს. ქავთარაძეს მოუთხრო იმის შესახებ, თუ რაოდენი შრომა გასწია, რომ პარიზში ყოფილიყო ქართული ეკლესია და ქართველთა სასაფლაო. ამ ეკლესიას ეწოდა „წმინდა ნინოს ქართული ეკლესია“, სადაც ხშირად იმართება წირვა-ლოცვა. ამ ეკლესიისათვის დიდი თანხის გაღების საშუალებით შეძენილი იქნა მე-14 საუკუნეში აგებული შესანიშნავი ტაძრის შენობა.

პარიზში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქართველებისათვის ნ. ჟორდანიას ინიციატივით ცალკე გამოყოფილი იქნა ქართველთა საძმო სასაფლაო — ლევილი. ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი გურამ შარაძე გვაწვდის ცნობას, რომ ა.ქ განისვენებს 3853 მოლვაწე. („ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ. № 15).

პარიზში ყოფნისას ს. ქავთარაძემ მოინახულა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო საქართველოდან წაღებული უძვირფასესი ქართული განძეულის მდგომარეობა.

იმის გამო, რომ განძეული დაცული იყო პარიზის ერთ მნიშვნელოვან ბანკში, ყოველწლიურად იხდიდნენ მნიშვნელოვან თანხას, ბევრი ემიგრანტი მოითხოვდა, რომ ეს განძეული გაეყიდათ, ე. თაყაიშვილმა მადლობით მოიხსენია ნოე ჟორდანია, რომელმაც ყოველივე იღონა განძეულის შესანარჩუნებლად. ახლა კი ი. სტალინისა და დე გოლის შეთანხმების საფუძველზე გადასახდელი ვალი მოიხსნა და ე. თაყაიშვილის დაფასება ამ განძის საქართველოში ჩამოტანა...

ს. ქავთარაძე ღრმა ინტერესით გაეცნო ნ. ჟორდანიას მიერ შემოთავაზებულ

ჟურნალს „ჩვენი დროშა“. ეს ჟურნალი იყო და დღესაც არის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ორგანო. ჟურნალის ყველა ნომერში ფართოდ შუქდება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები და ის ვითარება, რაც დამკვიდრებულია დღევანდელ საქართველოში. მიმდინარე წლის ივნისში გამოვიდა ამ ჟურნალის 119-ე ნომერი, რომელიც მისმა რედაქტორმა ლევან ფალავამ (ნოე ჟორდანიას სიძე) საჩუქრად გამოუგზავნა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს პაატა ნაცვლიშვილს.

გაზეთი „ჩვენი დროშა“ დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოეთში მცხოვრებ ქართველ თანამემამულეთა შორის.

ვამაყობ, რომ სერგო ქავთარაძესთან, ამ დიდებულ ადამიანთან, მქონდა დაუვიწყარი შეხვედრები.

ს. ქავთარაძეს შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა, აზლობლებთან საუბრისას იგონებდა მშობლიური ერის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს და მუდამჟამს იმაზე ფიქრობდა, რათა გაეწია სამსახური საყვარელი სამშობლოსათვის.

იგი ყოველთვის მიმზიდველად, მშვენიერად გეესაუბრებოდა. საკმარისი იყო მასთან ერთი შეხვედრაც კი, რომ თქვენს მეხსიერებაში სამუდამოდ ალბეჭდილიყო მისი შთამბეჭდავი სახე. იგი ხშირად ამბობდა: მე ძლიერ მიყვარს პათუში, აქ პირველად ყოფნის დროს შესანიშნავი განწყობილება დაშეუფლა. ბათუმი ამის შემდეგ შევიცანი როგორც მწუხარების გამქარვებელი, ამიტომ მინდა ხშირად ვესტუმრო თქვენს ლამაზ ქალაქს, რასაც სამწუხაროდ ვერ ვახერხებ...

1971 წლის 17 ოქტომბერს ღვაწლმოსილი და დიდებული მოქალაქე სერგო ქავთარაძე გარდაიცვალა...

ელენე ერქომაიშვილი

სასიამოვნო მოვალეობა

დღეს, როდესაც ცენზურული აკრძალვები მოხსნილია, ჩვენი მხატვრული ნაწარმოებები პუბლიცისტიკას უფრო დაუახლოვდა. პროზაიკოსთა დღევანდელობისაკენ შემობრუნება და შორეული წარსულის წყლულთა წარმოჩინება თავისთავად მისასალმებელია. მაგრამ, როგორც ვ. შაპოშნიკოვი თავის სტატიაში „არა სიმწვავითა ერთითა“ წერს, საკითხთა სიმწვავე არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება მხატვრულ ცოდვათა განტევების ინდულგენცია. სამწუხაროდ, უფერული ლიტერატურის ნაკადი კვლავ უწყვეტად მოედინება. ჩვენი დღეების ლიტერატურის უფერულობასთან (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ სტილის ისეთი მიკროპლეტური ელემენტები, როგორიცაა ფერი, ბგერა და სუნი ფართოდ გამოიყენებოდა ლიტერატურის კლასიკოსთა იდეურ-მხატვრულ და გამომსახველობით საშუალებათა სისტემაში, თუმცა დღეს იშვიათად შეხვდებით ნაწარმოებს, სადაც მათი გამოყენება დიდ როლს თამაშობდეს.

ამ მხრივ სასიამოვნო მოულოდნელობად წარმოგვიდგა ი. დომბროვსკის რომანი „უსარგებლო საგანთა ფაკულტეტი“. ეს რომანი მალალმხატვრულ დონეზეა დაწერი-

ლი. აღსანიშნავია დღევანდელობისათვის იშვიათი მისი ფერადოვნება, ყლერადობა და არომატი. განსაკუთრებით ხშირად იყენებს ი. დომბროვსკი ერთი მეორის მიყოლებით განლაგებულ ფერადოვან ზედსართავებს, რომლებიც ფერადოვან რიგს ქმნიან: „თხელი ნისლი გართხმულიყო კლდეთა შვერილებზე, და ყველაფერი ცეცხლისფერ-სისხლისფერი, ცისფერი, მუქ-მწვანე, იისფერი და უბრალოდ თეთრი მოჩანდა“, „საზამთროები — თეთრი, მტედისფერი, შავი, ზოლებიანი — პირდაპირ ერთმანეთზე იყო მიყრილი“, „პომიდვრით, ხახვითა და ნაირფერი კარტოფილით (ყვითელით, თეთრით, შავით, ვარდისფერით, თითქმის მარჯნისფერით) სავსე ფარდულებთან სავაჭრო ფარდული ორად იყოფოდა: „აი, კიბორჩხალი კი აქ ყველაზე მეტი, ალბათ, ასობით იყო, ყველანაირი: ყვითელი, წითელი, ვარდისფერი, ძოწისფერი, თითქმის შავი“, „და მან მაშინვე ხელახლა დაინახა წყნარი თიხოვანი მდინარე, ნაფშვენი კენჭები, ხმელი თეთრი და ყვითელი ლერწამი, კლდოვანი ნაპირები ლურჯი, ყვითელი, შავი, თეთრი, ნაირფერი ქვებით“.

რთული ფერთგანსაზღვრებისადმი მიდრეკილების მიხედვით ამ რომანის ავტორი ა. კუპრინს ან ი. ბუნინს თუ შეიძლება შევადაროთ. რთული ფერადოვანი სახეების გამოყენება მის მრავალგვარ სტილისტურ მიზნებს ემსახურება, რთულ წარმონაქმნთა შექმნაში ი. დომბროვსკი ხშირად სიტყვათ შეკრების შემაერთებელ მრავალგვარობას შინაარსი, გააფართოს საგნის დახასიათება. ყურადღებას იპყრობს ისეთი ზედსართავე-ყანგისფერ-ნარინჯისფერი, ცეცხლისფერ-სისხლისფერი, მტრედისფერ-მწვანე, მქრქალ-თეთრი, შავ-ნაცრისფერი.

გამომსახველობითი მიზნებით ასეთ წარმონაქმნთა გამოყენება აიხსნება მწერლის მისწრაფებით ეკონომიურად, ერთ სიტყვიერ ერთეულში გამოხატოს მნიშვნელოვანი შინაარსი, გააფართოს საგნის დახასიათება. ყურადღებას იპყრობს ისეთი ზედსართავების აზრობრივი ტევადობა, როგორიცაა: „უზარმაზარი, შავ-მწვანე, ბრაზიანი და კაკტუსივით ჩხვლეტია კიბორჩხალი“; „ნაზი ცისფერი ვარდკაჭკაჭა გამოხუნდა და ვარდისფერ-ფაიფურისფერი გახდა“; „მათში (ნაყოფში) ჩანს წითელი და ყვითელი ტონების ყველა ელფერი: ქარვისფერი, მარჯნისფერ-ვარდისფერით, მთვარის ქვასავით ბუნდოვანი და გამჭვირვალით დაწყებული და ბაზარულწითელი უხეში მატრიოშკებით დამთავრებული“, „მთვარე ბუნდოვან-გამჭირვალეა, როგორც ქარვის ნაჭერი სანთლის ალზე“.

ავტორისეული მრავალი რთული ფერთგანსაზღვრება საგანთა საკუთარ-მზედველობით ალქმასთანაა დაკავშირებული: „...დათხუპნული მუქ-ზეთისხილისფერი მუხლები“, „მოყვითალო-ნიგზისფერი თავის ქალა“; „ყანგისფერ-ნარინჯისფერი ფერდობი“...

რომანში უფრო თავისებური და მრავალრიცხოვანია რთული სიტყვები, რომელთა გაწმსაზღვრელი ფერი და ელფერი მასალის მნიშვნელობითაა გამოხატული: ლითონისებრ-იისფერი თევზი, ტყვიისფერ-ნაცრისფერფრთებიანი ფრინველი, ვარდისფერ-ფაიფურისფერი ვარდკაჭაჭა, ლია ფერის — ლალისფერი თვალები“.

ფერთა ელფერი ისეთი სიტყვებითაცაა გამოხატული, რომლებიც „არაფერალ-ვან“ ნიშანთვისებას გამოხატავენ: ბაზარულ-წითელი, ნაზ-ყვავილოვანი, მკვდრულ-ნაცრისფერი.

აზრობრივად განსხვავებულ სიტყვათა სავსებით მოულოდნელი შერწყმა ავტორის თვითმიზანი როდია, არამედ იგი ტექსტში დასაბუთებულად წარმოგვიდგება. მაგალითად: „ფანჯარაში ენთო სინათლე. მკვეთრი, კაშკაშა, კადნიერი, ფარდას მრგვალი შავი მწვანე ლაქა ეცხო“. ფრაზა აღრმავებს და ხაზს უსვამს ზიბინის ემოციურ განწყობას, რომელიც თავის ოთახში შესაძლო ჩხრეკას მოელოდა. აფორიაქებულ მდგომარეობას, რომელიც მას ქალაქიდან გაუსვლელობაზე ხელის მოწერის შემდეგ დაეუფლა, ავტო-

რი სათქმელს ხაზს უსვამს საფლავის რუხი ქვების აღწერით, რომელთა შორის დაეხეტება ზიბინი და ფარნის „ყვითელი, სუსტი, საძაგელი შუქი უსაშველო ატმოსფეროს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს“.

კოშმარული მდგომარეობა, სადაც ძილი თავისუფლებაა, ხოლო სინათლე — ციხე, ასეთი ფერადოვნებით გადმოიცემა: „ენთო ყვითელი შუქი“.

ტანჯვის მომდევნო ეტაპზე ფერთა განსაზღვრება იცვლება: „სტერილურად თეთრი, საშინელი შუქი“, რომელიც დილაობით პირდაპირ სახეში სცემდა ზიბინს. და, ბოლოს, ყოველგვარი ფერის მოუხსენებლად: „თვალებში სცემდა სინათლე, კიდევ უფრო მეტად კადნიერი, შიშველი, სააშკარაოზე გამომტანი“.

გამომძიებელ ხრიპუშინის აღწერისას ავტორი რამდენჯერმე უსვამს ხაზს მის ლია ფერის ლალისფერ თვალებს, რომლებიც „ყეყეჩურ მხედრულ გამართულობასა და დიდ ბრტყელ შუბლთან“ ერთად აღრმავებენ ამ ადამიანის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

სულ სხვა ფერადოვნებას იყენებს ავტორი პატიმარი ბუდოს სურათის დასახატავად: ...ბუდოს გაბოლილი, რაღაცნაირი ყვითელი მჭვარტლით გამჭვარტლული სახე... მურა-ნაცრისფერი ჯაგარი, თამბაქოსფერი ხვანჩი. ასწლიანი კუსნაირი კისერი და წეკოს დამდგარი მძიმე სუნი“.

მხატვარ კალმიკოვის აღწერისას მწერალი იყენებს კონტრასტულ ფერთა განსაზღვრებას, რათა ხაზი გაუსვას ამ პიროვნების თვითმყოფადობას, ნიჭიერებას და ბრბოს, რომელსაც მისი ხელოვნება არ ესმის: „მოცოცავს და მოცოცავს რაღაც უხალისო, ერთფეროვანი, ნაცრისფერი მასა და, უეცრად, როგორც გასროლა — მკვეთრი საარაკო ნიშანი! მხატვარი კალმიკოვი გამოდის ქუჩაში სასატავად, „ზიზილ-პიპილებიან ცისფერ საწვიმარში, რომლის ქვეშიდან ბრწყინავდა რაღაც წარმოუდგენლად ხასხასა და უგვანო-წითელი, ყვითელი, იასამნისფერი...“ მის შარვალს გვერდზე ეკიდა რაღაც დიდი დაირის მსგავსი, მასზე ამოქარგული მრავალფერი ცეცხლის ენებით. ხასხასა წითელი, ყვითელი, იისფერი, მეწამულ აბრეშუმის ძაფები“. მხატვრისა და მისი ნახატების გმირების მთელი ეს ახირებული მორთულობა აბსურდულობის შთაბეჭდილებას მაინც არ ქმნის, პირიქით, ხაზს უსვამს ბრბოს ბანალურობას, რომელიც უდიდესი სიამოვნებით „გადაკრეჭდა მას თავს და ჯვალის შარვალში ჩაჩურთავდა“.

რომანში ტანჯული ადამიანის სიმბოლოდაა ქცეული „შავი კიბორჩხალი, უშველებელი, ჩხვლეტია, სულ მწვანე წყალქვეშა ლაქებით დაფარული“, რომელსაც ზიბინი მაინც უშვებს ზღვაში.

ი. დომბროვსკი რომანში იყენებს ბგერათწერას, რომელიც ქმნის დამატებით ექსპრესიულობას, აძლიერებს ნაწარმოების ემოციურ ზემოქმედებას.

ოდორიზმიც ი. დომბროვსკის მხატვრული მანერის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ოდორისტულ კონტრასტზეა აგებული რომანის დასაწყისი. ბალიდან ქარს ბალახისა და ვაშლის სურნელება მოაქვს, იქვე კი საავადმყოფოს, სიკვდილის, იოდოფორმისა და კარბოლის მუავის სუნი ტრიალებს. სიმყრალეს, რომელიც ძვლებით სავსე ორმოდან მოდის, ავტორი ანტიესთეტიკურს არ აკუთვნებს, რადგანაც „იდგა სუნი ოციანი წლების სადგურების, ბარაკის, შემკრები პუნქტის, გამშვები კამერის, ე. ი. რალაც უაღრესად ცხოვრებისეულისა“.

ამრიგად, ი. დომბროვსკის მიერ მიკროპოეტური ელემენტების გამოყენება რომანში „უსარგებლო საგანთა ფაკულტეტი“, მათი ინდივიდუალური ავტორისეული შეფერილობა უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ თავის შემოქმედებაში ავტორმა შეინარჩუნა კლასიკოსთა ტრადიციებისადმი ერთგულება, შექმნა თავისი სტილური მანერა, თავისი თვითმყოფადი ინდივიდუალური შემოქმედებითი ხელწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ვარშანიძე

ქებათი ორი პოეტისა

რამდენმა ათეულმა წელმა ჩაიქროლა მას შემდეგ, რაც ჩვენს მწერალთა კავშირში მოვედი... და რამდენი ჩვენი მეგობარი წუთისოფლის სიამტკბილეს და ჭირვარამს მოსწყდა ძალით თუ ბუნებრივად. დავფიქრდები და მოვიგონებ ჩვენს წარსულს. მოვიგონებ და ჩემს გულს რაღაც მწარედ ჰკორტნის. ტანჯვაც არის და საამოც სიცოცხლე კაცისა. ვის ულხინს და ვის უჭირს, ვინ იცის. ესეც არ იყოს, ადამიანის ბუნებრივი თვისებაა — სიკეთე მოიხვეჭოს მხოლოდ მისთვის... ანგარება, შური, შფოთი, ვაცხემა, მოსპობა-განადგურება... აი, რისი მომსწრე ვარ ამ სტრიქონების ავტორი და მიკვირს, რომ ამ ღლემდე ცოცხალი მოვაღწიე.

მოდით, ჯერ იმაზე ვილაპარაკოთ, როდის მოვედი ჩვენს მწერალთა კავშირში.

მე ვსწავლობდი მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ვწერდი ლექსებს, ვაქვეყნებდი კედლის გაზეთში, ვუკითხავდი ჩემს მეგობრებს, თანაკლასელებს, ჩემს გარდა კიდევ სხვაც წერდა ლექსებს...

ერთ დღეს საოლქო გაზეთში წავიკითხე, რომ თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდნენ მწერლები, პოეტები. უნდა მოეწვიათ ადგილობრივი პირველი საგანგებო ყრილობა, დასახელებული იყო რიცხვიც.

მე ჩუმად მივატოვე სკოლა და განვიზრახე დავსწრებოდი ამ ფორუმს. დავესწარი კიდეც.

1932 წლის 6 ოქტომბერს გაიხსნა ყრილობა. გარდა მწერლებისა და ლიტერატურული აქტივისა, მას ესწრებოდნენ საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები, მასწავლებლები, ინტელიგენცია. აქ იყო თბილისელ მწერალთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია: ს. ეული, ბ. ყლენტი, მ. ჯავახიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ფრ. ნაროუშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე, ა. მაშაშვილი და ლ. ქიაჩელი.

მიზანია ყრილობისა: მწერალთა ორგანიზაციის გადახალისება, არჩევნები და ა. შ. მგონი შეკრება გაგრძელდა ორ დღეს. ბოლოს გაიმართა ლიტერატურული საღამო. ვინ არ მიეახლა ტრიბუნას! მეც მოვისურვე გამოსვლა... და ფრიდონ ნაროუშვილს გამოვესაუბრე, ამის შესახებ. მან მითხრა, ამ საღამოს სელმძღვანელობს მწერალი პანტელეიმონ ჩხიკვაძეო, და მას ოხოვეო. მივედი მასთან. მითხრა, ლექსი მიჩვენო. გადავეცი: წაიკითხა და შემედავა ზოვიერთ სტრიქონზე, „აწვენდნენ ტყვიით აქაიქ გზებზეო“, რომ ამბობ ლექსში აჭარლებზე, ამას მსმენელი ვერ გაიგებსო. ბოლოს დამარიგა: ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანხარ. ბათუმში უკვე შევქმენით მწერალთა ორგანიზაცია, რომლის სამყოფელი ადგილი იქნება ბათუმის მასწავლებელთა სახლი და მას დაუკავშირდი. იქ სხვა ახალგაზრდებიც იქნებიან. კავშირში განიხილავთ თქვენს ლექსებს. მოითხრობებს, გამართავთ ლიტერატურულ საღამოებს. ხელს შეგიწყობენ კიდეც, გაზეთში გამოაქვეყნოთ ნაწარმოებები. თუკი თავს გამოიჩენ, შენს ნიჭს ასპარეზიც მიეცემაო.

დიახ, ამის შემდეგ იყო, რომ მე გადავწყვიტე მივსულიყავი მწერალთა კავშირში — და იქ გავიცანით ერთმანეთი ახალგაზრდა პოეტებმა: შალვა შუბლაძემ, შალვა იოსელიანმა, ლავრენტი ძიმისტარიშვილმა, ალექსანდრე ჯორბენაძემ, მურმან მეგრელიძემ და სხვებმა.

აქ მხოლოდ ორ პოეტზე მინდა ვილაპარაკო — ლ. ძიმისტარიშვილსა და ა. ჯორბენაძეზე, რადგან მათ არ ელირსათ არც წიგნების გამოცემა და არც სიცოცხლე მშობლიურ საქართველოში. ლ. ძიმისტარიშვილი ჩემზე უფროსი იყო, თანაც მწერალთა კავშირში უკვე ფეხმოდგმული. მას პატივისცემით ეპყრობოდნენ უფროსი ამხანაგები. იყო განათლებული, ნაკითხი ახალგაზრდა. ერთხანს მუშაობდა ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში და აქვეყნებდა შესანიშნავ სტატიებს. მან გამოაქვეყნა არაერთი და ორი ლირიკული ლექსი. მე კარგ ციკლად მიმაჩნია მისი „ორი სიმღერა აჭარისწყალზე“. მომწონდა სტრიქონი, სადაც იგი მდინარეს მიმართავს: „გახსნი ბაგეებს და გააწმორებ სპილოს ძვალივით გათლილ სალამოს“. ჭეშმარიტად ნიჭიერი პოეტი იყო და ხელმოცარულიც არ დარჩებოდა, მაგრამ... ერთ დღეს, საჯარო ბიბლიოთეკის წინ რამდენიმე ახალგაზრდა ვკამათობდით. ერთმა თქვა: შ. იოსელიანი უკვე დასრულებული პოეტია, მეტს აღარ გაიზრდება, ლ. ძიმისტარიშვილი უდაოდ ნიჭიერია, მაგრამ ლექსს აკეთებს, ხოლო შურა (ასე ეძახდნენ ალ. ჯორბენაძეს) ბუნებრივი პოეტია, თანაც მზარდი. ასე რომ „იგი ყველას აჯობებს, თანაც ყველაზე ახალგაზრდააო. ვაგლახ, რომ არცერთს აღარ დასცალდა. შ. იოსელიანი მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი გახდა, ხოლო ისინი — ძალადობის, უკანონობის ჟამისა, როცა ადამიანის სიცოცხლე გაზეთის ფურცლებზე ოქროდ ფასდებოდა, ხოლო სინამდვილეში გახვრეტილ გროშადაც არა. ადამიანთა სულს მომაკვიდნებელ ელექტროდენად ცრიდა და ღრღნიდა შიში. დღეს ზოგიერთი ყოყოჩად აცხადებს: მე არაფრის მეშინია, მსხვერპლად შევეწირები იმას, რაც მწამსო! ახლა ყველა იტყვის ამას, მოხუციც და ახალგაზრდაც, რადგან იცის, რომ ფაქტიურად მის სიცოცხლეს საშიშროება არ ემუქრება, დღეს დემოკრატიაა. მიდი, გაახურე ტრიბუნა. დაწერე ცეცხლოვანი ლექსები, მოთხრობები, წერილები და გინდ ცას შეუნთე! ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ვ. კოტეტიშვილი დიდი შემოქმედნიც იყვნენ და სულიერად სალი კლდენიც. მაშინდელი ცხოვრების შუაგულში აქტიური პოზიციაც ეჭირათ და არ ყოფილან იმ მძაფრი პოლიტიკის ანტიპოდები, მაგრამ სად ჩაიფერფლნენ ისინი, დღესაც ვერაფერი გაგვიგია. მაშინდელ ცხოვრებას თვისებად ჰქონდა გაუგონარი სისასტიკე. სამწუხარო ის არის, რომ მსხვერპლი დიდზე დიდი იყო. ჩვენმა ხალხმა ბოლოს რაც მოიმკა, სავალალოა, აფსუს, დაფერფლილო იმედებო!

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მეგობრებს: ჩემს და შ. იოსელიანის ცხოვრებაში ერთი რაე მოხდა: ორივე ავად გავხდით მოძალებული ნევრასთენიით და ორივემ უმაღლესი სასწავლებელი დავტოვეთ, მეტისმეტად სელი ჩამკიდა ნევროზულმა ტკივილებმა, განსაკუთრებით მტკიოდა თავი, რაც საშუალო სკოლაში დამჩემდა. მე როცა სამკურნალოდ თბილისში ვიმყოფებოდი, იქ გავიგე, რომ დაუპატიმრებიათ ლ. ძიმისტარიშვილი და ა. ჯორბენაძე. დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ კიდეც შუა აზიაში. რატომ? რა დააშავეს ამ ახალგაზრდებმა? იმ დროს დააპატიმრეს და გადაასახლეს აგრეთვე ნიჭიერი პოეტი შალვა ციბელი (ციბაძე). მას უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული და მსახურობდა ბათუმის ადვოკატთა კოლეგიაში. მახსოვს, გამოსცა პოემა „ჰაილარი“, რომლის ნაწყვეტებს კითხულობდა სცენიდან. დამამახსოვრდა მისი ერცელი ლექსიც „სანუმსატიჯე“, რომელსაც ტრიბუნიდან დიდი ექსტაზით კითხულობდა ავტორი. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში შემთხვევით წავაწყდი ამ ლექსს და ამოვიწერე კიდეც. იგი დაბეჭდილია უურნალ „გრდემლში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა...

ალექსანდრე ჯორბენაძემ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა. ვერ აიტანა ყაზახეთის მკაცრი კლიმატი, ყელის ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა.

ლ. ძიმისტარიშვილი შინაურებს წერდა წერილებს, აიმედებდა დედას. დედამ ძალა მოიკრიბა და გაუყვა სუსხიან შორეულ გზას, რომ ენახა მონატრებული შვილი — ლაშა, ასე ეძახდნენ ლავრენტის. სხვათაშორის, იგი ლექსებს აქვეყნებდა ლაშა ტბაურის ფსევდონიმით. დედამ ჩაალწია ყაზახეთს. მონახა შვილი.. და მეტად გაიხარა შეხვედრით დედა-შვილმა. დარჩენას აპირებდა, მაგრამ ლაშას უთქვამს: დედა, ბათუმის რბილ ჰაერზე ხარ მიჩვეული და აქაურ სასტიკ ტემპერატურას ვერ აიტან. აქ, ჩემს წინ რომ რაიმე მოგივიდეს, მეც თავს არ ვიცოცხლებ. წადი, დაუბრუნდი ოჯახს! ოთს თვეს მაინც დარჩა შვილთან. მერე კი ტირილ-ტირილით დაბრუნდა ბათუმში. როგორ უნდა გაუძლოს დედის გულმა, როცა შვილი შორსა ჰყავს გადაკარგული... ვინ უნდა მისცეს ნუგეში? ქმარმა? ქმარიც ხომ გადაასახლეს ათი წლით.

გავიდა ხანი და შეწყდა წერილები. აღარაფერს იწერებოდა ლაშა. „იქნებ ცოცხალი აღარაა? იქნებ სხვაგან გადაიყვანეს და არც წერილების გამოგზავნის უფლება აქვს? იქნებ, ჩემი ჩასვლით გაუფუჭდა ლაშას საქმე? არ მენახა, გული როგორ გამიძლებდა? ვნახე და იქნებ ცუდი ვქენი. რას გაუგებ ჩვენს დროს, რას?!“ მწარედ ფიქრობდა და ქვითინებდა დედა...

მე არ ვიცნობდი ლ. ძიმისტარიშვილის შინაურებს, ვერც გავიგე, სად ცხოვრობდნენ.. არაერთხელ ვიკითხე მწერალთა კავშირში — არ შეიძლება სათანადო ორგანოში საკითხი დავაყენოთ ლ. ძიმისტარიშვილის რეაბილიტაციის შესახებ? — დამნაშავე რომ არ ყოფილიყო, ვინ დაიჭერდა, დამნაშავის რეაბილიტაციის მოთხოვნა ვის გაუგონიაო, — მეუბნებოდნენ პასუხად.

მე მაინც ვერ ვისვენებდი. ვეძებდი მისიანებს. ერთ დღეს შევიტყვე, რომ პოეტის და, ეთერ ძიმისტარიშვილი მსახურობდა ჩვენს თეატრში. მოვნახე იგი და გვჭონდა საუბარი. ტიროდა და ისე მესაუბრებოდა. — მწერალთა კავშირს დახმარებისათვის მივმართე, მაგრამ ამაოდ. ყველას ეშინოდა, რადგანაც ჩემი ძმა პოლიტიკური ბრალდებით იყო გადასახლებული.

თითქოს ვერც კი გაამტყუნებ ადამიანს, ეშინია და რა ქნას. თუმცა სტალინი აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მაინც მისი რეჟიმი მეუფეობს, ვის აქვს თავი განწირული? წარსულის შიში ისე მაგრად ჩამჯდარა ადამიანების სულებში, რომ მის ამოკვეთას, იქნებ დიდი დროც დასჭირდეს, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა.— ვფიქრობდი მე.

— მე უნდა ვითავო შენი ძმის რეაბილიტაცია, — მტკიცედ ვუთხარი ეთერს. სიხარულით ატირდა.

— სად მოგნახო? დედაჩემს მოვიყვან შენთან. — მითხრა მან.

— მე ამჟამად ვმუშაობ ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ (ახლა „ჭოროხი“) რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. — ვუთხარი მას. მისამართიც ვასწავლე. — ახლა დედაშენს ნუ შეაწუხებ. მე ერთ კაცს ვნახავ, მოველაპარაკები და მერე შევხვდეთ ერთმანეთს. ახლა ხომ ვიცი, სად მოგნახო. — დავემშვიდობეთ ერთმანეთს თეატრის ფოიეში.

ერთი კაცის იმედი მქონდა, რომელიც ჩემი მეგობარი იყო... და მე იმ დღესვე ვინახულე აჭარის პროკურორის მოადგილე გიორგი მეგრელიძე. როცა მომჩივანთაგან მისი კაბინეტი დაცარიელდა, მაშინ შევედი. გულიანად მომესალმა, მკითხა, რამ შეგაწუხაო, მე ვუამბე ყველაფერი. მან თავი გააქანა და თქვა: — აფსუს, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა იმსხვერპლეს ჯალათებმა. ერთი ეს მითხარი, აქვთ თუ არა შემონახული მისი

ხელნაწერები და გამოვა თუ არა ერთი წიგნი, თუნდაც პატარა, რომ ამ საქმეს ბოლოს გვირგვინი დავადგათ — გამოსცეს ამ პოეტის წიგნი?

— კი-მეთქი, ვუპასუხე დაბეჯითებით, თუმცა არ მენახა პოეტის ხელნაწერები. მეგონა რომ ის, რაც მის ოჯახში ინახებოდა, ერთი პატარა კრებული გამოვიდოდა.

— ვინ ჰყავს სახლში?

— მამა, რომელიც ადრე გადასახლებული იყო ათი წლით, უკვე თავისუფალია, აქაა. ჰყავს დედა, და, ძ?ა.

— დაწერეთ დედის სახელზე განცხადება და მომიტანეთ.

ასეც მოვიქეცით.

გიორგიმ უმალვე მიიღო ზომები. გამოითხოვა პოეტის საქმე... მოულოდნელად დამირეკა. ჩემთან მოდიო, მაშინვე მასთან გავჩნდი.

— მე გადავათვალიერე ძიმისტარიშვილის საქმე.

— რა ბრალდება აქვს წაყენებული?

— გეტყვით. საღამოა. სამნი — ლავრენტი ძიმისტარიშვილი, ალექსანდრე ჯორბენაძე და.. — შეჩერდა პროკურორი.

მესამე ალარ დაასახელა.

— მერე, მერე? — ვეკითხები გულისფანცქალით გიორგის.

— ერთი ეკითხება ლავრენტის და ალექსანდრეს — დიდხანს იქნება ეს მთავრობაო. ალექსანდრე დუმს. ლავრენტი პასუხობს: — თავი დამანებე, მე რა ვიცი, იქნება თუ არაო. ეს არის და ეს მისი დანაშაული, — თქვა გიორგიმ.

— მესამე კაცი ვინ არის?

— გამცემი.. გამცემი... იქნებ მოუგონა მათ კიდეც. — გულისტკივილით გაიმეორა გიორგიმ.

— რამე ეშველება ამ საქმეს?

— რა თქმა უნდა. პოეტის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს. მე ამის მომხრე ვარ და ასეც იქნება, — მტკიცედ თქვა გიორგიმ. მერე დაუმატა: — მე შვებულებაში მივდივარ. ამ საქმეს გადავცემ ჩემს მოადგილეს... და მისი პატრონი რამდენიმე დღეში მიიღებს შვილის რეაბილიტაციის ოფიციალურ ცნობას. შენ კი გამოსაცემად მოამზადე მისი წიგნი, — თითქოს გამაფრთხილა კიდეც...

— დასასვენებლად მიდიხართ?

— დიახ.

— მაშ, გისურვებთ კარგად დასვენებას.

ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ... და მე გამოვედი მისი კაბინეტიდან.

ყველაფერი ეს ვახარე პოეტის ჭირისუფალს... და იმ დღიდან ისინი დაელოდნენ პასუხს...

რამდენიმე დღის შემდეგ დაღონებული მოვიდა ჩემთან ეთერ ძიმისტარიშვილი და წინ პროკურატურის პასუხი დამიდო. წავიკითხე. მღელვარებამ შემიპყრო. ხელს აწერდა სწორედ ის იურისტი, ბატონმა გიორგი მეგრელიძემ რომ ეს საქმე ჩააბარა. მე მის გვარს განგებ ალარ ვასახელებ, რადგან ეროვნებით ქართველი არ არის და, შეიძლება, იწყინონ მისი ჯიშის წარმომადგენლებმა, რომლებიც საკმაოდ ბევრნი ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში.

— ქალბატონო ეთერ, გიორგი მეგრელიძე შვებულებაშია და მგონი კისლოვოდსკში ისვენებს. დაველოდოთ მის ჩამოსვლას, ნუ გეშინია, ადრე თუ გვიან ჩვენ მიზანს მივალწევთ, — დავაიმედე მე. არაფერი უთქვამს. უხმოდ გამომემშვიდობა. მივხვდი, რომ იმედი გადაუწურავთ ოჯახში. გარეთ გამოვყევი და კვლავ დავაიმედე. პროკურორის პასუხი კი მე დავიტოვე...

ვიცოდი, როდის დაბრუნდებოდა შვებულებიდან გიორგი... ვურეკავდი ხოლმე პირად მდივანს... და აი, ერთ დღეს პირადი მდივანი მპასუხობს — აქ არისო. ვთხოვე, დამლაპარაკებოდა, ცოტა ხანს შინაურულად ვისაუბრეთ... და მერე შევაპარე: თქვენგან პასუხი მიიღო პოეტ ლ. ძიმისტარიშვილის დედამ, და ისეთი, რომ გული წასვლია და სასწრაფოსთვის გამოუძახიათ-მეთქი.

— გამოართვი პასუხი და აქ მომიტანე, ჩემო მამია, —მითხრა მან. აქ მაქვს-მეთქი. ჩქარა მოდი ჩემთანო. მივუტანე პასუხი. სახეზე შევატყვე, ძალიან განერვიულდა.

— ახლა რასაც გეტყვი, დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს, შენ დაწერე, სხვა ვერ დაწერს, გული შენ შეგტკივა ამ კაცზე. დაიწეროს საჩივარი საქართველოს პროკურორის სახელზე. ხელი მოაწეროს პოეტის დედამ. თან დაურთეთ ეს პასუხიც, შედეგი შემატყობინეთ, — თქვა ბოლოს გიორგიმ...

იმ საღამოს ჩავუჯექი საწერ მაგიდას. არაერთხელ გადავწერე, დავხვეწე. ვწერდი დედის სახელით:

1937 წელს — აჭარის უმაღლესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა ათამდე კაცს. რომელშიც შედიოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მაღალი თანამდებობების პირები. დღეს ყველანი რეაბილიტირებულნი არიან. ხოლო ლ. ძიმისტარიშვილს, ამ უცოდველ ახალგაზრდა პოეტს თავისუფლება არ აღირსეს და ამით კიდევ ერთხელ გული მომიკლეს დედას, ცოცხლად დამმარხეს, თუკი თქვენც ასე უსულგულოდ მოიქცევით, მე თავს აღარ ვიცოცხლებ, თუმცა ვის რას დავაკლებ... როცა წაიკითხავთ ბიუროკრატის, უსისხლხორცო კაცის პასუხს, რომელიც მივიღე აჭარის რესპუბლიკური პროკურატურიდან, მღელვარებისათვის არც კი გამამტყუნებთ დედას...

ოთხ თვეს გაგრძელდა ლოდინი. ხშირად ვკითხავდი გიორგის — რატომ აგვიანებსმეთქი. მამშვიდებდა, საჩივრები ბევრია და ჭიანურდებაო პასუხებიო...

ოთხი თვის მღელვარე ლოდინის შემდეგ მივიღეთ პასუხი. აწლა უკვე რეაბილიტაციის ქაღალდი ხელთ გვქონდა. წიგნიც მოვამზადეთ ორ ცალად, მაგრამ აქ. ბათუმში, უკვე სახელმწიფო გამომცემლობა დახურული იყო. ორი თაბახით შეამცირეს ჩვენი ჟურნალიც. წიგნი უნდა გამოცემულიყო თბილისში. ამიტომ, დახმარება ფრიდონ ხალვაშს ვთხოვეთ, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს. ფრიდონი გაეცნო კრებულს, მოეწონა ლექსები და შეგვპირდა დახმარებას. ერთი თვის შემდეგ განაცხადა, რომ ბათუმში ჩამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამსვლელი სესია. მაშინ დავაყენოთ ეს საკითხი. თანაც დასძინა, რომ ამ სესიაში მონაწილეობას მიიღებს პოეტი რევაზ მარგიანი, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორია და უშუალოდ მას ვთხოვოთ. მართლაც, მალე ეწვია ბათუმს საქართველოს მწერალთა კავშირის გამსვლელი სესია... და მას რევაზ მარგიანიც ჩამოჰყვა. მოვილაპარაკეთ ლ. ძიმისტარიშვილის კრებულის გამოცემის შესახებაც. რევაზმა აღუვითქვა დახმარება და გვთხოვა, რომ გადაბეჭდილი ორ ცალად ჩაგვეტანა თბილისში და ჩაგვებარებინა გამომცემლობისავის. ორ ცალად უკვე იყო გადაბეჭდილი. ფრიდონმა წაიღო თბილისში და პირადად რევაზ მარგიანს ჩააბარა. რაღა ბევრი გავაგრძელო და, 1964 წელს ერთი თაბახის ოდენობით გამოვიდა ნანატრი კრებულიც. დაიწერა და გაზეთებში გამოქვეყნდა შესანიშნავი რეცენზიებიც. ჩვენს პოეტებს, რომლებსაც დედაში არ ჰქონდათ წაკითხული, მოეწონათ ლ. ძიმისტარიშვილის ლექსები. მერე, როცა აღდგა ბათუმში გამომცემლობა, დაისტამბა პოეტის ორთაბახიანი კრებული.

ლ. ძიმისტარიშვილის არც ერთი ლექსი არ გადამიგდია. ადრე დაწერილი მისი ლექსებიც კი დავხვეწეთ და კარგების გვერდით მოვათავსეთ. მერე მთლიანად გადავბეჭდეთ... და ამჟამად იგი ინახება ჩვენი მწერალთა კავშირის არქივში...

აქვე უნდა ვთქვა გულისტკივილით: ფრიდონ ხალვაშის თხოვნით მოვამზადე წუთი. სოფლიდან ადრე წასული ნიჭიერი პოეტის ახმედ კვირიტიძის ლექსების კრებული გამოსაცემად, მაგრამ გაფრინდნენ წლები და გზის სინათლე არ ელირსა მის ლექსებს. ასევე რამდენიმე წელია გამოცემის მოლოდინშია ჯემალ ქათამაძის და ჩვენს მიერ გულდასმით შედგენილი წიგნი ომში დალუპული პოეტის შალვა იოსელიანისა. ამ კრებულში თავმოყრილია ყველა მისი კარგი ლექსი, თარგმანებიც... და მისი ამ სახით მიწოდება ჩვენი საზოგადოებისათვის, ჭეშმარიტად მადლიანი საქმე იქნებოდა.

რატომღაც მეტისმეტად გულგრილნი გავხდით და გვიჭირს მხარიმხარს დგომა, ვინ იცის ამას რამდენი საბაბი აქვს; მაგრამ შედეგი პირადად მე გულს მტკენს, ვერ ვეგუები, მაგრამ მიცვალებულთა მიმართ პატივდება კი ყველას ვალია, მარტო სიტყვა არა კმარა, საქმით უნდა ჭარბად წარმოვაჩინოთ ჩვენი კეთილშობილური სული. რა აღგილიც არ უნდა გვეკავოს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ახლა ცოტა რამ პოეტ ალექსანდრე ჯორბენაძის შესახებ. იგი სწავლობდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიუმში. კერძო სახლი ჰქონდა ბარცხანაში. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. არც ერთი ლიტერატურული საღამო არ მოწყობილა, ჩვენ რომ მონაწილეობა არ მიგვეღო... ხან ბაღში ვუკითხავდით ერთმანეთს ლექსებს, ხან ქუჩაში მისი ტოლები, რომლებიც მწერლობის ჟინით იყვნენ აღტაცებულნი და ეჩიდებოდნენ სტრიქონებს, საშას (ალექსანდრეს) მიიჩნევდნენ ნიჭიერ, ბუნებრივ პოეტად. იგი დღითიდღე აუმჯობესებდა ლექსებს, ხვეწდა... და ბოლოს აქვეყნებდა კიდეც. რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელში“, „ლიტერატურულ აჭარისტანში“ და უცებ მოკვეთეს იგი ჯალათის ხელებმა და ძიმისტარიშვილთან ერთად გაუყენეს ყაზახეთის გზას.. ლავრენტიც და საშაც ყაზახეთის ტრამალებმა შთანთქა. როგორც უკვე ვთქვი, საშას ყაზახეთში ერთი წელიც არ უცოცხლია... მე მუდამ ვფიქრობდი ულროოდ დალუპულ ამ მეგობრებზე, რადგან მწამდა მათი ნიჭისა და მიყვარდა ისინი. მინდოდა პუბლიკაციის სახით მაინც გამომექვეყნებინა საშას ლექსები, მაგრამ ვერ მოვნახე პოეტის პატრონი. ვთხოვე მისი გვარის კაცს, ჩემს მეგობარს, აგრონომ-ტექნოლოგს პავლე ჯორბენაძეს, რომელიც იმ უბანში ცხოვრობდა, მოენახა პოეტის ოჯახი. პასუხი ასეთი იყო: არავინ აღარაა ცოცხალიო. ხელთ შემრჩა მისი ერთადერთი ლექსი, რომელიც პირველად ყმაწვილკაცმა გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელში“ 1933 წელს.

როგორც ვთქვი, ეს ლექსი პირველად რომ დაიბეჭდა, საშა მაშინ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო. მერე კიდევ გამოაქვეყნა კარგი ლექსები, მაგრამ ველარ მოვნახე. ეს ყმაწვილი ხალასი პოეტი რომ იყო, ამ ლექსიდანაც ჩანს. იგი ყმაწვილკაცის ჯერ უმწიფარმა ვნებამ შექმნა, მერე და მერე ცად აფრინდა მისი პოეტური მუზით და პოეზიის ყამირზე თავის კვალს დაამჩნევდა.

საკუთარ ძმასავით მეთანაღრება წუთისოფლიდან მისი ადრე გადასვლა. აქ ხომ კარგნი იყავით, ძვირფასო მეგობრებო და იქაც გაცხონოთ ღმერთმა ჩემო ლაშა, ძმაო ხვიჩა!..

იბრაიმ გორაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაურსა სად ჭაიყვან...

დილით ნავსადგურში გავედით. გემი ცოტა მოშორებით იდგა. ნავით მივადექით გემს. ბარგი-ბარხანით მოვთავსდით ერთ კუპეში. მე მალლა საწოლზე ავედი და ხოფას იქით ზღვის სანაპირო სოფლებსა და ქალაქებს ვათვალიერებდი... არაფერი არ გახარებს, ხედავ ლამაზ, გამწვანებულ ადგილებს, სახლებს, ჩაის პლანტაციებს, მაგრამ არცერთი შენი არ არის. არავითარი ქონება არ გაგაჩნია. თუ ორი პერანგი გაცვია, ის არის და ის შენი ქონება. დალონებული, ჯავრით გულშეკუმშული ჩავყურებ ლურჯი ზღვის სილრმეს და გულს ვაყოლებ ზღვის ტალღებს. ასეთი ჯავრითა და ფიქრებში გართული მივადექით სამსუნის ნავსადგურს. გადავედით ნავსადგურში. ბაბუაჩემთან ერთად ქალაქში გავედით. ხუსეინ ქოქოლაძის მისამართი გვქონდა და ეტლით მის დუქანს მივადექით. ხუსეინ ქოქოლაძე ბებიაჩემის ახლო ნათესავი იყო. ბათუმშიც ჰქონდა მაღაზია და კაპიტალისტად ჩათვალეს, დაემუქრნენ, გადაგასახლებთო, მაღე მიხვდა, რომ მთელ ქონებას გამოაცლიდნენ ხელიდან და ციმბირის გზას გაუყენებდნენ, ანდა აგერ, ჭოროხის პირას, მიახვრეტდნენ გაუსამართლებლად... დროზე გაიქცა და საქმარისი თანხაც გაიყოლია, სამსუნში მდიდრული მაღაზია გახსნა. იქ მრავალი ჩვენებური იყო... ტელეფონით შეატყობინა ხუსეინ ქოქოლაძემ ზოგიერთებს ჩვენი სტუმრობა. ოსმან კახიძე და მისი სამი ძმა მოვიდა, ოსმანმა წაგვიყანა ოჯახში, შემდეგ ჩვენთვის გამოყოფილ სასტუროში მოგვათავსეს. ერთი თვე დავრჩით სამსუნში, ახლო სოფლები შემოვიარე, ჩარშაბის ქართველებმა უნიას სოფლებში წამიყვანეს. უნიაში ნათესავები ვინახულე, აქ დედაჩემის ბიძაშვილები ცხოვრობდნენ. ბიძის საფლავიც ვნახე, ჯემალ გივაძესთან გავათიეთ ორი დღე. მესაქონლე კაცი იყო ჯემალი, ასამდე თხა და ცხვარი ჰყავდა. — აქ თუ სადმე ახლოს დაგასახლებენ, იმდენ საქონელს მოგცემთ, რომ გეყოფათო, გვითხრა. ჯავრი და დარდი გვიმცირდებოდა. იმედი მოგვეცა, ვიცხოვრებთ, ოღონდ სადმე დაგვასახლონ. მხოლოდ სამშობლოს დაკარგვის ჯავრი გვაწუხებდა. 1878 წელს ჩასულ მუჰაჯირებიდან შევხვდი რამოდენიმეს. ერთმა დიდი სინანული გამოთქვა: ათი წლის სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ ერთჯერ დამათვალიერები-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“ №№ 2, 3, 4, 5.

ნა ის: ადგილებიო. ის ლამაზი ქობულეთის მიდამო, სადაც დავბადებულვარ და მოკლე დრო გამიტარებიაო. — თქვა და ამოიოხრა. იმ კაცის ნატვრამ სამშობლოზე ცოტაოდენ შემსუბუქებული დარდი ხელმეორედ გამირთულა... ბოლოს ჩემი წასვლის დროც დადგა.

ასევე განმეორდა ფაცაშიაც. იგი ორდუს ვილაეთში შემავალი ერთი რაიონია. უმრავლესობა ქობულეთის რაიონიდან გადახვეწილი ქართველები არიან. ქართული ენა იქ უკეთ არის შემონახული. (1940 წლის შთაბეჭდილებებს გიყვებით).

გულთბილად მიგვიღეს. ჩვენ მათი ამბავი გვაინტერესებდა, დაწვრილებით გვიამბეს პირადად განცდილი თუ წინაპართა მიერ მონაყოლი, მერე წინასწარმოლაპარაკებულივით გვითხრეს:

— აქ სადმე თუ დაგასახლებენ, ჩვენ ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს, დაგეხმარებით სახლ-კარის აშენებაშიო.

ჩარაშამბაში ანდა უნიაში დარჩენა იმიტომაც არ ვარჩიეთ, რომ აქ ბევრი ქართველი მუჰაჯირი მალარიით დაიხოცა. წავედით მუშში, მაგრამ აქაც ვერ გავბედეთ დასახლება...

მატარებლის ბილეთები ოთხგერცნეს, ხვალისათვის მზად იყავითო, გვითხრეს. ბევრი გამცილებელი შეგროვდა სადგურში, ვაგონებში დაგვალაგეს, ბედნიერი მგზავრობა გვისურვეს და გაგვაცილეს.

მატარებელი დაიძრა. სადგურებში ქართულად მოლაპარაკე ხალხი ამოდიოდა. ჩიარბაჭირში ჩავედით და ერთ სასტუმროს მივადექით. ერთი თვე დავრჩით იქ, ეს ქალაქი ძლიერი ციხესიმაგრით იყო გარშემორტყმული, ქალაქიდან ოთხი გასასვლელია. ქალაქთან ახლო მდინარე დიჯლე მდორედ მიედინება, ეს მდინარე ადრე ხალხს ტვირთის გადატანაში ეხმარებოდა. ჩიარბაჭირის ნესვი განთქმულია თურქეთში, მდინარეში თევზიც ბლომადაა. აქაური მინდვრები და მდინარის სანაპიროები ნოყიერი მიწებითაა ცნობილი, განვითარებულია მესაქონლეობაც, რამდენიმე დღის შემდეგ გვითხრეს — ხვალისათვის მზად იყავით, ცხენებით უნდა გაემგზავროთ ქ. მუშისაკენო.

დილით მართლაც მოგვაყენეს ქარავანი, რომელიც ოცი ცხენისაგან შედგებოდა. მივადექით მდინარე ყულფის. მდინარეზე ხიდი არ იყო და ცხენებით უნდა გავსულიყავით. ჩემს ცხენზე ბიცოლაჩემი შემომისვეს, მდინარეში შესვლისთანავე კინაღამ გადავცვივდით. ბაბუაჩემმა დაგვარიგა, თვალები შეუხვიეთ და ისე გადითო, მართლაც უხიფათოდ გავედით ფონს.

იქიდან ქურთებით დასახლებული სოფლები გავიარეთ. ავედით კოფის მთაზე. მუხნარ ტყეში ცეცხლი დავანთეთ, მწყემსებიდან ფეხმოტე-

ხილი შავი ცხვარი ვიყიდეთ, დავკალით და ვჭამეთ. იმ მთებზე მუხლამდე დაფარულ ბალახში კარგად მოჩანდა რუსების სანგრები, თურმე იმ მთებამდე მოსულან რუსები, მაგრამ 1917 წლის რევოლუციამ შეცვალა მათი გეგმა და უკან დაბრუნებულან, იქ რკინითა და ფოლადით გამაგრებული სანგრები მიუტოვებიათ. ქურთებს ჩამოჰქონდათ რკინა და მჭედლებთან ჰყიდდნენ. ბევრ ოჯახში რუსული თოფიც იყო შემორჩენილი.

განვაგრძეთ გზა და მეორე დილით ქალაქ მუშის ახლოს სოფელში გავჩერდით. ცხენები მინდორში საბალახოდ გაუშვეს. მამაჩემთან ერთად ქალაქში ავედით. ამ ქალაქში ჩვენი ნათესავები მახმუდ გორაძე და ოსმან კახიძე ცხოვრობდნენ. გორაძეს დუქანი ჰქონდა და იქ ვინახულეთ. მუშში მისვლამდე არავის თავი არ წამოგვტკენია. მუშში ბებია ცუდად გაგვიხდა და იგი მახმუდ გორაძესთან დავტოვეთ. მეორე დღეს ბულანულის რაიონში გავემგზავრეთ. მთავრობას იქ უნდოდა ჩვენი დასახლება. ჩავედით ბულანულში და ხელისუფლებამ იქ დროებით დაგვაბინავა. ამ ადგილებში ბევრი ჩვენებური ცხოვრობდა, -- 1931-1937 წლებში გაქცეულნი.

ცოტა ოქრო გვქონდა დედაჩემის ძმებთან შენახული. იმ ოქროთი დუქანი ვიჭირავეთ, რამდენიმე ცხვარი ვიყიდეთ, ეს საქმე მომგებიანი აღმოჩნდა, ხორცი არ გვაკლდა, ტყავი და მატყლიც კარგად იყიდებოდა, მეორე წელს, გაზაფხულზე, ქალაქთან ახლო სოფელში მიწა ვითხოვეთ და მშენებლობა დავიწყეთ, ცოტა ფულიც გვქონდა უკვე. იმ წელსვე გასაყიდი პურიც გვქონდა, საოჯახო მოთხოვნილების საგნები შევიძინეთ. დიდი მონდომებით ვმუშაობდით, არაფერი ხელს არ გვიშლიდა... კოლექტივში არ გვეძახოდნენ. თავისუფალი ცხოვრება გველირსა, მაგრამ სამშობლოზე ნატვრა ჩვენს გულში უფრო და უფრო იზრდებოდა. უცხო ხალხი, ენა, უცხო გარემო გვაწუხებდა.

სახლი ავიშენეთ. მალე სოფლელებმაც შეძლებულ ოჯახად ჩაგვთვალეს, ხიდებისა და მეჩეთების აშენებაზეც ფულს ვაგზავნიდით. თუ ვიმუშავებდით, ძლიერი ოჯახი რომ გვექნებოდა, ეჭვი არ გვეპარებოდა.

ბაბუა ავად გაგვიხდა და საავადმყოფოში დავაწვინეთ. მის მოსანახულებლად წავედი ქალაქში. ერთი ყავახანის წინ ხალხს თავი შეეყარა და რადიოს უსმენდა. არავინ ხმას არ იღებდა. თურმე იმ ღამეს გერმანია თავს დასხმია საბჭოთა კავშირს და წინ მოიწევდა. ხალხი ყვიროდა, წითელი რუსი მარცხდებაო.

ბაბუაჩემს რომ ვუთხარი ეს ამბავი, ძალიან ეწყინა, ამ ომს ბევრი ხალხი შეეწირებაო, — თქვა. ჩვენს ხალხს ახლა ეს უბედურება უნდოდაო?!. სოფელშიც მე მივიტანე ეს ამბავი, ბევრს უხაროდა, რუსეთი დაემხობაო, ზოგი კი თავისიანებზე წუხდა. ჩვენც მათ მსგავსად ვდარდობდით.

(გაგრძელება იქნება)

ჯემალ ჩხეიძე

მგზავრობა, თუ ჯოჯოხეთი...

...მოსკოვიდან გვიან ღამით ჩავფრინდით ქაიროში. თითქმის ნახევარ საათზე მეტ ხანს მივფრინავდით ქალაქის თავზე და ისეთი გრძნობა მქონდა, სადაცაა ბორბლებით წამოვედებით-მეთქი გიგანტური ქალაქის ქუჩებში ზვიგენის კბილებივით მჭიდროდ ჩარიგებულ სახლებს, ხანაც თითქოს ცეცხლწაკიდებულ უკიდეგანო ოკეანის თავზე მივფრინავდით და ზღაპრული ურჩხულის ასევე ცეცხლოვან ხახაში ჩავინთქებოდით და ჩავიფერფლებოდით.

ეგვიპტეში ელექტროენერგია არ უჭირთ და ამდენად ჩემი ეს ასოციაცია ღამის ქალაქისა ცეცხლშემონთებულ ოკეანესთან, მხატვრულობის თვალსაზრისით, სრულიადაც არ გახლავთ ნაძალადევი.

ძველი ეგვიპტური კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უპირველეს აკვნად ითვლება. ეგვიპტეს ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკისა და სინაის ნახევარკუნძულზე (აზია, 1002-ათასი კვ. კმ. უჭირავს. აქედან, მთელი ტერიტორიის სულ რაღაც, 2% (ნოლასის ხეობა) არის მარტო მოსავლიანი.

ეგვიპტელები თავის ქვეყანას ქემის უწოდებდნენ, რაც „შავ მიწას“ ნიშნავს. ლეგენდების მიხედვით, შორეულ წარსულში ქემის ადამიანები კი არა, ღმერთები განაგებდნენ. მათ შორის უმთავრესი იყო ოზირისი. მას მსახურებდნენ ცეცხლის ღმერთი ფთაჰი, მზის ღმერთი რა, ჰაერის ღმერთი შუ, ომის ღმერთი სები, ქარის ღმერთი სეთი... ასე განაგებდნენ ეს ღმერთები მიწას ცამეტი ათას ცხრაასი წლის მანძილზე. მზის ყოველ წელიწადს ღმერთი ჰა-პი (ნილოსი) ოთხგზის იცვლის ფერს. ზოგჯერ, მკის დროს, მისი დამშეული ენა ნაპირებს გადმოლახავს და მთელ სარჩო-საბადებელს ართმევს ხალხს, — ძველ ბრძენთა აზრით ეს იყო ხარკი იმ ძვირფასი შავი მიწისათვის, რომელიც წყალს მიჰქონდა. უზენაესმა ღმერთებმა ქემი შემდეგ გადასცეს უმცროს ღმერთებს, რომელთა შორის მთავარი იყო მენესი. მათმა მმართველობამ ოთხი ათას წელიწადს გასტანა. როცა დარწმუნდა, რომ ადამიანები არ არღვევდნენ დამკვიდრებულ ადათ-წესებს, მენესმა ხელისუფლება ფარაონებს ანდო. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ გაჭირვება მხოლოდ მაშინ მოდის, როცა ადამიანები ღმერთებს განუდგებიან.

ეგვიპტელები აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ წმინდა ხარს აფისს (ხარი აფისის კულტი ჩანს ინდოელთა სარწმუნოებაშიც, ხარის, ადამიანის მარჩენალი და შემნახველი წმინდა ცხოველის კულტი სულიერად გვანათესავებს ერთმანეთთან ათასწლოვანი კულტურის მქონე უძველეს ეგვიპტესა და ქართულ სამყაროს (შდრ. „ადამიანის შენახვა ვერავინ იდო თავზედა, ხარმა თქვა ქედმალლიურმა, მე დამაწერეთ რქაზედა“...)

ეგვიპტის სახელმწიფო ენა არაბულია, რელიგია — მუსლიმანური, ქვეყნის მოსახლეობა, დაახლოებით 55-57 მილიონია. (ქაიროში — 12-14 მილიონი) ეგვიპტეს, ოდესღაც ძლიერების ზენიტში მყოფს, შემდეგ არაერთგზის განუცდია უცხო ქვეყნების შემოსევები და შევიწროება. 1882 წელს იგი ინგლისებმა დაიპყრეს. 1922 წ. დამოუკი-

დებელი სამეფოა, მაგრამ ინგლისს იქ მაინც ეყენა ჯარი. 1952 წ. „თავისუფალი ოფიცერთა“ ორგანიზაციამ ეგვიპტეში რევოლუციური გადატრიალება მოახდინა, 1953 წ. ფორმირებული იქნა რესპუბლიკა, რომელსაც გამალ აბდელ ნასერი ჩაუდგა სათავეში. 1958 წ. ეგვიპტე-სირიასთან ერთად გაერთიანებულ არაბთა რესპუბლიკაა, მაგრამ 1961 წ. სირია გამოეყო ამ გაერთიანებას, 1971 წლიდან ეგვიპტე „ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკად“ იწოდება. სოფლის მეურნეობა ქვეყნის წამყვანი დარგია. ძირითადი კულტურებია მარცვლეული, შაქრის ლერწამი, ბამბა, მეცხოველეობა (სუსტად) და სხვა. სამრეწველო პროდუქცია — ნავთობი, ავტომანქანები, სასუქები, ცემენტი, ჩინის მადნეული, სუეცის არხმა დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

...უძველესი სიდიადის ნაშთები და ნამუსრევები, მკვდართა ქალაქი, ფარაონთა დიდების დროის უნიკალური ნაკეთობანი, კატაკომბები, ტუტანხამონის აკლდამა... იგი ერთადერთი გადაურჩა გაძარცვას. აქამდე მიკვლეულ ფარაონთა სამარხებს შორის ქაიროს ისტორიულ მუზეუმში ტუტანხამონის ექსპონატებს რამდენიმე დარბაზი უჭირავს (მე, ეს გამოფენა, ჯერ კიდევ, მოსკოვში, პუშკინის სახელობის მუზეუმში ვნახე ამ რამდენიმე წლის წინ). საოცრებათა საოცრება — პირამიდები, მათ შორის, ყველაზე დიდი — ხეოფსის პირამიდა (147 მ), რომელშიც ტურისტების შესვლა ნებადართულია, გარდასული ათასწლეულების წიაღში დავაბიჯებთ და თვალს არ ვუჯერებთ. რომ ყველაფერი ეს ჩვეულებრივი მოკვდავის ხელითაა შექმნილი. ვარაუდობენ, თანამედროვე ცივილიზაცია რიგით მესამე არისო. ვინ იცის, იქნებ მეოთხე ან მეხუთეც იყოს მაგრამ, ჩემი აზრით, ეგვიპტის ცივილიზაცია ცივილიზაციების წინარე პერიოდის საოცრება უნდა იყოს, უფრო კოსმოგენური, ვიდრე ამქვეყნიური და ღმერთების ხელიც უნდა ერიოს მის შექმნაში, თორემ დედამიწის ბინადართ, ცივილიზაციათა ზენიტში მყოფთაც, გაუჭირდებოდათ ასეთი სასწაულებრივი ნატიფი სამყაროს წარმოსახვაც კი... ღმერთებისა და ფარაონების წმინდა მდინარე, ზაფხულშიც ყინულივით ცივი, ლეგენდებით დატვირთული და დამძიმებული, ღმერთების რანგში ამაღლებული მაცოცხლებელი ნილოსი სიდიადეს მატებს ეგვიპტის საოცრებათ...

დ-რ ლევინგსტონისა და ჰენრი სტენლის დაუოკებელი შეუპოვრობის, უძილო ღამეებისა და სახიფათო ფათერაკების შედეგი იყო, სამანი რომ დაედო ნილოსის სათავის ძიებას, ნილოსისა, ღმერთების დარად ჟამიდან-ჟამზე ადამიანებსაც რომ წირავდნენ მსხვერპლად, და ნიანგები, მითოსური ლეგენდები ნიანგებზე...

ნა გრადუსზე მეტია ნავებზე სიცხე, ზოგიერთებმა გაბედეს ცხვირსახოცების დასველება ყინულივით ცივ წყალში, ისრესდნენ და იზელდნენ თავ-კისერს. გამაკაცთაგან ვიღაცამ იხუმრა, ერიდეთ ნიანგებს, თორემ ისე მოგაკვნეტენ ხელს, სიხსლიც არ გამოვაო ნაჭრილობევიდან, არ ჩანან ნიანგები და ახლა ცოტა უფრო გათამამდნენ ქალები. ქ-ნი ნუნუ პერტია აქაც თავზე ევლება ყველას. ვეუბნები, უთქვენოდ ძალიან გაგვიჭირდებოდა, შვებულება თუ გაქვთ გაფორმებული, როცა დაბრუნდებით, ბრძანება გააუქმეთ, აქ ხომ ისედაც მუშაობთ-მეთქი. ჯგუფში რამდენიმე ექიმია.

ძალაუნებურად მაგონდება დიდი ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობიდან, ერთი შეხედვით, კურიოზული დეტალი, როცა ძალიან გაუჭირდათ საპალნეების ზიდვა და ეს საფრთხეს უქმნიდა გაბარჯვებას, თან იმის ნიშნადაც, რომ ბონაპარტე დიდად აფასებდა მეცნიერებს, ბრძოლის წინ ბრძანა: ვირები და მეცნიერები (არქეოლოგები, რომლებიც დაემგზავრნენ არმიას) შუაშიო და არცერთ მეცნიერს არც მაშინ და არც შემდეგ, რამდენადაც ვიცი, ასეთი უხერხული შედარებისათვის შეურაცხყოფილად არ უგრძვნიათ თავი.

ჩვენთვის, ეგვიპტის კლიმატს უჩვევთათვის, ექიმი დიდი იმედია.

ახლა კვლავ ნიანგებზე. ბავშვობისას წამიკითხავს, წყურვილის მოსაკლავად პაპანა-

ქება სიცხისაგან გულგახურებული ხვადი ვეფხვი რომ მისულა მდინარესთან, წყალში თავჩარგულისათვის ისეთი გამეტებით ჩაუვლია ფოლადივით მაგარი ყბები ჩასაფრებულ ნიანგს, ისეთი ძალის ორთაბრძოლა გამართულა უდაბნოსა და მდინარის ამ მძვინვარე ბინადრებს შორის, რომ წყლის შხეფები ზეცას წვდებოდა, და ნიანგმა დაახრჩო ვეფხვი.

არადა, ისიც გამიგონია, ნიანგები, საერთოდ, ცოტას ჰამენ და, როგორ ამბობენ, არც ისე აგრესიულები და ღორმუცელები არიანო.

ალუანში მდინარის სანაპიროსთან, შემაღლებულზე ბოტანიკურ ბაღში, ერთ ლამაზ ხეივანში, ლია ცის ქვეშ, ბაზარია გამართული...

ფუტკრებივით ირევიან უცხოქვეყნელი ტურისტები და „ჩენჩისათვის“ ხელგაწვდილი არაბები, რაც ოდნავადაც არ ამცირებს მათ ღირსებას. აქ გასაყიდად გამოტანილ ნიანგის მომცრო ფიტულებს ისეთი ფასი ადევს, თვით ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მობარაქიც ვერ ლებულობსო თვეში იმდენს.

ალექსანდრიაში ვართ. მივყვებით მაღაზიების რიგს, ზოგჯერ რომელიმე მაღაზიაში შევიჭრებით კიდეც, ამით არც დასაკარგავი გვაქვს რამე და არც მოსაგები, გარდა იმისა, რომ ეკვარვარებულ მზეს, თავზე რომ გვაჭერს, მოვერიდებით (მაღაზიებში სასიამოვნო სიგრილეა), ცოტა ხნით ჩამოვჯდებით და თვალს წყალს დავალევინებთ.

მოგეხსენებათ, საზოგადოებრივ ობიექტებში ყურება არც ერთი ქვეყნის კანონით არ არის აკრძალული და ეს გვათამამებს, თორემ ჩვენი „კაპიტალით“ არაფერზე მიგვიწვდება ხელი. ამ რამდენიმე წლის წინ იაპონიაში ვიყავი კრუიზით. ნაგასაკში ერთ დიდ მაღაზიაში დავაპირეთ საექსკურსიოდ შესვლა, სხვა თავის გამოსაჩენი ჩვენ არ გვქონდა, მაგრამ მაღაზია დაკეტილი დაგვხვდა. მერე ერთი ენაკვიმატი ჩვენი თანაჯგუფელი ხუმრობდა, გამყიდველები წინასწარ გააფრთხილეს, რუსები მოდიანო, და მათაც სასწრაფოდ დაკეტეს, თორემ, აბა, რომელი მაღაზია გაუძლებდა ჩვენს დოლარებს.

უალრესად ლამაზია არაბული ენა, მდიდარი და ხავერდოვანი, ამბიციებში ნუ ჩამომართმევთ, 17 წლისა ვიყავი, ცნობილ არაბისტს, აკადემიკოს გიორგი წერეთელს ენათმეცნიერების შესავალს ვაბარებდი, არაბული ტექსტები თუ იცით მკითხა.

ვიცით-მეთქი და მერე თითქმის ერთი საათის მანძილზე ვყვებოდი ზეპირად ნასწავლ არაბულ ტექსტებს. თვალი არ მოუშორებია ჩემთვის, ყურადღებით მისმენდა. მიკვირდა, ბრწყინვალე არაბისტს ჩემი რა უკვირს-მეთქი და თანაც ტექსტს ტექსტზე ვამბობდი.

მაშინ შემომთავაზა ბატონმა გიორგიმ, ჩემთან არაბული განზრით მოგამზადებო და ტექსტის ზუსტი გამოთქმა შემიქო.

ქვეყანა ჩემი გახდა თითქოს, ასეთი დიდი არაბისტი ინტერესდებოდა ჩემით. მაგრამ, როცა ავუხსენი, 1937 წლის მოვლენებმა ჩვენი ოჯახი თითქმის გაანადგურა, მე კი დამხმარე და ხელისშემწყობი არავინ მყავს-მეთქი, შეწუხდა...

ახლა ეგვიპტეში როცა მე და ილია ბაუჟაძე შევედით ალექსანდრიის ერთ დიდ საფირმო მაღაზიაში, არაბულად მივესალმე გამყიდველებს. უკვირთ, სახე ებადრებათ, მაღაზიაში სასიამოვნო სიგრილეა, ცოტა სული მოვითქვით, მერე კიდევ ორიოდე დაზეპირებული ფრაზა ვთქვი და გამოველდით. უკან მოვიხედეთ, კარებამდე გვაცილებდნენ.

— საფიქრალი გაუჩინე, — მითხრა ილიამ.

— არაფერია, იფიქრონ, მდიდარი არაბული ენა ღირს იმად, რომ ცოტა მეტი იფიქრონ. მეც ბევრი მიფიქრია, 1937 წელი, სხვა უსიამოვნებათაგან, კიდევ ერთი უსიამოვნების მიზეზი რომ გახდა ჩემთვის, თუ ცნობილი არაბისტი ვერ გამოვიდოდი, სათქმელად ისიც მეყოფოდა, დიდი მეცნიერი არაბისტის მოწაფე ვიყავი-მეთქი.

მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, ალექსანდრიის შუქურაა. იგი XV საუკუნის დასაწყისში მიწისძვრას დაუნგრევია. 300 მილით დაშორებული გემებიდან ხედავდნენ თურმე ამ შუქურას. ეს იმ დროისათვის (და, ალბათ, ახლაც) სასწაულის ტოლფასი მოვლენა იყო. მოწყობილობა დინჯების სისტემით ყოფილა გამართული. მოგვიანებით იმ ადგილზე, მცირე ნახევარკუნძულზე, ციხე-დარბაზის ტიპის შენობა აუგიათ და ახლა იქ აკვარიუმია მოთავსებული, ვათვალიერებთ. მართლაც, რომ საყურებელია... ალექსანდრია ფანჯარაა აფრიკისა და აზიის შესაყარ გზაზე. იგი დიდი ალექსანდრე მაკედონელის მიერაა აგებული და სწორედ ასეთივე მიზნით, აზია-აფრიკის სამომავლო ფართო კონტაქტების გათვალისწინებით დაგეგმვის მაგალითზე არ შეიძლება არ გავახსენდეს პეტერბურგის გაშენების ისტორია, რითაც პეტრე დიდმა ევროპის ქვეყნებთან რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებს მყარი საფუძველი დაუდო. თავისი დანიშნულებითა და პომპეზურობით ალექსანდრია და ლენინგრადი ტყუპებივით გვანან ერთმანეთს. იქ არასდროს არ თვლემს სიცოცხლე.

ეგვიპტისათვის ნილოსია მიწაც და ზეცაც. იგი ქმნის ამინდსაც და სიცოცხლესაც... ჟამიდან ჟამზე გახსნიან რაბებს და ორი (ზოგჯერ მეტიც) მეტრის სიმაღლეზე აიწევს კალაპოტში წყლის დონე, მაშინ კოლოებივით შეესევიან მიწის მუშაკნი ნათესებს და ნარგავებს, რწყავენ და ხნავენ. თესენ და თოხნიან, იქვე ნებივრობენ ვირები და აქლემები. ეს ყველგან მავალი რომანტიკული არსებანი. წყალი სიცოცხლის ხალისს მატებს ყველას. — ხეოფსის პირამიდასთან, თუმცა ეს უკვე უდაბნოა, იმდენი ხალხი ირევა, ზოგჯერ მოძრაობაც არ არის.

ფხიზლობს პოლიცია, სადაც ათასი ჯურის ხალხია, იქ ეჭვის საფუძველიცაა და კალიებივით მხტუნავ აქლემებზე ამხედრებული პოლიციელები ციბრუტივით ტრიალებენ მანქანებსა და ტურისტებში. აქაც ზვიადი სიამაყით დააბიჯებენ კოჭებამდე ხალათებში შემოსილი არაბები, უფრო მეტად „ჩენჩისათვის“, მათ არც თაკარა მზე აღელვებთ და არც პოლიციელთა ვნებები.

სამი კილომეტრი არისო ხეოფსის პირამიდის კედლების სიგრძე საძირკველთან და, როგორც ზევით ვთქვით, 147 მეტრი სიმაღლე. ათასწლეულებიც არ აღმოჩნდა საკმარისი პირამიდების საიდუმლოების ამოსახსნელად. ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ საშენ მასალად მასიური ლოდებია გამოყენებული, ზოგნი ასაბუთებენ, რაღაც უცნაურ ხსნარსა ხმარობდნენ, რომელიც ისეთ სახეს ღებულობს და ისე მკვრივდება, ქვისაგან ვერ გაარჩევ. სადაც ათასი წლები დასჭირდა ამის გარკვევას, მეცნიერებმა კიდევ მოითმინონ რამდენიმე ათასი წელი თუ არა, საუკუნეები მაინც...

უდაბნოს ხილულ საოცრებათა შორის, ჯერჯერობით, მაინც ორი რამაა ყველაზე მეტად იდუმალი და ამოუცნობი, — ძეგლთაგან პირამიდა, სულიერთაგან აქლემი.

ისეთ ზომიერ კლიმატურ პირობებში, როგორც საქართველოშია, კამეჩის გულისცემა წუთში 250 აღწევს, ხოლო უდაბნოში, სადაც თითქოს ცეცხლი უკიდია ყველაფერს, აქლემისა — 15 თუ 16-ს. ამასთან არაბულ აქლემს, ამ „უდაბნოს გემს“, უწყლოდ შეუძლია გაიაროს 400-მდე კილომეტრი... აქლემის გამოცანა, ალბათ, კიდევ დიდხანს ეყოფათ თავსატეხად ზოოლოგებს, ისევე როგორც პირამიდებისა — მთელ სამყაროს.

კომფორტული ავტობუსით ვსერავთ აღმოსავლეთის უდაბნოს და ტკივილნარევი ფიქრები მეძალება. თითქოს თვალნათლივ ვხედავ, როგორ დააგელვებდნენ აქ სამოცხენებს, და ცოცხლდებიან სიყმაწვილის დროის საყვარელი წიგნის გმირები უიარაღოსი:

— „ის ვინ იყო“...

სამწუხაროდ, საქართველოსათვის ყველაზე უფრო ძნელბედობის ჟამს „ის“ ქართველი იყო... თანაც ისეთი ქართველი, რომელმაც გოროზ ოსმალებს ძლიერების

ზენიტში მყოფთ, არაერთგზის ახვნეულა ცხვირით ეგვიპტის ქვიშა, რომელმაც დიდ ნაპოლეონს კინაღამ ააღებინა განზრახვაზე...

„ვაი, ნანა“... ეს ცრემლნარევი ამონაკვნესი უდაბნოს მზით გარუჯულ ველზე განუკურნებელი ტკივილია საქართველოსი. როცა სასულიერო პირებიც კი არ თაკილობდნენ ტყვეებით ვაჭრობას, მღვდელი მღვდელს ყიდდა და ყველა ერთად — საქართველოს, მაშინ იყო, ერი თუ ბერი თონის პურებივით იღლიაში ამოჩრილ უმწეო, თითო ბავშვებს რომ მიაქროლებდნენ ყულევისა თუ ბათუმის ბაზრებისაკენ თურქებზე ჩალის ფასად მისაყიდად, სულხან საბა ორბელიანიც შესწრებია ამ შემზარავ სცენას. ღმერთმა დასწყევლოს ისეთი ქართველი, რომელიც ქართველს ყიდისო...

წინ წყალი, უკან მეწყერი...

სხვა დროსაც ბევრჯერ დადგომია ასეთი შავი დღე საქართველოს.

თუნდაც გუშინ, 30-იან წლებში, საზარელი განუკითხაობისას, როცა ორპირი გამცემლებისა და მოღალატეთა დაბეზღებით, უკიდეგანო ქვეყნის შორეულ მხარეებში მიდენილნენ ალალ-მართალ ხალხს, იქ, შორს ძალიან შორს, უცხო მიწაში ლპებოდა და იხრწნებოდა მათი წაწამები სხეული და ამაოდ ეძებდა ნატანჯი სული საყუდარს...

ახლა უდაბნოში კომფორტულ ავტობუსში მჯდომს თვალწინ მიცოცხლდებიან მამლუქებიცა და იმ გუშინდელი დღის, 30-იანი და შემდგომი წლების საცოდავ მსხვერპლთა ბუნდოვანი სახეები. უნებლიეთ თვალებში ცრემლი იბუდებს და ეგვიპტის მცხუნვარე მზეც უძლურია მის შესაშრობად.

მე არ მითქვამს, როგორი დრო გავატარე ეგვიპტეში. თვითონ განსაჯეთ, დროის გატარება თუ შეიძლება ეწოდოს დიდებისათვის გაჩენილი ტრაგიული გმირების ლანდებთან ხეტიალს. მოვდივართ და მამლუქთა სულები გვაცილებენ თითქოს.

მდუმარედ ვემშვიდობებით მთვლემარე უდაბნოს. წინ თურქეთია, საქართველოს ისტორიული ბედისწერა და როგორც ვარაუდობენ, 5 მილიონამდე ქართველის სამშობლო.

ახლა საქართველო და თურქეთი ზიარჭურჭელს გვანან, ჭურჭლის ცალი მხარე ქართველთა უძველესი მიწაა და საქართველოს რესპუბლიკა ჰქვია. მეორე მხარე ასევე უძველესი მიწა და სამშობლო ქართველთა, ისტორიულმა ქარტეხილებმა თურქეთის ნაწილად აქცია... არც ისე შორეულ მომავალში ორივე ნაწილის მოსახლეობა 10 მილიონს გადააცილებს და მერე თვითონ ეცოდინებათ თავისი საქმე.

რუსეთ-თურქეთის ომების დროსაც, „მუჰაჯირობის“ გზით, დიდძალი ქართველი იქნა თურქეთში მიგრირებული, მარტო 1877-78 წლების ომის შედეგად შექმნილმა ვითარებამ აჭარიდან 50 ათასზე მეტი მცხოვრები აიძულა ოსმალეთში გადასახლებულიყო. „მუჰაჯირთა“ შთამომავლობა ახლა მთელს თურქეთშია მოდებული. ვერ ვიტყვი, ქართველები ცუდად ცხოვრობენ-მეთქი, მარტო ეკონომიკა რომ განსაზღვრავდეს ცხოვრების პირობებს, მე ქართული ენის ბედიც მაქვს მხედველობაში (თუმცა ამ მხრივ მთლად ხელიდან არ არის წასული საქმე).

ამჟამად, როცა ქვეყნის მეცხრე პრეზიდენტად თურგუთ ოზალი იქნა არჩეული, ნაწ-მილიონიანი თურქეთი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რიგში არის დაწინაურებული, შემცირება იწყო საგარეო ვალმა, რომელიც 50 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ექსპორტის ყოველწლიურმა მოცულობამ 10 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ქვეყანა აწარმოებს თანამედროვე კომპიუტერებს, მაცივრებს, მალალი ხარისხის საფეიქრო ნაწარმს „საერთო ბაზრის“ წევრი სახელმწიფოებისათვის, საიჯარო სამშენებლო სამუშაოებს მთელ რიგ მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც.

ანკარა ადმინისტრაციული ცენტრია თურქეთისა.

მე ერთ არაბულ თეოლოგიურ წიგნში მინახავს სურათი, „სამოთხე“ აწერია ამ სურათს. ძალიან დიდი უნდა იყოს ცდუნება, რომ ეხ სურათი მარადიული განცხრომის ალგილად აღიქვას კაცმა. უწოდეთ სამოთხე სტამბულში ბოსფორის სანახებს, ევროპისა და აზიის შესაყარის ზღაპრულ პეიზაჟებს და ნახეთ, სიცოცხლეშივე თუ არ დადგება რიგი აქ შესასვლელად, — მარადიული ნეტარებისათვის. სტამბული აზიური სამყაროს მშვენებაა. იგი მსოფლიო ქალაქია, მაღალი დახვეწილი გემოვნების არქიტექტურა, კონტრასტული მცენარეული საფარი, ბუნებრივისა და ადამიანის ხელით ნაშენის იშვიათი შეფერილობა, სხვადასხვა ეპოქის ცივილიზაციათა დანაშრევები, განუმეორებელს ხდის სტამბულს, ერთადერთსა და ულამაზესს. აქ გარესამყაროსთან ურთიერთობისათვის შემზღუდავი ბარიერი თითქმის არ იგრძნობა და ეს განსაკუთრებით ახალგაზრდობას შეეხება. განათლებულთაგან თითქმის ყველამ იცის თითო-ოროლა უცხო ენა. ასეა ეგვიპტეშიც. ქაიროში თორმეტიოდე წლის ბიჭი ამეკიდა. ცეცხლზე შეტრუსული ჭყინტი სიმინდი ეჭირა ხელში — იყიდეო, მთხოვდა არაბულად, პასუხი არ გაშიცია. მერე ინგლისურად მკითხა: დუ იუ სფიქ ინგლიშ? ლაპარაკობთ ინგლისურად? ვდუმდი და ბიჭმა დაკარგა ჩემთან ვაჭრობის ხალისი, ვინ იცის, იფიქრა კიდეც, ეს რა ქაცია, არაბული და ინგლისური ენები არ იცისო. ფართო განათლებისა და ენების ცოდნისაკენ მიმავალი გზები ჩვენ დიდი ხანია (ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში) გადავუჭერით ჩვენს ახალგაზრდობას; როცა უნივერსალურად განათლებული, ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლამიღებული, ენებს დაუფლებული ადამიანები ცხვრის ფარებივით მივრეკეთ სასაფლაოზე. (ხშირად მიფიქრია, როგორ გავს-მეთქი გასული საუკუნის 60-იანი წლების ინტელიგენცია ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებისას, ენციკლოპედიური განათლებისა და ენების ცოდნით, ჩაუმქრალი ვულკანისებური სულის დულილით, — ქვეყნის სამსახურად).

სტამბულში კეთილშობილ კერძო სასტუმროში ვცხოვრობთ. პროგრამა დატვირთულია, სანახავი და დასათვალიერებელი იმდენია, ერთი თვეც არ გეყოფა. ცნობილი აია-სოფიას ტაძარი და სულთანის სასახლე, მუზეუმები, სულთან ახმედის ჯამე, დახურული ბაზარი, ერთი პატარა ქალაქის ოდენა ფართობი რომ უჭირავს, მასში ხუთი ათასზე მეტი სავაჭრო ობიექტია განლაგებული. აქ, რასაც მოინდომებს, ყველაფერს იყიდის კაცი (თუ ფული ექნა, რა თქმა უნდა, ჩვენი ფული რა ენაზე მოსატანია)... დალილები ვბრუნდებით სასტუმროში, დროდადრო მორიდებით შემოაბიჯებენ სასტუმროს მისალებში ჩვენი თანამემამულეები, ისინი რაღაც ინტუიციით აგნებენ საქართველოდან ჩასულებს და მერე ყოველგვარი შესავლების გარეშე იმართება საუბარი. თემა? ერთადერთი, ორივე მხარისათვის ზიარი და ახლობელი. აიტერესებთ ყველაფერი, რაც ჩვენთან ხდება, ჩვენც ვეკითხებით, რა უჭირთ, რა ულხინთ. არაფერი უჭირთ, პირიქით, აინტერესებთ, ჩვენ ხომ არაფერი გვიჭირს. საუბრისას, როცა ზოგიერთ სიტყვას ვერ გამართავენ ხოლმე, დაირცხვენენ, მერე ცდილობენ სხვა სიტყვა წამოაშველონ სათქმელს. ამოუწურავია მადლი და ძალა ქართული ენისა, თორემ სხვა რა გაუძლებდა იმდენ ქარცეხილებს, როცა გაფიქრებაც არ შეეძლოთ საკუთარ ქართველობაზე. ჩვენ ბევრნაირად ვალში ვართ მათთან. ვალში ვართ იმიტომაც, რომ ვერ მოვუარეთ, ვერ გამოვიყენეთ ხელსაყრელი პირობები მათთან სიახლოვისათვის. ეგ კი არა, დევნისა და ბრალდების ერთგვარ ფორმად იქცა „თურქეთისაკენ იყურებიო“... ამიტომ და სხვა მიზეზების გამო არც ჩვენ ვყოფილვართ უკეთეს დღეში. ჩვენთანაც ემუქრებოდა მშობლიურ ენას გაქრობა და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ... გარეთ ჩვენ თუ რუსებს გვეძახდნენ, მათ იქ თურქებად იხსენიებდნენ, მაგრამ ახლა არ ღირს გრძნობების აშლა. იქაც ჩანს გარკვეული უკეთესობა. ოდნავ მინავლებული მშობლიური ენა ალბათ, კვლავ გაივსება, ხარვეზები გამრთელდება, „დედაენა“ იქმს თავის საქმეს, იტყვის თა-

ვის სათქმელს... მაგრამ უფრო მეტი ხელის შეშველება სჭირდებათ. ენა ფოლკლორი არ არის,—ზღაპრის ხან ერთი ვარიანტი შეიძლება გახსოვდეს, ხან მეორე, ენას თავისი კანონები აქვს, იგი ვითარდება, პროგრესირდება, წინაპრებისაგან გადმოცემული სალაპარაკო ენა ალარ არის სრულფასოვანი. მასში ბევრი რამ იცვლება, მახინჯდება, უწიგნოდ ენის სწავლება ფუჭი გარჯაა. წიგნი და სკოლა კი... საქართველომ ეს აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის მაგალითზე გამოსცადა. თუმცა აჭარა რამდენადმე იოლად გადარჩა, იგი დედამ, ქართველმა ქალმა გადაარჩინა.

მითებიც კი ხორციელ სახეს ღებულობენ, დაუჯერებელი ამბები ხდება. თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, მცირე აზიაში, ზღვის სანაპიროზე. სკამანდების ველზე ტროადის ძლიერი ქვეყნის სატახტოს ციხე-ქალაქის, სახელგანთქმული ტროას არსებობას ვარაუდობდნენ, რომელიც ათი წლის მანძილზე უძლებდა აქაველთა მრისხანე არმიას. არქეოლოგიურ გათხრებამდე (შლიმანი, დორპფელდი), ეს ამბავი მითად იყო მიჩნეული. ძვ. წ. აღრიცხვის 3000 წლიდან აქ დუღდა ცხოვრება, 2400-2200 წლებში ტროა სამეფოს სატახტოა. ტროას ომი დაახლოებით 1235-1225 წლებში მოხდა და მასში მთელი მიწიერი და ციური სამყარო ყოფილა ჩაბმული.

ომი თვით ზევსზე უძლიერესის, ბედისწერის (მოირას) ნებით მოხდა და მის მსვლელობაში ღმერთებიც ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ, როგორც მოკვდავები, მოკვდავებთან ორთაბრძოლაში მარცხდებოდნენ და შემდეგ ოლიმპოზე იშუშებდნენ ჭრილობებს, ისინი ებამდნენ ინტრიგის ქსელს და ზოგჯერ თვითონ იყვნენ ინტრიგის საგანი, თვითონ ზევსიც კი ემორჩილებოდა გარდაუვალი ბედისწერის ნებას.

ომი ძვირად დაუჯდა ორივე მხარეს — აქაველებს თითქმის 100-ათასიანი არმია, ზოგი დალუპულთა და ზოგიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით. ხოლო ტროა მიწასთან იქნა გასწორებული... დიახ, მითი რეალობად იქცევა.

ახლა ვდგავართ ტროას ხელისგულივით მოსუფთავებულ ნაქალაქარზე (რამდენიმე ქვა დევს მარტო, არქეოლოგებს რომ დარჩენიათ გათხრების შემდეგ) და ისეთი გრძნობა გვიჩნდება, თითქოს ნაომარი ღმერთები წარბშეკრულები გადმოგვყურებენ ოლიმპოს მწვერვალიდან და უკვირთ, რომ არ ვგავართ ფაფარაყრილ, საბრძოლო ჟინით ატეხილ გმირებს.

ჩანაქ-კალეში, ქალაქის გარეთ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ზღაპრულ ადგილზე ტურისტულ კომპლექსში ვჩერდებით. ხმელთაშუა ზღვას მაინც თავისი დამახასიათებელი ოზონი აქვს. გინდა ღრმად, ფილტვების ტკივილამდე ისუნთქო. საკმაოდ რომანტიკული გარემოა და მისი მფლობელიც, როგორც ჩანს, არ იბნევა. თვითონ მითხრა. კარგი შემოსავალი მაქვსო. კოლოფიდან ერთი ცალი სიგარეტი ხელით ამოიღო და გამომიწოდა. არ ვეწევი-მეთქი, არ დამიჯერა, ჩემგან მოწიეო ეს ერთი ცალი. ნამდვილად არ ვეწევი-მეთქი, დავარწმუნე. გამიკვირდა, „ჩემგან მოწიეო“, ისე იყო ნათქვამი, ქართველი კაცი დარახტული ცხენის გაჩუქებისას რომ არ იტყოდა. ამერიკული ჯგუფი დაგვხვდა. ჩანდა გალაღებული ამერიკელები იყვნენ, თვალსარბობა არავის გამოგვიჩენია.

ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში და განსაკუთრებით გერმანიაში, თურქეთიდან მოსახლეობის დეფიციტის სამუშაოს საძებნელად დადებითად იმოქმედა ქვეყნის ცხოვრების დონეზე. ასახელებენ 4 მილიონამდე კაცს, თურქეთის საზღვრებიდან გასულს დროებით სამუშაოზე და მუდმივ საცხოვრებლადაც.

მე პირადად მქონდა საუბარი ერთ-ერთ სტამბულელ ქართველთან, რომლის ორი ძმა ახლა „მოსაგებშია“ წასული ამერიკაში.

სხვათა შორის, რეფორმამ გვარების შეცვლის შესახებ თურქი მოსახლეობისათვის დადებითი შედეგი გამოიღო, ბოლოსდაბოლოს, შეიქმნა სისტემა ონომასტიკაში, ახლა მამის სახელი შვილზე ალარ გადადის გვარად და ა. შ. რეფორმა გავრცელდა სხვა

ეროვნებებზეც, მათ შორის ქართველებზეც და ამან რამდენადმე გაართულა ვითარება. ქართველთაგან ზოგს უკვე აღარ ახსოვს თავისი ძველი გვარი, რეფორმამ ტომელთაც ერთგვარად შეუწყო ხელი მაღალ იერარქიულ საფეხურებზე ასვლელლად, ასეთი შემთხვევები ქართველების მაგალითზე ახლა იშვიათი აღარ არის.

ულამაზესი ქალაქია ბურსა. ჩვენი სასტუმრო შეფერდებაზეა, ერთ ლამაზ ქუჩაზე. აქედან კარგად ჩანს ქალაქის დიდი ნაწილი. სასტუმროს ეზო მწვანეშია ჩაფლული (და, საერთოდ, მწვანე საფარის სიუხვე ამშვენებს ქალაქს), სოფლებიდან ახალგაზრდობა აპირებსო მოსვლას, ვლელავთ, შელამებულზე მართლაც გამოჩნდნენ, ჯერ თითოოროლა, შემდეგ ჯგუფებად, ისეთი უშუალო, თბილი ატმოსფერო შეიქმნა, ველარ გაარჩევ, რომელია მასპინძელი და რომელი სტუმარი. აქ არიან ბურსელი, ინეგოლელი და ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, დაბვეწილი მანერებით, ვანათლებულები, ტიპური ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ეკონომისტები, ინჟინრები, არქიტექტორები, ისტორიკოსები, იურისტები, პედაგოგები... აქ არის ცნობილი საზოგადო მოღვაწის ახმედ მელაშვილის ვაჟი ივერი მელაშვილი, სპეციალობით არქიტექტორი, რომელმაც სტამბულის ნატიფი ხელოვნების აკადემია დაამთავრა და არქიტექტურის საკუთარი ბიურო აქვს ბურსაში.

ეს ახალგაზრდები დიდ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევიან თურქეთის ქართველ მოსახლეობაში და ეს იგრძნობა კიდეც. არის ერთგვარი გამოცოცხლება, რაც გამოიხატება მთავრობის მხრივ რიგ დათმობებში. შექმნილია ქართველთა საზოგადოება.

ორმოცდაათამდე ეიქნებით სტუმარი და მასპინძელი. ზოგჯერ ერთმანეთს არ ვაცლით საუბარს, ვმღერით, ამბებს ვყვებით, ელისო თავაძე სიმღერას იწყებს „მოხევის ქალო თინაო“ (რამ გაახსენა!).

ჩვენ ერთად ვართ ახლა და უფრო მეტად ვგრძნობთ ჩვენს სისუსტეს, რაღაცას ვუფრთხით, ვიღაცასი გვეშინია. ჩვენი სვეღრი მაინც სჯობს მათსას, მათ არაფერი აკლიათ, გარდა ერთისა. ჩვენ ის ერთი გვაქვს და ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ჩვენი ხვედრი უკეთესია, ჩვენთან ქვეყანაში შესასვლელ-გასასვლელს ქართული ასოებით აწერია „საქართველო“ თუმცა ბევრი რამ არაქართული ახლაც გვაწევს ტვირთად.

იქ აცვიათ, ახურავთ, ჭერი აქვთ, არ შიათ, არ წყურით, თუ მოინდომებენ, ხვალ ამერიკაში ან ევროპაში წავლენ. წავლენ ისე, რომ არავის შეეკითხებიან, მაგრამ წარსული ახლაც მოუშუშებელ ჭრილობად ატყვია მათ სულს და მისი შედეგიც ჩანს. „ბაბუამ ტყემალი ჭამა და შვილიშვილს კბილი მოჭრაო“. რამდენჯერ მოუკრია კბილი ბაბუების ნაჭამ ტყემალს თაობებისათვის. ალბათ, აღამახმადხანის აცილება შეიძლებოდა. სხვა ბევრი რამეც შეიძლებოდა თუნდაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავისა და მოსკოვის კონფერენციის შედეგებისა... მაგრამ უკვე. გვიანაა ამაზე ლაპარაკი... ახლა ბურსაში ერთი ფეშენებელური სასტუმროს ეზოში ვზივართ და ძველი სიმღერების წამოშველებით ვცდილობთ უფსკრულის ამოვსებას. ის ტყემალი, ბაბუებს რომ აჭამეს ძალით (ზოგჯერ ნებითაც) ახლაც გვჭრის კბილს, ერთმანეთს თვალს ვარიდებთ. არადა, გვენატრება ერთმანეთი, სულში ჩასასმელად გვინდა... ხელგაშლილობა გვჭირდა მომდევნო თაობების ხარჯზე, გვავიწყდებოდა, რომ სამშობლო ერთი რომელიმე თაობისათვის არ შეუქმნია განგებას...

ახლა ელისო თავაძე ზის ჩვენთან და მთრთოლვარე ხმით მღერის (თუ გოდებს) მობევის ქალზე, მის პატარა ქალიშვილს, მუხლებზე რომ უზის, საქართველოდან ჩვენი ჩატანილი „დედა ენა“ ხატივით აქვს გულზე მისვენებული“. „დედა ენა“ ყველაზე მეტად აკლიათ მათ, შეიძლება პური აკლდეს კაცს, მაგრამ „დედა ენამ“ საშინელი ნოსტალგია იცის. ასეა, სხვადასხვანაირი გაჭირვებაა ქვეყანაზე. ბედნიერ კაცს სულელს ეძახდა ბებიაჩემი, შერვაშიძის ქალი, როგორ შეიძლება, კაცს რამე საფიქრებელ-სადარდე-

ბელი არ ჰქონდესო... მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს „დალონებული როა კაცი, მესმის იმ კაცის, გახარებული კაცის არ მესმის“...

თურქეთში 60 ათასი მეჩეთია, მარტო სტამბულში — ორი ათასი მინარეთი. დღეში ხუთჯერ ყველა მეჩეთიდან და მინარეთიდან ისმის ლოცვისთვის მოწოდება (ტექნიკამ რელიგიასაც გაუწია სამსახური, ყველა მუეძინს, ასაკის გამო, როდი შეუძლია იმ სიმაღლე მინარეთებზე, ბურღივით დახვეულ შიგა კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა და ფირებს რთავენ სალოცავად მოხმობის ჩანაწერებით).

თურქეთი ეგვიპტე არ არის, ეგვიპტე მუსლიმანური რესპუბლიკაა, თურქეთი დემოკრატიული, ეს კი ცოტას არ ნიშნავს, თუნდაც ის ფაქტი, რომ თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ 8% უჭერს მხარს ქვეყნის ისლამიზაციას, ბევრის მთქმელია. 80-იანი წლებიდან დიდი ძვრები მოხდა თურქეთშიც. კაცი იმედით ცოცხლობსო...

ნაშუაღამევია. უკვე დაშლის დროა. ჩვენს ქალებს, ჯგუფის წევრებს, მიუხედავად რანგებისა და თანამდებობრივი მდგომარეობისა, თვალები ცრემლებით აქვთ სავსე, ნალვლიანი ღიმილი დააჩნდა ელისოს ბაგეებსაც. რა დამავიწყებს მის გამოსამშვიდობებელ სიტყვებს: ერთმანეთის გვერდი-გვერდ ვიყავით და ერთმანეთისკენ გახედვაც კი გვეშინოდა. ახლა მაინც ნუღარ დავკარგავთ ერთმანეთს...

ხელოვნება

რატი ჩიბურდანიძე

ცხოვრება, რომელიც მან თავად მოიგონა

1963 წლის 5 სექტემბერს საკონცერტო დარბაზ როიალ-ალბერტ-ჰოლში ოთხი ლივერპულელი ჭაბუკი — ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი და რინგო სტარი წარსდგა მუსიკალური სენსაციებით განებივრებულ ლონდონელ მსმენელთა წინაშე. ეს დღე შეიძლება ჩაითვალოს „ბითლზის“ შემოქმედებით დაბადებად.

„ბითლზის“ სიკეთითა და სიცოცხლით აღსავსე, შუქმფინარი სიმღერებიდან დაწყებული როკი გახდა ახალგაზრდობის განწყობილების გამომხატველი. ჯერაც ბოლომდე შეუცნობი, ამავე დროს საოცრად ახლობელი ლეგენდარული ოთხეული სამოციანი წლების სიმბოლოდ გადაიქცა. ამ წლების თაობა „ბითლზთან“ ერთად აღიზარდა, მას უკავშირებდა მთელ თავის ოცნებებსა და იმედს. „შევერთდეთ“, — მღეროდა ლენონი და გარშემო მყოფნი ერთ მუშტად იკვრებოდნენ მისი მუსიკის წყალობით. ჯონ ლენონი გახდა სულისჩამდგმელი და მფეთქავი, მგზნებარე ნერვი ფენომენისა, რასაც „ბითლზი“ ჰქვია.

სიახლისკენ სწრაფვით, ძიებით იყო გამსჭვალული ლენონის მთელი შემოქმედება. იგი მუდამ ცდილობდა ეპოვა ახალი ჟღერადობა. ახალი რიტმები, ახალი მუსიკალური იდეები. თავის ნაწარმოებებზე მუშაობისას უდიდეს ნებისყოფას ავლენდა, ხვეწდა, ელოლიავებოდა ყოველ მუსიკალურ ბგერას. დაუღალავ შრომაში იბადებოდა საოცრად

უშუალო, გულწრფელი ქმნილებები. ლენონის ტკბილი, გულის სიღრმიდან ამომავალი, სევდანარევი, ხავერდოვანი ხმა, სულში ჩამწვდომი მელოდია ქმნიდა იმ ჰარმონიას, ათი წელია უჯონლენონოდ რომ აჯადოებს უამრავ თაყვანისმცემელს.

1967 წელს ლენონმა შექმნა „პენი ლეინი“ და „მარწყვის მინდვრები მარადჟამს“. ამ შედევრებზე მუშაობისას ის თავისი ბავშვობის სამყაროში აღმოჩნდა, თუმცა კი, უწინარეს ყოვლისა, ეს სიმღერები იყო ჩინებული დადასტურება ჯონ ლენონის მუსიკალური თვითმყოფადობისა, იგი გასცდა „ბითლზის“ ჩარჩოებს. ცხადი გახდა, რომ ლენონ-მაკარტნის საავტორო დუეტმა დიდი ხნის „ჯადოსნური, საიდუმლო მოგზაურობის“ შემდეგ მიაღწია „გრძელი, დაკლაკნილი გზის“ გასაყარს და 1969 წლის სექტემბერში „ლივერპულელი ოთხეულის“ მიერ ჩაწერილი ალბომი „სააბატოს გზა“, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა „ყველა დროის უდიდესი როკ-ჯგუფის“ შემოქმედებაში.

1971 წელს ჯონ ლენონმა გამოსცა თავისი ცნობილი ალბომი „წარმოიდგინე“. ამ ალბომმა, ერთადერთმა იმ ფასდაუდებელი განძიდან, რასაც ლენონის დისკოგრაფია ჰქვია, „არაკონტრაბანდისტული“ გზით, ბოლოს და ბოლოს, მოაღწია საბჭოთა კავშირამდეც. ამავე სახელწოდების ბრწყინვალე სიმღერა გახდა ჰიმნი უკეთესი მომავლისა და ყოველივე მშვენიერისა დედამიწაზე. მასში თითქოს გაცხადდა ლენონის ოცნებები, ეს მისი სულის ამოძახილი იყო, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების სარკე.

ლენონი სიყვარულზე მღეროდა და მშვიდობაზე... და არა მარტო მღეროდა — მთელი თავისი არსებით ერთგული დამცველი იყო ამ იდეალებისა. არ ყოფილა იმ დროის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, შეუპოვარი და ბობოქარი სულის მქონე მომღერალი რომ არ გამოხმაურებოდა და თავისი სიმბოლური წვლილი არ შეეტანა, როგორც მშვიდობისა და სიმართლის ქომაგს. სწორედ ლენონმა, და არა სხვა რომელიმე „ბითლ%მა“, დააბრუნა ბრიტანეთის იმპერიის ორდენი, ინგლისის დედოფალმა ელიზაბეტ II რომ გადასცა „ოთხეულს“ 1965 წელს. „თქვენო უდიდებულესობავ, გიბრუნებთ ბრიტანეთის იმპერიის ორდენს პროტესტის ნიშნად ბიაფრაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩარევისათვის, ამერიკის მთავრობისადმი მხარდაჭერისათვის ვიეტნამის ომში და კიდევ იმიტომ, რომ ჩემმა სიმღერამ — „ცივი ინდაური“ წარუმატებლად ჩაირა ჰიტპარადში. ჯონ ლენონი ტომრიდან“. ეს იყო პროტესტი, გამოხატული თავისებური ლენონისეული იუმორით, რომელიც სარკაზმს უახლოვდებოდა.

ჯონ ლენონი იყო ადამიანი, რომელიც არ ცნობდა პირობითობებს და არ ემორჩილებოდა არავითარ წესებს. ის ცხოვრობდა ისე, როგორი ცხოვრებაც მან თავად მოიგონა, მის ფანტაზიას კი საზღვარი არ ჰქონდა: 1969 წლის მარტში, გიბრალტარში ქორწინების შემდეგ, ჯონ ლენონმა და იოკო ონომ ჯერ ამსტერდამის სასტუმრო „ჰილტონში“, შემდეგ კი მონრეალის სასტუმრო „ქუინ ელიზაბეტში“ მოაწყვეს ე. წ. „სამშვიდობო დემონსტრაცია“. ეს იყო შეხვედრები გამოჩენილ ამერიკელ ჟურნალისტებთან. იქვე, სასტუმროს ნომერში, ლენონმა ჩაწერა სიმღერა — „მიეცით მშვიდობას შანსი“.

შეუძლებელია უდიდესი სიმპათიით არ განისმჭვალო ლენონის მიმართ მისი საქველმოქმედო საქმიანობის გამო. იგი ყოველთვის კონცერტიდან შემოსული თანხის 10 პროცენტს ხეიბარ ბავშვებს, მოხუცებსა და პატიმრებს სწირავდა.

ლენონი აღმოჩნდა ის კონკრეტული ადამიანი, ვინც გაითავისა მთელი მაშინდელი ახალგაზრდობის ავ-კარგი. მის პიროვნებაში ყველა ხედავდა რაღაც თავისს, პირადულს. იგი კერპად აღიარეს. თუმცა, თავისი ახირებებით, ჟინით, ძლიერი და სუსტი მხარეებით ლენონი ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ. დროგამოშვებით მას ნიჰილიზმი ეუფლებოდა და იყო უსასრულო ლოთობა, დებოში... 1975 წელს მან უარი განაცხადა ყოველგვარ მუსიკალურ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე და ოჯახში ჩაიკეტა.

თითქოს მოსალოდნელი მკვლელობის წინათგრძნობით შეპყრობილი, სიკვდილამდე

სულ რამდენიმე თვით ადრე დაუბრუნდა ლენონი მუსიკას და ხუთწლიანი ლუმილის დასასრული შესანიშნავი ალბომით „ორმაგი ფანტაზიით“ — გვაუწყა. იგი შეგვიძლია სრული სულიერი ჰარმონიით, უდიდესი ოპტიმიზმით აღსავსე... ჯანსაღი, თავის თავთან შერიგებული მოწიფული მუსიკოსი შეხვდა თავის 40 წელს, ასაკს, როცა ხელოვანის შემოქმედებითი აზროვნება უმაღლეს მწვერვალებს იპყრობს. „თითქოს ისევ ვიწყებთ“, — განაცხადა ლენონმა თავის ბოლო ინტერვიუში. ვინ უწყის, რამდენ ბედნიერ წუთს, მუსიკალურ სიურპრიზებს გვპირდებოდა მისი განახლებული, უშრეტი ენერგია.. ამ დაპირებებს ასრულება აღარ ეწერა თურმე. მოხდა მართლაც დაუჯერებელი— ნიუ-იორკში 1980 წლის 8 დეკემბერს ცათამბჯენ „დაკოტას“ ვესტიბიულში მოჰკლეს მუსიკოსი. მუსიკალურმა კრიტიკამ ერთხმად აღიარა, რომ „ლენონთან ერთად მოჰკლეს მთელი მუსიკალური ეპოქა“.

„არაა ქვეყნად მიზეზი, რისთვისაც მოჰკლავ“, — მღეროდა ჯონ ლენონი სიმღერაში „წარმოიდგინეთ“. მისი შეშლილი თაყვანისმცემლისათვის კი სიყვარული მკვლელობის მიზეზი აღმოჩნდა. თუმცა, სიყვარულმა სიყვარული უნდა შვას ოდენ...

სენტრალ-პარკის ერთ-ერთი კუთხე ინახავს ჯონ ლენონის ხსოვნას. მის საფლავზე, ნიუ-იორკის მოასფალტებულ „მარწყვის მინდვრებზე“, მოზაიკის წრეში გამოყვანილია ერთადერთი სიტყვა: „იმეჯინ“ („წარმოიდგინე“).

წარმოიდგინეთ, წარმოიდგინეთ ჯონ ლენონის მღელვარე, იდუმალი სამყარო...

გასულ ორ თვეში

დაბრუნება

მთელი ქართველი ერი, სრულიად საქართველო უდიდესი ინტერესით შეხვდა ცნობას იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II ნეშტის სამშობლოში გადმოსვენების შესახებ. ამ საქმის წამომწყებები საქართველოს მონარქისტული პარტია გახლავთ. მისი ინიციატივით შეიქმნა მეფის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც, ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და სპეციალისტებთან ერთად, შედიოდნენ ქალაქ ბათუმის მერი როსტომ დოლიძე და ჩვენი თანაქალაქელი, მონარქისტული პარტიის წევრი ბატონი მამული ყლენტი.

თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ყველა საორგანიზაციო საქმის, — არქეოლოგიური გათხრებით დაწყებული და მეფე სოლომონ II ნეშტის დადგენა-გადმოსვენებით დამთავრებული — მოგვარებისა და სათანადო ვიზის მიღების შემდეგ, საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დელეგაცია რესპუბლიკის მონარქისტული პარტიის თავმჯდომარის თემურ ჟორჟოლიანის მეთაურობით ბათუმიდან თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ჭუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი მეუფე კალისტრატე, ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი დავითი, ეროვნული კონგრესისა და მონარქისტული პარტიის წევრები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

...ტრაპიზონში, აია-სოფიის ტაძრის ეზოში, ხალხი თანდათან მატულობდა.. აქ იყვნენ ტრაპიზონელი ქართველები,

თურქი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები. მოვიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და სტუმრები ანკარიდან. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გურამ შარაძემ, მან მოკლედ გააცნო დამსწრეთ მე-18 და მე-19 საუკუნეების საქართველოს ვითარება.

დგება ამაღელვებელი წუთები. გუბერნატორის თხოვნით პოლიციელები ყუთს, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრის წმინდა ძვლებია, გადასცემენ მონარქისტული პარტიის წევრებს. ისინი სათუთად ათავსებენ ყუთს სასახლეში და დებენ კატაფალკაზე. პროცესია იმ ადგილისაკენ მიემართება, სადაც სოლომონ II განისვენებდა. კუბო მეფის ნეშტით სასაფლაოზე დაასვენეს. ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა მეუფე კალისტრატემ პანაშვიდი გადაიხადა დიდი შეფის სულის მოსახსენიებლად. იქიდან პროცესიას ბათუმში წამოჰყვა თურქეთის რესპუბლიკის დელეგაცია მეჯლისის წევრის ეიხან არიფალალლის (ბაიძის) მეთაურობით.

დელეგაციის წევრებმა მეფე სოლომონ II ნეშტი ხელით გადმოასვენეს სახელმწიფო საზღვარზე. სიმბოლური იყო ისიც, რომ 170 წლის წინათ რუსეთის იმპერიის მიერ განდევნილი გვირგვინოსანი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს ღაუბრუნდა, რომლის მიწამაც ამიერიდან სამუდამოდ უნდა ჩაიკრას გულში მისი წამებული შვილის წმინდა ძვლები.

სარფის ჭიშკართან უამრავი ხალხი შეიკრიბა. ღამეულ ნათელში ზღვიდან მონაბერი ქარი თეთრი დროშების ტყეს აშრიალებს. პროცესია გონიოს ციხისაკენ ხელით მიასვენებს დიდი წინაპრის ნეშტს. კვარიათთან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ოზურგეთელი ცხენოსნები შეეგებენ. პროცესია გონიოს ციხეს უახლოვდება. შორიდან ისმის ზარების გუგუნი და ქართული საგალობლების ჰანგები. ჩვენი წარსულის დიდების ეს შესანიშნავი ძეგლი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის მოწმე ხდება. ბებერი ციხის ქონგურებზე უამრავი დროშაა გადმოფენილი. თითქმის სრულიად საქართველო მოსულა აქ — ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთის და სხვა რაიონების დელეგაციები.

პროცესია ციხის კარიბჭესთან შედგა. ზღვა ხალხი მუხლმოყრილი ხვდება დიდი წინაპრის ნეშტის მობრძანებას საქართველოს მიწა-წყალზე. ტრაპიზონის ყოფილი წმინდა გრიგოლის ეკლესიის სასაფლაოზე დაწყებული პანაშვიდი გონიოს ციხესთან გასრულდა.

პროცესია ბათუმისაკენ დაიძრა. საოცარი სანახაობაა — ორ კილომეტრამდე გაჭიმულა ავტომანქანების კოლონა. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის წინ მდებარე მოედანზე კუბო ჩარდახიდან ურემზე დაასვენეს და რუსთაველისა და მეფე დიმიტრი თავდადებულის ქუჩების გავლით ღვთისმშობლის ტაძარში მიასვენეს. მთელ ღამეს არ შეწყვეტილა ადამიანების სვლა ღვთისმშობლის ტაძარში. ანთებდნენ სანთლებს და ლოცულობდნენ დიდი მეფის სულის მოსახსენიებლად, სიყვარულითა და სასოებით მიაგებდნენ პატივს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირს.

ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ და ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა კალისტრატემ მცირე პანაშვიდი გადაიხადეს. დილით მეფე სოლომონ II სულის მოსახსენიებლად გაიმართა წირვა.

მცირე პანაშვიდსა და წირვას დაესწარო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას შვილი რეჯებ ჟორდანია.

მეორე დღეს სოლომონ II ნეშტი ღვთისმშობლის ტაძრიდან გამოასვენეს. პროცესია მეფე დიმიტრი თავდა-

დებულის ქუჩით მიემართება. ანთებული სანთლებითა და დროშებით მიაცილებენ მეფის ნეშტს. ახალგაზრდები „ჩემო კარგო ქვეყანას“ მღერიან, მერე „შავლეგო“ დააგუგუნეს. საზღვაო სასწავლებლის წინ მდებარე მოედანზე პროცესია შედგა. ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა კალისტრატემ ლოცვა აღავლინა მეფე სოლომონ II სულის მოსახსენიებლად.

შემდეგ კალისტრატემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

კუბო სოლომონ II ნეშტით ვერტმფრენში შეასვენეს, რომელმაც კურსი ახალციხისკენ აიღო. საღამოს კი თბილისში ჩაასვენეს დიდი მეფის წმინდა ძვლები.

ჯერ საქართველოს ზეცამ შეიერთა წამებული გვირგვინოსნის სული, ბოლოს კი გელათის მონასტრის წმინდა მიწამ სამუდამოდ მიიბარა მეფე სოლომონ II ნეშტი.

აღსრულდა ნება ღვთისა და ნება ერისა!

დეპოლიტიზაციის გზით

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში განიხილეს ამ ორგანიზაციის დეპოლიტიზაციის საკითხი.

ქვეყანაში მრავალი პარტიის შექმნის, მოქმედი კონსტიტუციიდან სკკპ ხელმძღვანელი როლის შესახებ მუხლის ამოღების შემდეგ მისი დიქტატი დაუშვებელია და შემოქმედებითი კავშირი დამოუკიდებელი თავისუფალი ორგანიზაცია უნდა იყოს.

ამაზე ილაპარაკეს მწერლებმა ჯ. ქათამაძემ, ფრ. ხალვაშმა, მ. ვარშანიძემ, რ. სურმანიძემ, ჯ. ჯაყელმა და სხვებმა.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების დეპოლიტიზაციის შესახებ და გამოაცხადა იგი თავისუფალ შემოქმედებით ორგანიზაციად.

დიდი მამულიშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების კლუბში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის გამგეობამ მოაწყო დამპყრობთაგან სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლის სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 95 და გარდაცვალებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია გახსნა დოცენტმა ბიჭიკო დიასამიძემ.

მოხსენებით გამოვიდა დოცენტი აბელ სურგულაძე.

დოცენტმა რამაზ სურმანიძემ წაიკითხა მოხსენება „სელიმ ხიმშიაშვილი და სოლომონ II“.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მალხაზ სიორიძემ საინტერესოდ მოუთხრო დამსწრეთ სელიმ ხიმშიაშვილის მემკვიდრეობის, კერძოდ, შერიფ-ბეგის შესახებ, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ენერგია აჭარის განთავისუფლებას მოაბმარა.

პოეტმა ემენ დავითაძემ მოკლედ მოხაზა მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების ის წყაროები, რომლებშიც ასახულია დიდი პატრიოტის ცხოვრებისა თუ პორტრეტის შტრიხები.

სიტყვით გამოვიდნენ დოკენტი იური ბიბილეიშვილი, მწერალი ილია რურუა, საზოგადოება „სელიმ ხიმშიაშვილის“ თავმჯდომარე სიმონ შარაძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დავით გვიანიძე.

მეორე რესპუბლიკური

ბათუმის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია ქართული ხალხური თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლების მეორე რესპუბლიკურმა ფესტივალმა, რომელიც ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

ჟიურიმ შემდეგნაირად გაანაწილა პრემიები: პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია ათასი მანეთის ოდენობით მიენიჭა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ანსამბლს (სამხატვრო ხელმძღვანელი ჯანო ჯანია-შვილი); მეორე ხარისხის დიპლომები, აგრეთვე 500-500 მანეთი — რუსთავის „ხალიბსა“ და წყალტუბოს „წყალტუბოს“. მესამე ადგილზე გავიდნენ და სამას-სამას მანეთთან ერთად შესაბამისი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ გურჯაანის „გურჯაანი“, ზუგდიდის „ჩელა“ (ქორეოგრაფები ვაჟა ქუზიკაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ავთანდილ გურგენიძე, რევაზ ბულია).

ცალკეულ კოლექტივებს გადაეცათ მთელი რიგი წამახალისებელი პრიზები, რომლებიც აჭარის კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა, აჭარკოოპკავშირმა, აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა. მუსიკალურმა საზოგადოებამ, სხვა ორგანიზაციებმა და უწყებებმა დააწესეს. დაჯილდოებულთა შორის არიან ქედისა და შუახევის საარაიონო კულტურის სახლებთან არსებული უხუცესთა ანსამბლები „ფესვები“ და „ნარეთი“ (ხელმძღვანელები ბორის ღოღობერიძე, რეზო ცეცხლაძე).

„აჭარამ“ გამოსცა

„აჭარამ“ გამოსცა მწერალ დავით ნაცვალაძის მოთხრობების ახალი წიგნი „ალმართს დალმართი მოსდევს“.

კრებულში წარმოდგენილი თერთმეტი მოთხრობა ეხმიანება ჩვენი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს, ამხელს ახლო წარსულის ნეგატიურ მოვლენებს.

წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ჩვენს მწერლობაში კარგა ხანს იყო ტაბუდადებული თემები. გარდაქმნის სიომ აჭაც შეაღწია. დღის სინათლე ეღირსათ ნაწარმოებებს, რეპრესიების პერიოდსა და ომისშემდგომ წლებზე რომ გოგვითხრობენ“.

დ. ნაცვალაძის ვრცელი მოთხრობა „ალმართს დალმართი მოსდევს“ ერთი იმათგანია. კრებულში შევიდა აგრეთვე მწერლის სხვა ახალი ნაწარმოებებიც.

საინტერესოდ იკითხება „ძველი წისქვილი“, „მანიაკი“, „მძღოლი“. „თანამედროვე ტრაგედია“.

წიგნი მხატვრულად გააფორმა რობერტ ლომაძემ, რედაქტორია ზურაბ ლიპარტელიანი.

ასოციაცია „მედეა“

შეიქმნა ხალხური მედიცინის აჭარის რეგიონალური ასოციაცია „მედეა“ — საწარმო-სამეურნეო პედაგოგიური და საქველმოქმედო ორგანიზაცია.

ასოციაცია ამოცანად ისახავს ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნისა და გამოცდილების, ხალხური ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების (მცენარეულობა. მინერალური წყლები. ტალახი და სხვ.) გამოვლინებას. ძველი ხალხური სამკურნალო მეთოდების მეცნიერულ დამუშავებასა და გამოყენებას. ასოციაციას საათანადო წესისა და კანონის საფუძველზე, განზრახული აქვს აგრეთვე ფასიანი კოლეჯის გახსნა და ექიმ-სპეციალისტების მომზადება.

ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი რამაზ სურმანიძე.

უკვე მესამედ

აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში ჰოეწყო ვახტანგ ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა. იგი უკვე მესამედ იმართება ბათუმში. ვერნისაჟზე წარმოდგენილი იყო ორმოცდაათამდე ნამუშევარი — როგორც თემატიკურად, ასევე ჟანრობრივად მრავალფეროვანი. ესენია: „შემოდგომის ფესვები“, „მუხა“, „ხეების დიალოგი“, „ბამბუკის როკვა ქარში“, „შავი იალქნები“ და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118